652

1

1959

55

ისტორიული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

აჭარა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორგანო

77777

1

1959

იანვარი
თებერვალი

შინაარსი

პ. რურუა—გადლეგრძელებ, აჭარავ!
(ლექსები) 3
მ. გორგილაძე—დედის ცრემლი
(მოთხრობა) 5
ნ. მალაზონია—აკაკის ძეგლი ქობულეთში,
სათევზიაში, მესაზღვრის სიტყვა
(ლექსები) 13
ლ. გელაძე—ვიცი, მაღლა, „ბერიკაცი ვარ“
(ლექსები) 15
მ. კახიძე—ჰეი, სად ხართ გოგოებო!
(ლექსი) 18
რუგოშელი—შენ გრიგალს ეგებებოდი
(ლექსი) 20
გ. კაკიტაძე—სინდისის მსხვერპლი
(მოთხრობა) 21
გ. სამხარაძე—ეს შენა ხარ (ლექსი) . . 30
ნ. ნარსია—...გარს მახვევია (ლექსი) . . 31
რ. ართილაყვა—შავდალალა (ლექსი) . 32
თ. რამიშვილი—ჩემო რიონო (ლექსი) . 33
ს. ყლენტი—კიდევაც დაიზრდებიან...
(მოთხრობა) 34
ო. ბოგოლიუბოვი—ქალის ცრემლები და
ღიმილი დედის (ლექსი) 48
ი. უშვერიძე—ვფიცავ, გაგიზიარებდი ...
(ლექსი) 49
შ. შუბლაძე—მელისა (ნაწყვეტი
პიესიდან) 50
ბ. ბრეჰტი—ლა'სიოტელი ჯარისკაცი
(მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა
პ. ჯორბენაძემ) 52
ჯეკ ლონდონი—თეთრი მდუმარება
(მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა
გ. მაჭუტაძემ) 54

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა

ბორ. ქალ. სახელ.
საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დ. კილაძე — დედაშვილური ურთიერთობის საკითხისათვის გორკის შემოქმედებაში 61

შ. გოზალიშვილი — ირაოდიონ ევდოშვილის ფსევდონიმები და ფსევდონიმური ინიციალები 66

მწერლის არქივიდან

გრ. იმედაძე — ლაჟვარდიდან, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში, დებმა დაჰკრიფონ ოალარი (ლექსები) . . 70

აჭარის წარსულიდან

შ. მეგრელიძე — შერიფ ხიმშიაშვილი . 71

ლ. ებანოიძე — ალექსანდრე წულუკიძის რევოლუციური მოღვაწეობა ბათუმში 73

ლიტერატურული კალენდარი

ძ. შავგულიძე — ღვაწლმოსილი მუშა-პოეტი (პარმენ რურუას დაბადების 70 წლისთავის გამო) 78

მოგონებანი

ნ. ვერეშბიცკი — მარცხიანი საღამო . . 81

ხელოვნება

ჯ. ჩხეიძე — „ხიხანის ძახილი“ 87

ი. ძაშიბაძე — სპექტაკლი ახალგაზრდობის შესახებ 89

სპორტი

ძ. გოგიავა — ქალთა საჭადრაკო ტურნირი 91

წიგნის თარო

ნ. ჭეიშვილი — სერიოზული წვლილი ტოპონიმიკაში 93

ს. არველაძე — ახლის ძიებაში 94

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი შოთა ქურიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელეფონები 14-06, 13-35.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარმენ რურუა

გადლეგრძელებ, აჭარავ!

1

მკერდზე მძიმე ჭრილობის
გაჩნდა მუდამ იარა;
ბევრჯერ მკაცრმა გრიგალმა
რისხვით გადაგიარა.

გარს გეხვია მუდამ ჟამს
მტერი დიდი, პატარა,
სულმა მტკიცემ, უდრეკმა
ცეცხლში გამოგატარა.

რა ტანჯვა, რა წამება
შენ არ გადაგხდომია,
მაგრამ მტერმა ნანგრევის
ქვეშ ვერ მოგიყოლია.

აწ თავზე ვერ დაგჩხავლებს
სისხლისმსმელი ყორანი,
შენს სხეულს რომ ძიძგნიდა
ავად მოსაგონარი.

ვინც სიკვდილს ძლევს, გმირია,
და შენც უნდა ხარობდე,
რომ სიცოცხლის უკვდავ ჰიმნს
მუდამ ლაღად ჰგალობდე.

2

წმინდა გულით გადღეგრძელებთ,
ვაჟკაცებო ფხიანნო,
სიჩაუქით განთქმულებო,
შავარდენისფრთიანნო.

წინაპრების წმინდა სისხლით
    მორწყულო და ნამულო,
გადღეგრძელებ სიყვარულით,
    ჩემო კარგო მამულო.

გადღეგრძელებთ თქვენ, ძვირფასო
    მამებო და დედებო,
ვაჟებო და გოგონებო,
    ცად აწვდილო ქედებო.

იდღეგრძელეთ და იყავით
    მუდამ სათნო, ნათელი!
ნურასოდეს დაელევათ
    მგოსნებს თქვენზე სათქმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ გორგილაძე

ქეთევანის ოცნება

დივანზე უგრძნობლად გაშხლართულ ვაჟას სველი თმები შუბლზე ჩამოსწებოდა, დალურჯებულ, შეშუპებულ სახეზე კი სისხლი შედედებოდა.

ქეთევანმა შვილს გადაღეღილ, საკინძეშემოფლეთილ მკერდზე ყური დაადო. გული ხანდაზმით, სუსტად მუშაობდა.

შიშმა და დაბნეულობამ თანდათან გაუარა, ოდნავ დამშვიდდა.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— მობრძანდით! — გასძახა ქეთევანმა.

ოთახში მილიციის ლეიტენანტი შემოვიდა. იგი კუშტად მიესალმა ქეთევანს.

— თქვენმა ვაჟმა, — მკაცრად თქვა მილიციის რწმუნებულმა, — ერთი საათის წინ ზღვისპირა რესტორანში უმიზეზოდ შეურაცხყო რამდენიმე მოქალაქე. უდანაშაულო ხალხს ჩხუბი აუტეხა, რესტორანს ასორმოცდაათი მანეთის ზარალი მიაყენა. დანაშაული აშკარაა. პასუხი სამსჯავროს წინაშე უნდა აგოს. გააფრთხილეთ, დილით მილიციაში უნდა გამოცხადდეს...

მარტოდ დარჩენილი დედა სევდამ ისე ერთბაშად შეიპყრო, თითქოს მის სიმძიმეს ვეღარ გაუძლოო და ღონემიხდილი იქვე, დივანთან ჩაიკეცა.

— შვილო!

რა სითბოსა და სიტკბოს შემცველია ეს ერთი სიტყვა! განა შეიძლება იყოს მასზე უფრო ღრმა, უფრო მგრძნობიარე რამ? არა, არაფერი. შვილის კეთილდღეობას მშობელი თავის სიცოცხლესაც კი ანაცვალებს. მაგრამ რამდენად უბედურია დედა, როცა შვილის გულს ვერ გაათბობს მშობლიური ზრუნვითა და სიყვარულით, როცა შვილი მის უანგარო ამაგს ხელის ერთი დაკვრით არარაობად აქცევს...

— დავით, ჩემო დავით!—ქეთევანმა მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმულ სურათს ცრემლიანი თვალები მიაპყრო.—მაპატიე, შენი თხოვნა ვერ შევასრულე, არ

იქნა, ჩვენი ვაჟა შენს ღირსეულ გზაზე ვერ დავაყენე, ვერ შევაგნებინე, რომ ის მხოლოდ შვილი როდია დაქვრივებული ქალისა, არამედ მთელი სიცოცხლის და ნუგეში. შეხედე, რასა ჰგავს შენი ერთადერთი ვაჟი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევანმა ცრემლები ვერ შეიკავა. დივანს მიეყრდნო და ფიქრებში ჩაძირული მწარედ აქვითინდა. მწუხარებამ განვლილი ამბები, განვლილი ტკივილები მოაგონა...

მაშინ დასავლეთის უდიდეს სივრცეებზე ომის ქარიშხალი მძვინვარებდა, მაგრამ ქეთევანს რატომღაც სწამდა, რომ მისი მეუღლე უვნებელი და გამარჯვებული დაბრუნდებოდა. სხვაგვარად ვერც წარმოედგინა. მათ ხომ ერთი წელიც არ გაუტარებიათ ერთად და არც ოჯახური სიამით დამტკბარან.

ორმოცდასამის ივლისის ღამე წარუშლელად დარჩა მეხსიერებაში. კარი მოულოდნელად გაიღო. ქუჩის წყვდიადიდან შავებში ჩაცმული ქალები შემოვიდნენ. ისინი მეზობლები იყვნენ. ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს ძაძებში გახვეული სიკვდილი მოჰქონდათ. ქეთევანი ინსტინქტურად აცახცახებული ხელებით იქვე, იატაკზე სათამაშოებით გართულ ბავშვს დაწვდა და გულზე მიიკრა, თითქოს ვინმეს მისი წართმევა სურდა.

შემდეგ რა მოხდა, აღარ ახსოვს.

როცა გონს მოვიდა, აი, ამ დივანზე იწვა. მეზობლები თავს ეხვეოდნენ, რაღაც წამლებს ასუნთქებდნენ.

— გამაგრდი, ქალო, გამაგრდი. შენ შვილი მაინც შეგრჩა, ერთმანეთს მიხედავთ. მე ქმარიც დავკარგე და შვილიც, — ვიღაცამ მკერდის სიღრმიდან ამოიგმინა.

ვაჟა მაშინ სამი წლის იყო. მას არ შეეძლო გაეგო, თუ რა დიდი დანაკარგი განიცადა. გაუკვირდა, როცა დედამ ტუჩებზე ხელი ააფარა და სიმღერის უფლება არ მისცა.

ოცნებას, რომელიც წინათ იმედებს აღძრავდა ქეთევანში, ბოლო მოეღო. დავითი ცოცხალი აღარ იყო. მის მაგივრობას ოჯახში ვერავინ გასწევდა.

— მაგრამ შენ, შვილო, ობლობას მაინც არ გაგრძნობინებ, დღე და ღამეს გავასწორებ, არაფერს მოგაკლებ. — ქეთევანი შვილსა და თავის თავს სიტყვას აძლევდა. მისთვის ვაჟა უკვე მხოლოდ იმედი და ნუგეში როდი იყო, არამედ აქამდე უხილავი მაცოცხლებელი და მამოძრავებელი ძალა, მთელი მომავალი, უბედურებისა და მწუხარების შემამსუბუქებელი, ოჯახის დედაბოძისა და მარჩენალის მაგიერი.

ქეთევანი სამკერვალო გაერთიანებაში მოეწყო. ვაჟა საბავშვო ბაღში მიაბარა. ბიჭუნა შეეჩვია ახალ გარემოს. დაისაკუთრა სათამაშოები, შეიყვარა აღმზრდელი დეიდები.

საბავშვო ბაღი სკოლამ შესცვალა. ხუჭუჭთმიანმა, შავთვალება ბუთხუზა ვაჟამ მოსწავლის ჩანთით თამამად შეაღო სკოლის კარები და პირველი დღეებიდანვე მიიპყრო მასწავლებელთა ყურადღება. იგი უკვე კარგად წერდა, ანგარიში გამოჰყავდა. ბევრი ლექსი იცოდა, სუფთად ეცვა, ლამაზი და თავდაჭერილი იყო. ქეთევანი კი, ქეთევანი უკვე მხნედ, დაჯერებით შეჰყურებდა მომავალს. შორეულად აღარ მიაჩნდა ის დღე, როცა შვილი ოჯახს ხვავითა და ბარაქით აავსებდა, გატანჯულ მშობელს შვებას მოგვრიდა.

რაც უფრო გადიოდა წლები, რაც უფრო იზრდებოდა ვაჟა და მხარბეჭს შლიდა, დედას მით უფრო ემატებოდა ჭაღარა, თვალში სინათლე აკლდებოდა და მუხლებში ძალა. მაგრამ მაინც შეუსვენებლად მუშაობდა და მუშაობდა. ვაჟას კოსტიუმი, ტუფლები, პერანგები სჭირდებოდა... უმძიმდა ნაჯაფ დედას

მაგრამ მაინც უხაროდა. ეს სიხარული შვილით იწყებოდა და მისითვე ლავდებოდა, დიდი სამყარო დედისათვის ამ ერთი არსებით იზომებოდა და იწონებოდა.

ვაჟას აქებდნენ მასწავლებლები, აქებდა კომკავშირის კომიტეტი, ყოველი წლის ბოლოს ზეიმით მოჰქონდა სიგელი და საჩუქრები.

ბარათი მოვიდა, უსახელო ბარათი. ვაჟა უკვე მეცხრე კლასის მოსწავლე იყო. ქალიშვილი პაემანს საზაფხულო თეატრის წინ უნიშნავდა. საღამოს თბილისის ჯაზის გასტროლები იწყებოდა.

დედას გაუძნელდა სიხარულის დაფარვა. ბარათი თვითონაც გადაიკითხაი, მისი შვილი უკვე თექვსმეტი წლისაა. დავაჟკაცდა, რა ცოცხალი, მეტყველი, შუქით სავსე თვალები აქვს. ალბათ, როცა ქუჩაში მიდის, ვაჟები შურით შეცქერიან, გოგონები კი ფარულად ადევნებენ თვალს. აგერ, ერთმა ვეღარ მოითმინა, თვითონ გამოუტყდა სიყვარულში. იქნებ, მართლაც ცეცხლი ედება. წადი, შვილო, ნახე რა დღეშია... კარგად გამოაწყო. ჯიბეში ფული ჩაუდო და ეზომდე გააცილა.

დაბრუნებულ ვაჟას თან მოჰყვა ღვინის მძაფრი სუნი.

— რა ჰქენი, შვილო, მოვიდა? გაიცანი?

— არა, დედი, — ვაჟამ დარცხვენით თავი დახარა. — ბახულამ გამაცურა, რაც ფული მქონდა, დამახარჯვინა.

— ღმერთმა შეგარგოთ, ჩემო სიხარულო, ახალგაზრდები ხართ, გაერთობით, ხან გადაჰკრავთ, რა ვუყოთ, ასეც ხდება. — დედამ ალერსით დაუყვავა, ლოგინი გაუშალა. სასთუმალს მანამ არ მოშორებია, სანამ არ დააძინა.

ვაჟა ასე თანდათან შეეჩვია ფულს, ღვინოს, მეგობრებს და დროსტარებას. სასკოლო დღიურში გამრავლდა ოთხიანები, სამიანები და ორიანები. ქეთევანს ახლა უფრო ხშირად უხდებოდა სკოლაში მისვლა, იქიდან კი თვალცრემლიანი ბრუნდებოდა. წინათ როგორ უყვარდა ეს ორსართულიანი, თეთრად მოქათქათე შენობა, იქაური ყივყივი! იმ უთვალავ მგალობლებში ხომ მისი მერცხალიც ჭიკჭიკებდა. „ბედნიერი ხარ ასეთი შვილის დედაო“, ეუბნებოდნენ მასწავლებლები. ახლა? მათთან შეხვედრას გაურბის, თითქოს სამარცხვინო რამ ჩაედინოს.

— შვილო, ზეზეურად ნუ დამადნე. შენი თავი თუ არ გენანება, მე მაინც შემიცოდე. ჩემს ჭაღარას, ჩემს ცრემლებს ეცი პატივი,—ემუდარებოდა დედა.

— იჰ, შენც რა. გულს რაზე იტეხ? რა ბედენაა ხუთები, მე სამებითაც გამოვალ კაცი. აბა შენ კინოს ფული მოიტა. შემდეგ ყველას ერთად გადაგიხდი, დამაცა! — მხიარული ხვევნა-კოცნით ამშვიდებდა, დედის ლმობიერ გულს ადვილად იმორჩილებდა. იმას კი არაფრად აგდებდა, რომ შრომით მოქანცული დედა ხშირად თავისთვის ყრუდ ქვითინებდა.

ვაჟას სამებიც სანატრელი გაუხდა და საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა. დედამ უმჯობესად მიიჩნია ფული სესხად აეღო და ბავშვი მოემზადებინა, ვიდრე მთელი წელიწადი უქმად გაცდენოდა.

მარტოდ დარჩენილი ქეთევანი შემაშფოთებელ ფიქრებს თავს ვერ ართმევდა. უნდოდა გამოეცნო, მის ერთადერთ შვილს მომავალი რას უმზადებდა. ნუთუ ვეღარ მოაფხიზლებს? ვეღარ დაიმორჩილებს? რატომ მიუშვა თავის ნებაზე? რატომ არ შეუკვეცა ფრთები? რამ გახადა ასეთი გულქვა, ასეთი უგრძნობელი?

— დედა, რაც იყო, იყო. მე მოვინდომებ. მხოლოდ შენ ფული შემიგროვე. სწავლა თბილისში უნდა გავაგრძელო. ელექტრობა მიყვარს. ინჟინერი გავხ-

დები. აქ ასეთი სასწავლებელი არ არის; — საშუალო სკოლის დამთავრებას წინ განუცხადა ვაჟამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევანი სიხარულით ცას ეწია. სად იყო, სად არა, ფული გააჩინა.

დედა თბილისიდან ყოველდღე მღელვარებით ელოდა წერილს ან დეპეშას, მაგრამ რატომღაც შვილი დუმდა.

დუმილი დაარღვია ვაჟას დაბრუნებამ. იგი ისეთი გაგულისებით, პირქუშად შეხვდა დედას, თითქოს კონკურსში მისი დამარცხების მიზეზი ქეთევანი იყო. სახლში ერთი საათიც არ გაჩერებულა, რომ მონატრებულ დედას თვალი ეჯერებინა. უმალვე სუფთა პერანგი და ფული მოითხოვა.

ქეთევანს ის-ღა დარჩა, გულის ვარამი ცრემლებში ჩაეკლა.

ვაჟამ ქუჩას მიაშურა, მეგობრები მოიკითხა, რესტორანის კარები დარდიმანდის გამომეტყველებით შეაღო.

ყოველ დილით საუცხოოდ გაუთოებული პერანგი მზად თუ არ ექნებოდა, მისი ხმა მეზობელ ეზოში ისმოდა. დედას არც მაშინ ჰქონდა უფლება საყვედური ეთქვა, როცა სახლში მთვრალი ბრუნდებოდა.

ითმენდა ქეთევანი, ითმენდა, თუმცა აშკარად ხედავდა, რომ რაც უფრო მეტს ითმენდა, რაც უფრო მეტი თავნებობის უფლება ეძლეოდა ვაჟას, მდგომარეობა მით უფრო უარესდებოდა. ვაჟასათვის არ არსებობდა სხვისი სურვილები, სხვისი საჭიროებანი. იგი ახერხებდა ყოველთვის თავისი გაეტანა.

ქეთევანი გვიან, ძალიან გვიან ჩასწვდა თავის შეცდომას. გვიან შეიგნო, რომ ლმობიერ დედასთან ერთად უნდა ყოფილიყო მკაცრი, მომთხოვნი დედაც, რომელიც შვილის ყოველ ნაბიჯს თვალს ფხიზლად ადევნებდა და თავნება ახალგაზრდას ხრამში გადაჩეხვის საშუალებას არ მისცემდა.

როცა ქეთევანმა თავისი შეცდომა შეიგნო და გამოსწორება სცადა, დანაშაული უკვე ჩადენილი იყო. მის ერთადერთ შვილს ბრალდებულის სკამი ელოდა.

* * *

ვაჟამ თვალი გაახილა. ფანჯრებიდან დილის შუქი იღვრებოდა. უცებ ვერ მოისაზრა, სად იმყოფებოდა. წყურვილი ყელს სწვავდა. წამოდგომა გაუძნელდა. თავი მეტისმეტად დამძიმებოდა. ოდნავ წამოიწია და მაშინ...

მუხლებში ჩაკეცილი დედა დივანს მიყრდნობოდა, ჭაღარა თმა შუბლზე ჩამოშლოდა, ისე გაფითრებულიყო, ცრემლებით დაღარულ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

რა მოუვიდა? გული შეუღონდა?

— დედა! — ყრუდ, ხრინწიანი ხმით წამოიხრიალა.

პასუხი არ მიუღია.

შემკრთალი უფრო წამოიწია. დააკვირდა. ყური დაუგდო.

ოდნავ გასაგონი სუნთქვა მოესმა.

თითქოს საბედისწერო წუთი გადაიტანაო, გულზე მოეშვა.

— დედა! — ახლა გაბედულად, ხმამაღლა დაუძახა.

— ა? რა მოხდა? — შეშფოთებული ქეთევანი უაზროდ წამოიჯრა.

— ნუ გეშინია, მე გეძახდი.

ქეთევანი უმალვე გონს მოვიდა.

— დედა, მწყურია. ერთი ჭიქა წყალი, დედიკო.

— წყალიო? — გაკვირვებულმა ქალმა შვილს შეუტია. — წყალს კი არა შხამს დაგალევინებ, შე არამზადავ, ოჯახისა და მშობლების შემარცხვენელო!

სხვა დროს დედა ოდნავ თუ უსაყვედურებდა, შემდეგ უცბადვე მოლბებოდა, უფრთხილდებოდა შვილი არ გაეღიზიანებინა. ახლა? სახტად დარჩენილი ვაჟა ვერ მიმხვდარიყო, დედა ასე უკიდურესად რამ გააკერპა.

— „დედიკოო“ თანაც მეძახის ეს უსულგულო, — გაანჩხლებულმა ქეთევანმა უფრო და უფრო აუწია ხმას. — შე უტიფარო, სადა გაგავს დედა, სად? დაგავიწყდა, რომ ორი წლის წინათ ის სიცოცხლეს გამოასალმე? ოჰ, დავით, კიდევ კარგი, რომ ასე დამახინჯებულ შვილს არ ხედავ. — ქეთევანი მეუღლის სურათთან კედელს მიეყრდნო და აქვითინდა. მალე ქვითინი ისტერიულ გოდებად გადაექცა.

— შეიშალე? რასა გავს ეს? ხალხი გინდა შეიყარო? — ვაჟა დედას წინ გამოეჭიმა და მკაცრად უბრძანა: — ახლავე გაჩუმდი!

შვილის კადნიერებით შეურაცხყოფილი ქეთევანი, რაღაც უხილავი ძალითა და შინაგანი გამოძახილით აბორგებული სწრაფად შემოტრიალდა, შვილს მიეჭრა, ერთი ხელით გულზე სწვდა, უნდოდა მეორე სახეში გაერტყა, მაგრამ შვილის დაკაწრული, დალურჯებული სახის დანახვამ ძალღონისაგან დასცალა. მარჯვენი მოკვეთილივით ჩამოუვარდა. გონს მოსული და წინანდელი გადაწყვეტილებით შეძრწუნებული დივანზე მიეშვა.

ვაჟა სამზარეულოში გავიდა. პირის დაბანის დროს სახე აეწვა. გაუკვირდა, სარკეში ჩაიხედა და პირველად მაშინ შენიშნა დანარტყამი... სამზარეულოდან იგი თავდახრილი, დარცხვენილი დაბრუნდა და ფანჯარასთან ბავშვივით აიტუზა.

უბრად გავიდა ნახევარი საათი.

მყუდროება ვაჟამ დაარღვია.

— დედა, დედიკო, ეტყობა გადამიჭარბებია, გთხოვ მაპატიო. თუ ეს გავიმეორო, სახლში ნუ შემომიშვებ. მამას გეფიცები, აღარ გავიმეორებ. მხოლოდ მითხარი რა მოხდა, რა დავაშავე. არაფერი მახსოვს.

დედამ მკაცრი, გამომწვევი თვალები შვილს მიაპყრო.

— გუშინ სად იყავი?

— აკი გითხარი, ამხანაგთან, სადილზე დამპატიჟეს. დღეს არმიაში მიდის და თამადობა დამავალეს. ბევრი დავლიე. იქიდან წამოვედით. შემდეგ აღარაფერი მახსოვს.

— აღარაფერი გახსოვს? — ქეთევანი წამოდგა. — მაშ, კარგი. მილიციაში გეტყვიან, მილიციის უფროსთან უნდა გამოცხადდე. იქნებ, აღარც მოგიხდეს უკან დაბრუნება.

უკანასკნელმა სიტყვებმა ვაჟაზე უჩვეულოდ იმოქმედა, კედელს მიეყრდნო, რომ წონასწორობა არ დაეკარგა.

— შენი წონის ცრემლი და ოფლი მაქვს დაღვრილი. ზედ გადაგელიე. მინდოდა კაცი გამოსულიყავ. შენ კი გზას აცდი, დედის გულისთქმას ყური არ ათხოვე, ეშმაკებს აჰყევი, დღეიდან მზესაც მოინატრებ.

ეტყობოდა, ვიღაც კარებთან იდგა და დედა-შვილის საუბარს ისმენდა. როგორც კი ქეთევანი გაჩუმდა, მაშინვე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით! — ქეთევანმა ძლივს გასცა პასუხი. ჩამოშლილი თმები გაისწორა.

ოთახში მილიციის რწმუნებული შემოვიდა.

ვაჟას მთელ სხეულში მსუსხავმა ჟრუანტელმა დაურბინა, დაუძლეველმა თრთოლვამ შეიპყრო. სკამს დაეყრდნო, რომ მუხლებს არ ეღალატა. მილიციის თანამშრომლის მოსვლამ დაარწმუნა, რომ საქმე ცუდად იყო.

ქეთევანს არ ახსოვს, როგორ მოხდა, რომ ისევ დივანზე აღმოჩნდა, ისე, რომ უცხო კაცისათვის სკამიც არ შეუთავაზებია. მას არც ადგომა შეეძლო, არც სიტყვის დაძვრა. ერთბაშად მოდუნდა.

დაძაბული, ხანმოკლე დუმილი...

— კაპიტანი დავით თურმანიძე თქვენი მეუღლე ხომ არ იყო? — ცნობისმოყვარეობით იკითხა მილიციის რწმუნებულმა ისე, რომ სურათისათვის თვალიც არ მოუშორებია.

ქეთევანმა თავი დაუქნია.

— ჩემს ბატალიონს მეთაურობდა. ეჰ, რა კაცი იყო...—მილიციის რწმუნებულმა თავი ჩაქინდრა, მოგონებებში ჩაიძირა, ეტყობოდა ბევრი, ძალიან ბევრი ჰქონდა სათქმელი.

ამჯერად დუმილი ხანგრძლივი აღმოჩნდა.

— იცით რა, — მილიციის რწმუნებული მაგიდასთან დაჯდა და საქაღალდე გახსნა. — დარწმუნებული ვარ, თქვენი შვილი გუშინდელ მოქმედებას ღრმად ჩაუკვირდება და საჭირო დასკვნას გამოიტანს. დავითის შვილს უფლება არა აქვს მამის გზას აცდეს. მოდი, ეს საქმე მოვსპოთ. დაზარალებულთ მე ვთხოვ დაგვითმონ. შემდგომში თქვენს შვილს, მის მოქმედებას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ. ეს ჩემი უბანია... თქვენ მხოლოდ დღესვე რესტორანს გადაუხადეთ ზარალი. აი აქტი...

მილიციის რწმუნებული წასასვლელად წამოდგა.

* * *

შემდგომ დღეებში ვაჟა სახლიდან არ გამოსულა. სახე მთლიანად ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა. თვალთან ისევ აჩნდა ვიღაცის ფოლადივით მტკიცე მუშტის ნაკვალევი. ოთახში ჩაფიქრებული იჯდა ან წიგნს კითხულობდა.

დედა-შვილი თითქმის უბრად იყვნენ. არც ერთი არ ჩქარობდა პირქუში, სულის დამამძიმებელი ურთიერთობა დაერღვია. შვილი დედას თვალს ვერ უსწორებდა. დედა სიკერპეს ინარჩუნებდა, თუმცა შვილის სიყვარულისა და სიბრალულის გულის სიღრმეში შეგუბებული გრძნობა წუთის წუთზე ამოხეთქვას ლამობდა. „მაგრამ ჯერ არა, ჯერ არა. გამაგრდი, ძალღონე მოიკრიბე. ხომ გამოსცადე, შენი ლმობიერება როგორ გამოიყენა? ერთადერთი შვილი კინაღამ დაღუპე. აგრძნობინე, რომ დათმობას არ აპირებ, მტკიცედ იდექ საკარაჯოზე“, — ეთათბირებოდა ქეთევანი თავისთავს. მას მომხდარი შემთხვევა გარეგნულადაც დაეტყო. მუდამ დაღვრემილი იყო, თვალები ჩაუმუქდა. ღამით ბორგავდა, ცუდად ეძინა, ძილშიაც კი სტიროდა.

შესვენების დროს სადილის მოსამზადებლად სახლში დაბრუნებულ ქეთევანს ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოესმა.

— მთელ ქალაქში თავი მოგვეჭრა, ჩვენი სურათი „ნიანგის ფანჯარაშია“ გამოჭრილებული. საკვირველია, როდის გადაიღეს. მე ორ კაცს ვყევარ დაჭერილი, შენ იატაკზე ხარ ჩაკეცილი. ირგვლივ აყირავებული სკამები, მაგიდები და დამსხვრეული ჭურჭელია მიმოფანტული.

— ვაი, სირცხვილო!

— ღამით ვიტრინას ნამსხვრევებად ვაქცევ, ჩვენს გამათრახებას მეორედ ველარ გაბედავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევანმა ხმაზე იცნო ბახულა. იგი უმალვე ოთახში შეიჭრა.

— რაცა მჭირს, შენგან მჭირს, ჩემს ოჯახს აღარ უნდა დაეხსნა? აი, კარები, შორს ჩვენგან!

ქეთევანის მოულოდნელი შემოსვლითა და მოსმენილი სიტყვებით დაბნეული სტუმარი ვაჟას მიაჩერდა, მისგან ელოდა შველას.

— ბახულა, დედაჩემი მართალია, ჩვენ ერთად არ ვარგივართ. უმჯობესია დავშორდეთ. შენც დაფიქრდი, ურიგო არ იქნება მშობლებსაც გაუგონო.

შვილის სიტყვებმა დედას იმოდენა შვება აგრძნობინა, რამდენიც მთელ უკანასკნელ წელიწადში არ განუცდია. იგი სიამოვნებით უმხელდა თავს, რომ მისი ამაგი მთლიანად არ დაკარგულა.

კვირას ვაჟამ გაიუთოვა შარვალი და პერანგი. სახეზე განვლილი შემთხვევის კვალი აღარ აჩნდა. წარსულიდან მხოლოდ დაუვიწყარი მწარე მოგონება შერჩა. მისი თვალების სევდიანი გამომეტყველება თანდათან სიხარულის, შინაგანი გადაწყვეტილების შუქმა შეცვალა.

დილით ვაჟამ დედას დაასწრო ადგომა, ისაუზმა და სადღაც წავიდა.

— ელექტროელსაწყოების ქარხნის მშენებლობაზე ვიწყებ მუშაობას!— ახალი ამბავი დაახვედრა საღამოს შინ დაბრუნებულ დედას.

ქეთევანს გულიდან მძიმე, მტანჯველი ტვირთი მოეხსნა.

შვილის საქციელმა ქეთევანი ისე გაამხნევა და გამოაცოცხლა, რომ გაორკეცებული ძალა იგრძნო, თითქოს თვალშიც მოემატა შუქი, აღარ უძნელდებოდა დილით ადრე ადგომა. მას ხომ ქალაქგარეთ უხდებოდა გამგზავრება, იქ კი... თავისუფალ დროს ნახა, რასაც აკეთებდნენ მისი შვილი, ვაჟას თანატოლები, რომელთა ბრიგადის ხარაჩოზე მუდამ ფრიალებდა წითელი დროშა. რა არის დედის გული! მას უკვე უყვარდა ის ქარხანა, რომლის მშენებლობაშიც ვაჟა მონაწილეობდა, ის ქუჩა, ის უბანი, სადაც ქარხანა სწრაფად შლიდა ფრთებს, და „მეთევზეთა დაბის“ ავტობუსიც კი, რომელიც ვაჟას დაატარებდა.

თვის ბოლოს ღიმმორეულმა ვაჟამ დედას პირველი ხელფასი გადასცა.

— შვიდასოცდაათი გამოვიმუშავე. ასოცდაათს ჩემთვის ვიტოვებ, შემდგომ თვეებში მეტს მივიღებ. მე ხომ რვა რიცხვიდან დავიწყე.

— შენ კი გაიხარე, შვილო, ჩემო ვაჟკაცო. — დედამ შვილი გულში ჩაიკრა, სახე, თვალები, ხელები დაუკოცნა.—აი, როგორც იქნა, მომესწარი, მხარში მიდგეხარ. მადლობა ღმერთს! — ღრმად, შვებით ამოისუნთქა. სახარჯოდ ჩემი ხელფასიც გვეყოფა. მაგით, რაც გინდა, ის შეიძინე, გამოჩნდეს შენი პირველი გარჯის შედეგი.

— თუკი ასეა, მაშინ რადიომიმღებს ვიყიდი.

— ჰო, როგორც გინდა, შვილო... — დაუტკბა დედა.

ასე თანდათან დედა-შვილისათვის ახალი, მანამდე ჩაუწვდომელი ურთიერთობა დამყარდა, უფრო ახლობელი, უფრო გულისხმიერი, თბილი და გაბედული. ყველაფერს ახალი იერი მიეცა, საზეიმო, საბედნიერო. თვით ადამიანებიც შეიცვალნენ, უფრო კეთილი, მხიარული, ბედნიერი გახდნენ. ახლა ქეთევანმა ისიც სინანულით მოიგონა, რომ ბახულა ოჯახიდან დაითხოვა. მაგრამ რა ექნა, შვილი ეღუპებოდა. აი, ხომ აშკარაა, დაღუპვას გადაარჩინა.

შემოდგომის მიწურულიდან ქეთევანმა შეამჩნია, რომ ვაჟა საღამოობით ხშირად „იკარგებოდა“. წასვლის წინ სარკესთან დიდხანს ტრიალებდა, კოხტაობდა, ღამით კი ხალისიანი, აღგზნებული ბრუნდებოდა.

— ეს სიყვარულია. — თავისთვის ჩაილაპარაკა და გაიღიმა. შემდეგ მკერდზე ნატვრით დაიკრიფა ხელები და ოცნებაში გადაეშვა. ის უკვე ხედავდა და აკვანთან მოფუსფუსე შავთვალა, მსხვილნაწნავებიან, ჯანღონით სავსე რძალს...

ერთხელ, საღამოთი, ვაჟა დედას გაუბედავად გამოუტყდა.

— დედა, დედიკო, იცი, იანვრიდან ერთი წლით უნდა გამოგეთხოვო, რუსეთში მივდივარ.

— რუსეთში? — შეცბუნებულმა დედამ შვილს მკაცრად შეხედა. — ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებ? მეგონა საქმეს გული დაუდე. რუსეთი რაღამ მოგაფიქრა?

— კი არ გავრბივარ, დედი! — ალერსით დაამშვიდა. — ქარხნის მშენებლობა მალე დამთავრდება. რამდენიმე ახალგაზრდას, რა თქმა უნდა, რჩეულთ,— ნიშნის მოგებით თვალი ჩაუკრა, — სასწავლად გვაგზავნიან. ნუ დამიშლი, დედი, ერთი წელი ჩქარა გაივლის. შენ ხომ გინდოდა ინჟინერი გავმხდარიყავ, ეს პირველი ნაბიჯი იქნება.

გულაჩუყებულმა დედამ შვილს თვალი მოარიდა, სახეზე თავშალი ჩამოიფარა, ცრემლი ფარულად მოიწმინდა.

— რა იყო, რატომ ტირი, დედა, გეწყინა?

— კი არ ვტირი, შვილო, ეს სიხარულის ცრემლებია. განა ახლა ჩემზე ბედნიერი ვინმე იქნება? — ქეთევანი შვილს მკერდში იკრავდა. ხუჭუჭა თმებზე ეალერსებოდა, თანაც ცრემლნარევი ღიმილით ჩურჩულებდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნესტორ მაღაზონია

აკაკის ძეგლი ქუთაულეთში

მზე ყოველდღე ჩაქვისთავში
გაშლის ცეცხლის დალალებს,
ჩანჩქერების ფრთიან ჭავლში
ჩაყრის ოქროს და ლალებს.
გაიხსნება შუბლი მთისა
ფართოდ, განა ვიწროდა,
სწორედ ისე, ლექსის თქმისას
აკაკიმ რომ იცოდა.
გაიღიმებს გარიჟრაჟი
დღის სინათლის მომფენი,
ამწვანებულ მთა და ბარში
ამღერდება სოფელი.
თვით აკაკიც თვალს გაახელს
ქვაში გამოკვეთილი,
გაუღიმებს ოდა-სახლებს,
როგორც მამა კეთილი,
და თავისთვის იტყვის გულში:
— საყვარელო მხარეო,
ჩვენს ერთიან, ტკბილ მამულში
დატკბი და იხარეო!

სათემეზიაში

როგორც ჩვენი ხევსურები,
როგორც ხირხათელები,
ცის ლაჟვარდში ხელს ურევენ
წიფლები და თელები.
მწვანე ხევის გულში შარა
გზას მიიკვლევს ფარულად
და მანქანებს უშიშარად
გაუმართავთ მარულა.
მხიბლავს ეს მთა და მთის ძირი,
ტყე, ხევი და მადანი,
მაგრამ უფრო მზის სიცილი —
ყველა მადნის ბადალი.
და ამ შვებით,
და ამ ღელვით
გული ისე ამევსო,
ას წელს კმარა სასიმღეროდ,
სალაღოდ და სალექსოდ!

მესაზღვრის სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვხატეთ ცის თაღი და კეფა,
მტრედების მივეცით ფერი.
ამ ცაზე ვარსკვლავის საკრეფად
ვერა,
ვერ შემოვა მტერი.
ჩვენ ეს მთა ბატონებს წავართვით
და მწვანე დავადეთ ფერი.
ვერც მეფის,
ვერც სხვათა სამართლით
ვერა,
ვერ წაიღებს მტერი.
შავი ზღვა ჩვენია მარადის —
შავით
თუ მოლურჯო ფერით.
მხეცური,
ველური ნავარდით
ვერა,
ვერ გაცურავს მტერი.
მე ვფიცავ ყველაზე ახლობელს —
მტრედის ცას,
მწვანე მთას,
შავ ზღვას —
რამდენი მგელიც არ დახროვდეს,
ვერა,
ვერ გადმოვა საზღვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

ვ ი ც ი

ვიცი ყველაფერს შემინდობ ერთობ
და მეც ყველაფერს ამიტომ გიმხელ,
გინდა ის ცეცხლი სხეულში ენთოს
და ტრფობა ჩვენი ემსგავსოს ციხეს.

რომ ვერ გატეხოს მომხვდურმა ძალით,
რომ ხორციელმა ვერ შეხსნას ბჭენი,
რომ გავუსწოროთ ერთმანეთს თვალი,
რომ ვიყოთ ასე ღიმილისმჩენნი,

რომ ვიყოთ ასე ოცნებით სავსე,
რომ ვიყოთ ასე ალერსით სავსე,
შენ ჩემს სიცოცხლეს
აახლებ,
ავსებ.
შენ მდინარე ხარ ნაპირებსავსე.

შენა ხარ თბილი ოჯახის დედა,
ჩემი კაცობის ნამუსი მთელი.
ჩემი ფიქრის და სიმღერის ერთა,
გაზაფხული და მადლსავსე რთველი.

ყველა თვალებში შენს თვალებს ვხედავ,
ყველა ღიმილში შენს კდემას ვეძებ,
მე მტანჯავს, ხან რომ შენს წყენას ვბედავ,
შენ ჩამწვდი სულში ბოლომდე ბედზე.

და მეც
ყველაფერს,
ყველაფერს გიმხელ
და შენც ყველაფერს შემინდობ ერთობ,
და მინდა ვგავდე აუღებ ციხეს,
ჩვენში ეს ცეცხლი ღვიოდეს, ენთოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა ღ ლ ა

როცა მიკვირდა, რად ბოლავს ნისლი,
როდესაც მწამდა ციხარტყლის ჯადო,
როს მქონდა შიში ღელესთან მისვლის,
როს ვერ ვარჩევდი უნდოს და სანდოს.

როცა ვერ ვგრძნობდი ერთხელაც დაღლას,
ვერ მაშინებდა სიგრძე ბილიკის,
ვფიქრობდი, ა იმ მწვერვალზე მაღლა,
ვფიქრობდი, ა იმ თეთრ ღრუბელს იქით —
არ არის-მეთქი სიმაღლე მეტი
და ვესწრაფოდი შემედგა ფეხი.

წარვიდნენ დღენი. მწვერვალზე შევდექ
და გამიცუდდა ოცნება იქვე,
სხვა მაღალ მთაზე ავედი შემდეგ,
ის იყოს-მეთქი მაღალი იქნებ.

გაიხსნა ჩემს წინ სამყარო იმ დღეს,
ვთქვი, შევიცანი ცხოვრება ახლად,
რაგინდ უმაღლეს მწვერვალზე იდგე,
მაინც რაღაცა კვლავ მოჩანს მაღლა.

„ბერიკაცი ვარ...“

ერთიც დასძახე „ბერიკაცი ვარ“,
შემდეგ მზადა ვარ უსიტყვოდ გეყმო,
თუნდ დამკარ ტყვია, წამომაქციე,
შენი გულისამ, ესეც არ მეყოს.

ესეც ვერ მომფხანს გულს იმნაირად,
ვით მოძახილი, ქართული ბანი.
გაიბზარება ისევ დაირა,
რაგინდ ახურო რამდენი ხანიც.

ბერიკაცი ვარ,
ბერიკაცი ვარ,
მაინც არ მოვთხოვ მტერს შებრალებას,
ასეულ წლობით
ნასეტყვს,
ნაცივარს,
პიტალო კლდენი მიდგას ძვალებად.

ბერი ვარ.
— რქა ხნავს ბებერი ხარის.
ცოტა მაცალეთ ამ მზეს შევხედო,
ამ სილამაზის,
სიმწვანის ხათრით,
ასჯერ მოვუწყობ სიკვდილს შეხვედრას.

ერთიც დასძახე „ბერიკაცი ვარ“
და გაგიხდები ყურმოჭრილ მონად,
ორი ჭოროხი ცრემლად დამცვივა
და გული ხდება ორი მთის წონა.

7777

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეღეა კახიძე

ჰეი, სად ხართ გოგოებო!

ჰეი, სად ხართ გოგოებო,
მაქრობს შიშის ელდა,
ქუჩა-ქუჩა მეძებს ალბათ
ჯავრიანი დედა.
გავსებული ჯიბეებით
შინ მისვლას ვერ ვბედავ.

ღობეღობე სიცილია,
ბუტბუტია ხეთა:
— ტყავს გაგაძრობს ძია ვანო,
თუკი ჩაგიხელთა.
აგერ ახლოს, თხილის ახლოს,
ციცნათელებს ვხედავ.

თუ შემიპყრეს ქურდობაში
მოვახერხებ ამდენს,
მოვუყვები ძია ვანოს
ტყუილ-მართალ ამბებს,
მერე ვეტყვი: — შენ რა გინდა,
ციცნათელებს დავდევ!

ნეტავ ჩქარა არ გათენდეს,
მეშინია ხვალის,
მემუქრება ალბათ დედა,
უფითრდება ხალი,
სახლში როგორ მივიტანო
ნაქურდალი მსხალი.

ბინდმა ბაღში ბუჩქნარები
ჭინკებს დაამგვანა,
თუკი მინდა ხილეული,
შინ ცოტა მაქვს განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ახლა ბაღნარს დასწოლია
ნაცრისფერი ბინდი,
აღარ ყვავის ხეხილებში
ნაბოლარა შვინდი,
ძია ვანო წყვილი კოკით
წყალზე აღარ. მიდის.

ღობეღობე მივდევ ანწლებს,
ფრთხილად მივაბიჯებ,
ვეძახი და ხმას ვერ ვაწვდენ
ჩვენი უბნის ბიჭებს!

ღობეღობე სიცილია,
ბუტბუტია ხეთა,
ჰეი, სად ხართ გოგოებო,
რატომ ვერა გხედავთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუგოშელი

შენ გრიგალს ეგებებოდი

მიყვარხარ, მუხავ ბებერო,
მომწონს ეგ ჯმუხა სხეული,
ხავსის პერანგი გიხდება
საკინძეჩამოხეული.
შუბლზე სიამის შუქს იფენ,
გულმზიან ბერიკაციანით,
როცა შენს მხარზე მხრებს კეცავს
ომგადახდილი არწივი.
გშვენის, ბერმუხავ, რტოებზე
უსურვაზი და კუნელი.
გულზე ფოთოლი დამადე —
განკურნოს განუკურნელი!
გამომაშუშე ნეშოში,
შენი ჯიშისა ვიქნები,
მასწავლე, როგორ მოვწოვო
მიწის რძიანი ჯიქნები.

შენ იყავ პაპას მფარველიც-
მავნეს არ მიაკარებდი,
დარბაზის დედაბოძი და
მისი ჯიხურის კარები.
შენ გრიგალს ეგებებოდი
გაუცვეთელი ჯავშნითა,
ღამით კი ზეცა ნაავდრი
რტოზე ვარსკვლავებს გაფშვნიდა-
მიწის მადლიმც ნუ მოგაკლდეს,
ცვარმა ციურმა დაგცვაროს,
ქვესკნელში ფესვებგადგმული
ეჩრდილებოდე ცხრა წყაროს-
შენ, ჩემო კერის იმედო,
ნისლებით თავშეხვეულო,
ხავსის პერანგით მოსილო,-
საკინძეჩამოხეულო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა კაკიჯაძე

სიბრალის მსხვერპლი

ელბაქიძის დაღმართი მანქანამ მთელი სისწრაფით ჩაიქროლა, ხიდიც თვალის დახამხამებაში გადასერა და იქვე გაქვავდა. მანქანიდან შუახნის სიმპათიური მამაკაცი გადმოვიდა, კარები ნერვულად მიხურა, თითქმის სირბილით შევიდა მოსახვევამდე და ვიღაც ბავშვიან ქალს დაეწია. ქალმა ბავშვი გულზე მაგრად მიიკრა და მამაკაცს შეშფოთებით გაეპასუხა.

არავინ იცოდა, რაზე საუბრობდნენ ისინი, რა საქმე ჰქონდა ამ შუახნის სიმპათიურ მამაკაცს ახალგაზრდა ქალთან. არავინ იცოდა და არც არავის აინტერესებდა... კოპწიად გამოწყობილმა ქალიშვილმა მოსაუბრეთ გვერდით ჩაუარა, უცნაურად დააკვირდა ერთსაც და მეორესაც, ხოლო როცა მამაკაცის მზერა დაიჭირა, თავი დახარა და მორცხვად წარმოთქვა:

— სალამი, პატივცემულო პროფესორო...

მამაკაცმა ბავშვს ორივე ხელი მოხვია, უნდოდა მოფერებოდა, გულში ჩაეკრა თვალებდაცეცებული ბიჭუნა, მაგრამ ქალმა არ დაანება. „არა და არა, საზიზღარო!“ — ცივი ხმით გაიძახოდა ის და მთელი ძალით გარბოდა. სული ეხუთებოდა, ყურში ადევნებულის ფეხის ხმა ესმოდა და სასოწარკვეთილებით ეკვირეოდა: „მიშველეთ... ვერ მივცემ... მომეხმარეთ!..“ გამვლელნი განცვიფრებით მიჩერებოდნენ პროფესორს, რომელსაც ბავშვის მოსაფერებლად გაწვდილი ხელები ჰაერში გაშეშებოდა. მალე მას ცნობისმოყვარეთა წრე შემოეხვია, კითხვებს კითხვებზე აყრიდნენ. მას კი არაფერი ესმოდა და მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: როგორმე მანქანამდე მიეღწია. ბარბაცით გადადგა კიდევაც რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ იქვე ჩაიკეცა და ასფალტზე მოჭრილ ხესავით გაიშოტა.

ბავშვიანი ქალი მოსახვევს მიუახლოვდა. აუხვია კიდევაც, მაგრამ ვეღარ მოითმინა და უკან მოიხედა. მოიხედა და გარკვევით დაინახა, თუ როგორ წაიქცა ის... დაბრუნება უნდოდა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ძლივს მეორე

სახლამდე მიაღწია, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ნაცნობი ქალის კარებს მიეხალა. კარები სასწრაფოდ გაიღო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის წაიქცა... ის წაიქცა...

— ვინ ის, გამაგებინე! — გაოცებით შეკრთა ნაცნობი ქალი.

— ის წაიქცა, აგერ მოსახვევში. წადი, უშველე, ყველაფერს გეტყვი... ყველაფერს გეტყვი... ოღონდ უშველე...

ქალი კიბეებზე დაეშვა. იქვე ახლოს თავმოყრილი ხალხი შენიშნა. ფეხს აუჩქარა, მივიდა და დაინახა — სასწრაფო დახმარების ექიმი ასფალტზე გაშოტილ მამაკაცს პულსს უსინჯავდა. კიდევ ორიოდე წუთი და ექიმი ფეხზე წამოდგა, გაყინული თვალებით გადახედა ხალხს და მძიმედ წარმოთქვა:

— გარდაიცვალა...

2.

ვეებერთელა დარბაზში ხალხის ტევა აღარ იყო. ყველას აინტერესებდა უბედურების ნამდვილი მიზეზი. პავლეს მეუღლე კლეოპატრა მიცვალებულის ახლოს სავარძელს მისვენებოდა. ხანდახან ამოიძახებდა: — კაკოე გორე, კაკოე ნესჩასტიე,—და თვალებს მაშინ გაახელდა, როცა ხელზე მამაკაცის ტუჩებს შეიგრძნობდა. შუშაბანდში შოფერს ხალხი შემოხვეოდა: — რატომ გააჩერა მანქანა? ვინ იყო ის ქალი? შოფერი კი ყველას ერთნაირ პასუხს აძლევდა: არაფერი უთქვამს, არაფერი ვიცი.

ორმა ქალმა კლეოპატრა შუშაბანდში გაიყვანა. ფანჯარასთან ახლოს სკამზე ჩამოსვეს.

— არჩილ, მოდი აქ! — ბრძანების ტონით მიმართა მან შოფერს.

არჩილი სასწრაფოდ კლეოპატრასთან გაჩნდა.

— გამარკვიე, რაშია საქმე, — დაიწყო კლეოპატრამ. ჩინური ხალათიდან ცხვირსახოცი ამოიღო და უცრემლო თვალებზე რბილად მოიცაცუნა.

არჩილმა საქმის ვითარება გააცნო.

— მაშ თქვენ არ გახსოვთ ის ბავშვიანი ქალი?

— არა, სრულიად არა. მანქანა პავლემ მოშორებით გამაჩერებინა.

— ააა... — გააგრძელა კლეოპატრამ. — მე კი ვიცი. მაშ ასე, არა? ოჩენ ხარაშო. ძალიან კარგი. ეკუთვნის... ეკუთვნის...

სასწრაფოდ წამოხტა, თმებზე ხელი გადაისვა და საძინებელი ოთახისაკენ გაემართა. კარები სასწრაფოდ მიიხურა, კარადა გამოსწია, იქიდან შავი ხაევრდის კაბა გამოიღო, გადაიცვა, კედლის სარკის წინ პატარა სკამზე ჩამოჯდა და ჩამოშლილი თმები სავარცხლით შეისწორა. ტუჩებზე პომადა დაიმატა და კვლავ მიცვალებულის ახლოს სავარძელში მიესვენა. პაპიროსი ზედიზედ გააბოლა.

ცოტა ხნის შემდეგ კლეოპატრამ ვიღაც მაღალ მამაკაცს ხელი დაუქნია და თავისთან მიიწვია.

კარის მეზობელმა, ცნობისმოყვარე თებრონემ ყურები დაცქვიტა. კლეოპატრა მამაკაცს ეჩურჩულებოდა.

— გასვენების დღე დადგენილია. კვირას ვასაფლავებთ. მე კი სამშაბათს ვმღერი. სპექტაკლი არ გადადოთ, უსათუოდ მოვალ.

— ქალბატონო კლეოპატრა, ჩემი აზრით, ეს ცოტა უხერხული იქნება. სპექტაკლს იქითა კვირისათვის გადაგიდებთ.

— ნიჩევო პადობნოვო. მე თქვენ გთვლით კულტურულ ადამიანად. ეტო სლუჟბა, გენაცვალე. რაზვე მოჟნო ტაკ — პუსკაი გავარიატ ჩტო ხატიატ.

— კარგი, კარგი! — მორიდებით გაეპასუხა მაღალი კაცი და ბოდიშის მოხდით გაეცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლეოპატრას სიტყვებმა თებრონეს კინაღამ გული შეუღონეს. საქმიანობა თარება გვერდში მყოფ ქალებს გააცნო და ყველამ კლეოპატრას ზიზღით გადახედა.

მეორე დღეს მთელმა ქალაქმა გაიგო პროფესორ პავლე ზედგინიძის გარდაცვალება, მაგრამ გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი მხოლოდ კლეოპატრამ იცოდა.

3.

ვაკის სასაფლაოდან უკან დაბრუნებისას არჩილმა პროფესორის დედ-მამა მანქანაში ჩაისვა. გამწარებულმა ივლიტამ ჯერ კი იუარა, მაგრამ არჩილი არ მოეშვა და რაღას იზამდა — დათანხმდა. ცრემლიანმა შავი თავშალი თვალებზე ჩამოიფარა და მანქანის კუთხეში საცოდავად მოიბუზა. ქვითინებდა. კარგა მანძილი გაიარეს. არჩილმა მანქანას პავლეს სახლისაკენ აახვევინა. გიორგიმ ადგილი შეიცნო და შოფერს სთხოვა: „მამაშვილობამ, იმ ქალს ნულარ დამანახვებ, პირდაპირ სადგურში წაგვიყვანე“. არჩილმა ახლა მანქანა მთელი სისწრაფით სადგურისაკენ გააქროლა.

მატარებლის გასვლას სულ რამდენიმე წუთი აკლდა. გიორგი, ივლიტა და არჩილი ვაგონის წინ იდგნენ. მოხუცები სულგანაბული უსმენდნენ არჩილს. იგი კი მათ პავლეს ცხოვრებიდან რაღაც ეპიზოდს უყვებოდა და თან ხელში პატარა ფუთას ატრიალებდა.

— უკვე მოგახსენეთ, რომ პავლე ვიღაცას ეძებდა-მეთქი. ერთ ადგილას მივედით. ვიღაც ქალი გამოვიდა და პავლეს უთხრა: მართალია, ის ჩემთან ცხოვრობდა, მაგრამ მეორე კვირაა სხვაგან გადავიდაო. გადასვლის დროს ჩემთან ფუთა დარჩა და, თუ მისი ნათესავი ბრძანდებით, თქვენთან ალბათ გამოიცვლის და გადაეცითო. პავლემ ფუთა წამოიღო, მაგრამ კლეოპატრას შიშით სახლში წაღება ვერ გაბედა. მე მომბარა. ძალიან მთხოვა, შენთან იყოს და შემდეგ ისევ დავიბრუნებო, მაგრამ აღარ დასცალდა საცოდავს, თქვენ წაიღეთ. ისე სასოებით ჩამბარა, რომ, ალბათ, საჭირო ნივთებია შიგ.

გიორგიმ სასწრაფოდ ჩამოართვა ფუთა, ესიამოვნა შვილის ხელნაკეთი ნივთის ხელის შეხება.

დიქტორმა მატარებლის გასვლა გამოაცხადა. გამცილებლებმა დატოვეს ბაქანი. ნაღვლიანად მიაბიჯებდა არჩილი. ასჯერ მეტი ნაღველი დაუფლებოდათ ივლიტას და გიორგის. მთელი ღამე არ სძინებიათ მოხუცებს. მომდურავებივით ისხდნენ პირისპირ და ერთმანეთს ცრემლებს უმალავდნენ.

* * *

სახლში შესვლისთანავე ივლიტა ფუთას დაეტანა, გახსნა და, როცა ბავშვის ტანსაცმელს ხელი შეახო, „ვაი, შენს ბებიასო!“ — ამოიკვნესა და ისე შეიცხადა, თითქოს დღეს გაიგო მისი პავლეს უეცარი გარდაცვალება.

გიორგის ყურადღება გაზეთშემოკრულმა რვეულმა მიიპყრო. ამოიღო, გადაშალა. „ქეთევანის იქნებაო“, — გულში გაიფლო... გაუმართლდა... მეორე ოთახში აჩქარებით გავიდა, კარები ჩაიკეტა, ფანჯრის ახლოს დაჯდა და სათვალე მოიმარჯვა. პირველ გვერდზე მხოლოდ სამი სიტყვა ეწერა: „დღიურები“, ხოლო მის ქვემოთ — „ფრთაშესხმული ოცნებით“. ხელნაწერი ასე იწყებოდა:

მეთერთმეტე სექტემბერი... ათი შენთან, ჩემო ბები, ერთი — უშენოდ. დღეს აღარ გიკოცნია ჩემთვის ისე, როგორც სკოლაში წასვლის წინ. მომენატრე... თითქოს წლები გასულიყოს. დღეს შევაღე პირველად ინსტიტუტის კარები. სიცივე ვიგრძენი. კვლავ სოფლის შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. ყველა ამხანაგს ვინმე ჩვენს სოფელს ვამსგავსებ ხოლმე. ყურში კი ჩვენი კამკამა წყაროს რაკრაკი ჩამესმის. ჩემს დედიკოს უკანასკნელი თხოვნა შევუსრულე. მე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვარ. თუმცა მას რაღა... ვეღარ ვუშველე... როგორ მინდა მის საფლავთან ვიყო და ვუყვებოდე ჩემს ქალაქურ ცხოვრებაზე. ცრემლები მახრჩობს... არ მიდარდო, ჩემო ბები. მალე განახავ. ჩემი დაღუპული დედა-მამის სამაგიეროვ, ჩემი ნაღვლიანი ბავშვობის მოწმევ.

1 სექტემბერი.

* * *

მომაჯადოვა თბილისმა, მომცხო მისი თილისმა, შევიყვარე... ვიპოვე, რასაც ვეძებდი... მეგობრები შევიძინე... ასე მგონია, თითქოს აქ დავიბადე.

5 ნოემბერი.

* * *

გამოცდები დამეწყო. დღეს პირველი საგანი ჩავაბარე — ხუთიანი მივიღე. საშინლად აცივდა. თოვს. თეთრი ფანტელები შენს გადაპენტილ თმებს მაგონებენ, ჩემო ბები, რაც ნახვის სურვილს კიდევ უფრო მიორკეცებს. მალე განახავ.

10 იანვარი.

* * *

ახალი ლექციები. ახალი ადამიანები. რად მაჩერდებოდა დღეს ასე დაჟინებით პროფესორი? მე ის პირველად ვნახე... ალბათ, ჩემი ტოლი გოგონა ჰყავს. ხომ არ მიმამსგავსა?

20 მარტი.

* * *

ვცდილობ მის დაჟინებულ ცქერას თვალი ავარიდო. მაგრამ სახეზე რად მედება ალი? რა ნაღვლიანი თვალები აქვს? ღმერთო ჩემო! ნაღვლიანი კი არა, არეული — იმ კაცის თვალებში თითქოს სიყვარული შევნიშნე. ო, არა, მე ეს მეჩვენება.

5 მაისი.

* * *

ჩემი ჭირისა და ლხინის მონაწილე გახდა. შევეჩვიე. ძლიერ ცდილობს თავისუფლად ვიყო მასთან. მე კი ყოველთვის ვერიდები. მინდა გარკვეული ზღვარი იყოს ჩვენს შორის.

20 მაისი.

* * *

დღეს ბორჯომში წასასვლელად ვემზადები, ჩემო ბები, არ გეწყინოს. შენთანაც მოვფრინდები.

— ნეტავ თუ გამაცილებს ბატონი პავლე?.. ანდა რატომ უნდა გამაცილოს?.. რა იდეალური კაცია, როგორ ზრუნავს ჩემთვის? ალბათ, იმიტომ, რომ იცის ობოლი ვარ. ნეტავ ყველას ასე ებრალებოდეს ობოლი გოგონები. რა საყვარელი ლექტორია! რამდენი სითბოა მასში. ბებუჩი, მაპატიე, მალე განახავ. მხოლოდ შენი ნახვით გატაცებულს არ მენანებოდა თბილისის დატოვება. ისე კი ძალიან მიჭირს.

29 ივნისი.

* * *

ბორჯომში ვარ. საშინლად წვიმს. მოვიწყინე. ფოსტალიონმა ბატონ პავლეს ბარათი გადმომცა. ხელის კანკალით გავხსენი... მე თვით არ ვიცი, რა მეგონა მართება. სადღაც სულ ახლოს მეხი გავარდა. ოთახი ელვამ გაანათა. ძიძმა ამიტანა. წერილი ხელიდან გამივარდა. სული მოვიბრუნე, სკამზე დავჯექი და ბარათის კითხვას შევუდექი. გადავიკითხე. მრავალი წერტილები და აქა-იქ ბუნდოვანი გამოთქმები ვერ გავიგე. ნეტავ, რატომ არ მოსწონს ჩემი ბინა?.. ბინა მოგიძებნეო, მყუდრო და ნათელიო. ჩემთან სულ ახლოს იქნებიო და, ბოლოს, ფრთხილად იყავი ჩემო ქეთინო, თავს მოუარე, მოიმატე, ბევრ ამხანაგებსაც ნუ გაიჩენო". როგორ გავიგო ყოველივე ეს? ღმერთო ჩემო! გული ცუდს მეუბნება. მეშინიან... მეშინიან... როგორ მინდა შენთან, ჩემო ბები, შენთან ახლოს... როგორ მინდა დაგიკოცნო ჩემზე ფიქრით დანისლული თვალები.

15 ივლისი.

* * *

ახალ, ნათელ და მყუდრო ბინაში ვცხოვრობ. დიდ ყურადღებას იჩენს ჩემდამი ბატონი პავლე. დიასახლისი თავს მევლება. მოვიმატე, თითქოს გავმშვენიერდი. სტუდენტები მამჩნევენ განწყობილების შეცვლას. მეც არავის ვუმალავ. ბატონი პავლე ჩემი ღმერთია, თურმე მიწაზეც დადიან ღმერთები. ვსწავლობ ფრიადებზე. ხშირად შეუძლებელს ვძლევ. მინდა ბატონ პავლეს გავუმართლო იმედები. რა მშვენიერი თვალები აქვს. ლექციებზე ისინი სულ მე მეკუთვნიან. ჩემი დიასახლისი მისი ნათესავია. ხშირად დადის ჩვენთან. უმისოდ ძალიან მოწყენილი ვართ.

5 სექტემბერი.

* * *

უმისობა აღარ შემიძლია. ნუთუ მიყვარს? ო, არა, არა, თუმცა რატომ არა? როგორც ნათესავი... თვით ვერ ვერკვევი... ხშირად ვფიქრობ ამაზე. მეშინია. მრცხვენია კიდეც... შენი სიტყვები მაგონდება, ჩემო ბები: „კაცი მაინც კაცია, შვილო, ერიდე, ღმერთმა ქნას, მარტო სიკეთე იფიქროსო, მაგრამ ზოგჯერ არ ამართლებსო". კი, ჩემო ბები, ჩემზე ბატონი პავლე მხოლოდ კარგს იფიქრებს... რას გვემართლება ან მე ან შენ?..

30 სექტემბერი.

* * *

ჩემი დიასახლისი სოფელში წავიდა. წუხელ, გვიან ბატონი პავლე მოვიდა ჩემთან... ჩემთან დარჩა... მთელი ღამე მეფიცებოდა სიყვარულს. უშენობა აღარ შემიძლიაო. მეუღლეობა შემომფიცა. მე კი მთელი ღამე ვტიროდი. მამშვიდებდა, მარწმუნებდა, ცოლს მალე გავეყრებიო, მასთან საერთო არა მაქვს რაო. ვერ ვერკვევი რა მომდის, ნეტავ ყველა ქალი ასე უსუსურია მამაკაცის წინაშე? დამიმორჩილა. ცრემლიან თვალებს ცხელი ბაგეებით მიმშრალებს. ნუ ნერვიულობ. ერთი ბედნიერი ქალი იქნებიო, მეფიცება. ნეტავ ასე მოხდებოდეს!

8 ნოემბერი.

* * *

დღეს ინსტიტუტში ვეღარ წავედი. თავს ცუდად ვგრძნობ. უჩვეულო განცდა მეუფლება. მადა დავკარგე, ყველაფერი მეზიზღება. გავნერვიულდი. ბატონი პავლე მეორე დღეა აღარ მოსულა, სული მეხუთება. მე უმისობა აღარ შემიძლია.

10 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მთელი დღე ვტირი. ველოდები მის მოსვლას.

5 მარტი.

* * *

გახარებული მოვიდა. დიასახლისმა გადმომცა, ნუთუ მე მამა ვიქნებიო? ხელში ამიყვანა, გულში ჩამიკრა. მე ავტირდი. არაფერი მესმოდა. გამოვერკვიე. მუხლებში ჩავუვარდი. არ მინდა-მეთქი ასეთი ბავშვი. დამამშვიდა. ჩემი აკანკალებული ხელები გულში ჩაიკრა. შენ თავს არავის დავუთმობო. გვიან წავიდა. დავრჩი ჩემს ფიქრებთან ერთად. ჩემი ძველი ბინა მომენატრა. ბედნიერი ვიყავი მაშინ, ღმერთო ჩემო, რა უნდა ვქნა?

6 მარტი.

* * *

დღეს ჩემი ბებიკოს წერილი მივიღე. საბრალო ბები! სულ სიზმრებს ვნახულობ, ჩამოცქრიალდი, ჩემო გოგონიო.

— ეჰ, ჩემო ბები, სადღა არის შენი ცქრიალა გოგონი. ჩემს თავს ველარ ვცნობ, ბები.

ბედნიერი ქალები დედობას სიხარულით ხვდებიან. მე კი, მე კი უფსკრულის პირას ვდგევარ. როგორ ვიწირები იმ საყვარელი ადამიანის ხელებით, ჩემი მომავალი შვილის მამის ხელებით-თქო, მინდოდა მეთქვა, მაგრამ მეშინია.

მე მარტო ყველაფერს გავუძლებდი, ჩემო ბები, მაგრამ ყოველწუთს თვალწინ მიდგახარ და მრცხვენია, ჩემო საყვარელო ბები. ვერ გაგიმართლე იმედები. ალბათ, ამ საღამოსაც ილოცე ჩემზე. დამწყევლე, ბები, ვერ შეგინახე სინდისი წმინდად.

7 მაისი.

* * *

ხელნაწერი აქ მთავრდებოდა. ცრემლების კვალი ემჩნეოდა ფურცლებს. გიორგის განაწამები ქეთევანი წარმოუდგა თვალწინ. ამდენი ტანჯვის შემდეგ, რით უნდა გაგახაროო, — ფიქრობდა მოხუცი და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცარიელი გვერდების ფურცელა დაიწყო. მეოთხე გვერდზე ორი სიტყვა ამოიკითხა. „სიკვდილი თუ სიცოცხლე?“ მრავალი წერტილების აზრი ვერ გაიგო მოხუცმა. რვეული კიდევ გადაშალა. კვლავ დღიურებიო, წარმოთქვა და ფეხზე წამოიჭრა. გაიარ-გამოიარა, ცოტა დაწყნარდა, ძალა მოიკრიფა და კითხვა განაგრძო.

* * *

როგორ მინდა შენს კალთაში მედოს თავი, ჩემო ბები, ვტიროდე ისე, როგორც ძველად, კალთის უბეს გისველებდე ცრემლებით. მოვკვდე კიდეც შენს კალთაში. ალბათ, შენ ერთს დაგწყდება გული... მაგრამ, იქნებ არც შენ... ვერ გაგიმართლე იმედები. მაპატიე, ბები... პირობას გაძლევ, აღარ განახავ... არ მოგიწამლავ ჩემი იმედებით გაცისკროვნებულ დარჩენილ დღეებს. ჩემს წინ ფარდა აიხადა. ფარდა იმ სინამდვილისა, რომელსაც ამდენ ხანს საკუთარ თავსაც და შენც გიმალავდი, ჩემო ბები. არ მოველოდი.

დღეს მეწვია გათხუპნული მანდილოსანი, ხელთათმნიანი ხელი ჩამომართვა და ამაყად ორიოდე სიტყვა მომახალა: „მაშ ასე, — დაიწყო მან. — მალე მიშობ შვილს. ასე ვიყავით მე და პავლიკი შეთანხმებული. გარდა იმისა, რასაც ჩემი პავლესაგან მიიღებთ, მეც დაგიმატებთ. სწავლას დაუბრუნდებით. დაგჭირდებათ. ბავშვის დედა კი მე ვიქნებიო“.

სიზმარივით გაქრა ის ჩემს თვალწინ. არაფერი მესმოდა. ვერაფერს ვხედავდი. მაშ, მე საგანგებოდ გაპიროვნებული ქალი ვყოფილვარ, რომელსაც შვილი უნდა მეჩუქებინა ვიღაც დედაკაცისათვის, პავლეს სიყვარული ნაძალადევი. აზრი გრძნობის გარეშე. „მეც დაგიმატებთ“, — კვლავ ჩამესმის და გონებას მიკარგავს. ჩემო ბები, ჩამადებინე თავი შენს წმინდა კალთაში, მინდა ვიტირო. „კაცი მაინც კაციაო“, მეუბნებოდი. კარგად მესმის შენი სიტყვების საიდუმლოება, მაგრამ რაღა დროს, ჩემო ბები, დამიგვიანდა.

27 მაისი.

* * *

კვალის დაფარვის მიზნით კახეთში წამიყვანა. თავს მევლება. მემუდარება მივცე ბავშვი. მიმტკიცებს ცოლთან გაყრის შეუძლებლობას. მეფიცება ბოლომდე შენი ერთგული დავრჩებიო. სასახელოდ გავზრდი ჩვენი წმინდა სიყვარულის ნაყოფსო. საშინლად ვღელავ. მაწყნარებს. ინსტიტუტს დაუბრუნდები, კვლავ ძველი სიხალისე დაგიბრუნდებაო. ღმერთო ჩემო! მე კვლავ მომძებნის ძველი სიხალისე? ო, არა, არა...

ის მძიმე ტვირთი, რომელსაც თან დავატარებ, ასე მგონია სულაც არ მიყვარს. ხშირად ვფიქრობ, მივცემ-მეთქი, მაგრამ უხილავი ძალა ნებას არ მაძლევს. ვიღაც ჩამჩურჩულებს: „არავის მისცე, ის შენია, სხვაზე მეტად გამოგადგებაო“. მეშინია. დასტურს ვერ ვაძლევ. მემუდარება. ვთრთი და ვკანკალებ. შავი ფიქრები მაწამებენ. სულ ამას ვფიქრობ — სად წავიყვანო? როგორ ვარჩინო?

3 ივლისი.

* * *

— ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, საზიზღარო! გიორგი დაარქვი! — ახლაც მესმის ყურში მისი ხმა.

ჩემი სუნთქვა-ბიჭი უფრო მაგრად მივიკარ გულზე, მივიხუტე და ვჩურჩულებ: არავის მიგცემ, მე დედა ვარ შენი, მიყვარხარ შვილო!

ეს კახელი ქალი რა ღვთისნიერია. სულ მანუგეშებს: ნუ ტირი, შვილის უკეთესს ქვეყნად ვის შეიძენო. მართლაც ვის შევიძენ, ჩემო... დე ასეც იყოს, ჩემო გიორგი.

5 სექტემბერი.

* * *

დავტოვე კახეთი... ცრემლებით გამოვეთხოვეთ მე და საბედო ერთმანეთს. გამომაცილა, მანუგეშებდა. თუ გაგიჭირდეს, ჩემთან დაბრუნდიო... მე კი ჩემს აღუ ბიჭს გულზე ვიკრავდი და ვტიროდი, ვტიროდი...

* * *

დღეს გიორგის დიდი სიცხე აქვს. ბატარა ცაცუკებს გულზე მითათუნებს. დასიცხული თვალებით მემუდარება, გადამარჩინეო. სასწრაფოდ ექიმთან მიმყავს. შესასვლელში რიგი დავიკავე. ჩამოვჯექი. ბატონმა პავლემ გვერდით ჩამიარა. თითქოს ვერც გვიცნო. ექიმთან რომ შევდიოდი, ის გამოდიოდა. ექიმმა ბარათი გადმომცა. ასე იწყებოდა:

— „ქეთევან! ხომ ხედავ, ბავშვი გამხდარა. შენც დაგკარგვია ძველი იერი. დამითმე ბავშვი, გადაგირჩენ.

პავლე“.

სიცხიან ბავშვს გულზე ვიკრავ.

20 იანვარი.

* * *

ღმერთო ჩემო! მშიერი მგლებივით დასდევენ ჩემს ნაკვალევს. მომჩერებიან, როდის გავუშვებ ხელს ჩემს გიორგის. მე ყოველივეს ვხვდები. მეც ვხედავ ბიან.

30 იანვარი.

* * *

წუხელ ღამით პავლეს ქალბატონმა კლეოპატრამ მოგვინახულა. შემაკრეჭილა. ფილოსოფოსობდა: „უმჯობესია გასცე, ვინემ სამუდამოდ დაკარგოო". ავილეწე. ფულით სავსე პაკეტი გამომიწოდა. დავიბენი... ანგარიშმიუცემლად ვეცი პაკეტს და სახეში მივაფერთხე. ოთახიდან გაკაპასებული გავარდა. პაკეტი მაინც არ დავიწყნია.

ჩემს გიორგის არავის მივცემ. მაგ საძაგელს მაინც არა.

4 ივნისი.

* * *

ბავშვის ბაგაში წაყვანა გადავწყვიტე. მივაბარე კიდევაც. მეც ჩემი ბიჭის ბაგაში დავიწყე მუშაობა.

ცხოვრების სახსარი უკვე მაქვს.

8 სექტემბერი.

* * *

დღეს ჩემი გიორგი წლინახევრის გახდა. მინდოდა ლამაზი ბაჩუჩები მეყიდა მისთვის. მაღაზიის კუთხეში ისინი შემეფეთნენ. უკან გამოვბრუნდი. მინდოდა სირბილით გავცლოდი მათ. ვეღარ შევძელი. სახლის კედელს ავეკარ. თავშალი წამოვიხურე. მიცნეს ნეტავ?.. სირბილში ფული დამკარგოდა. ტირილი მომერია.

1 მარტი.

* * *

ბოლო დღიურის წინ პავლეს წერილი აღმოჩნდა. ის ასე იწყებოდა:

„ვიცი გეზიზღები. მე ეს არც მიკვირს. შეიბრალე ჩვენი გიორგი. დატკბი მისი ბედნიერი ყოფით. იკმარე წამება, მეც მომასვენე. არ იფიქრო, მე ბედნიერი ვიყო. აღარ მასვენებს შენი დასევდიანებული თვალები და ჩემი საფიცარის უღონო სხეული.

ველი პასუხს.

პ. ზედგინიძე".

ღმერთო ჩემო! როცა ის გავიცანი, ასე ვფიქრობდი: ღმერთები დედამიწაზეც ყოფილან-მეთქი. როგორ მოვტყუვდი! „გიორგი მომეცი, იკმარე წამება და მეც მომასვენეო". საინტერესოა, ნორმალურად თუ აზროვნებდა მაშინ, როცა ამას წერდა? ჩემი წამება სწორედ მაშინ დაიწყება, როცა ჩემს გიორგის მოვიშორებ გულიდან. პასუხიც გინდა? — აი ისიც. დღეიდან ბინას ვიცვლი, რომ ვერასოდეს მომაგნოს შენმა ბარათმა. გიორგის შენზე უკეთ გავზრდი. გავზრდი შენზე ზიზღით და სიძულვილით გამსჭვალულს.

7 სექტემბერი.

* * *

კონვერტზე ქეთევანის მისამართი ეწერა. იმედის სხივი ჩაუდგა გიორგის თვალებში. „მოგძებნითო", — გაიფიქრა მოხუცმა, მაგრამ დღიურის შინაარსმა შეაკრთო. „დღეიდან ბინას ვიცვლი, რომ ვერ მომაგნოს შენმა ბარათმაო",—

წერდა ქეთევანი. „არაუშავს... მოგაგნებ ჩემო რძალო, მოგაგნებ“, — ბუტბუტებდა მოხუცი და აკანკალებული ხელებით რვეულს ფურცლავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმისამართო ბარათი იპოვა გიორგიმ, გაუხსნელი. ბარათი პავლესო აღმოჩნდა. აქა-იქ ცრემლის კვალიც შეიცნო მოხუცმა. აქვითინდა. სათვალე ჩამოიხსნა. ცრემლიანი თვალები შეიმშრალა და კითხვას შეუდგა:

— სად დამეკარგე, ჩემო ქეთინო? მეორე კვირაა დაგეძებ. ტყუილად მემალები. მოგძებნი. ამ ბარათს შენთვის გადმოსაცემ ფუთაში ვინახავ. ისედაც გეტყვი, როცა გნახავ, მაგრამ ვეღარ მოვითმინე. ასე მგონია ჩემს წინ დგახარ და გესაუბრები. გაგაწამე, ჩემო ქეთო. დაგირღვიე მყუდროება. აგიბნიე გზა-კვალი. განა შეიძლება ყოველივე ამის პატიება?! მაინც მინდა მუხლებში ჩაგივარდე. შეგემუდარო. სულიერად დავეცი. გზააბნეული დავდივარ. ყოველწუთს მელანდებით. ცოტა კიდევ მაცალე, ჩემო ქეთინო, და ყველაფერი იქნება... მე ანგარიში ვერ გავუწიე დედის განცდას, რომელიც ჩემი გიორგის გაჩენისთანავე დაგეუფლა შენ.

ერთი დიდი თხოვნა მაქვს შენთან. დამიჯერე... დამიჯერე, ჩემო ქეთო, და ჩემზე იყოს. მამაჩემი მოვა შენთან. ახლა ის თბილისშია. წადით შენ და გიორგი მასთან. დაისვენე, დაწყნარდი, არაფერი მოგაკლდება. მალე მეც ჩამოვალ. აბა შენ იცი, ჩემო ქეთო. ნუ გამხდი ჩემი მონანიებული სინდისის მსხვერპლს. დამიკოცნე ჩემი გიორგი.

შენი პავლე.

1/XI.

* * *

მოხუცმა ბარათის კითხვა დაამთავრა და ფეხზე წამოიჭრა, აღელვებით გაიარ-გამოიარა. სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: — „ჩემი მონანიებული სინდისის მსხვერპლი“, „სინდისის მსხვერპლი“, ჩემი დაღუპული შვილი, ჩემი განაწამები რძალი და შვილიშვილი“. აღარ ტიროდა, გაურკვევლად ბუტბუტებდა.

მესამედ შემოიხედა კარებში ივლიტამ, მაგრამ ქმრის სახეზე იმდენი ნაღველი და მრისხანება ამოიკითხა, რომ შესვლა ვეღარ გაბედა. ოთახში ხმაური მინელდა. გიორგი ადგილიდან აღარ იძვროდა. გადაშლილ რვეულში ჩაედო თავი და იცრემლებოდა.

ხვალინდელი მოგზაურობის ფიქრებს გაეტაცა მოხუცი. გეგმებს აწყობდა. არჩილს დავიხმარ და მომაძებნინებსო, ფიქრობდა მოხუცი და იმედის ნაპერწკლები სხეულში სიამით ჰკენწლავდნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სამხარაძე

ეს შენა ხარ

მთაში ისმის მეხის გრგვინვა წამი-წამ,
წვიმა მოდის, გაზაფხულის წვიმა,
მაღალ ხეებს გადაჰყივლა არწივმა,
ბარში ქარმა დაუქროლა ცივმა.

ყვავილები შეაშინა ქარ-წვიმამ,
მეძახიან, მოშველება გვინდა.
ერთ იმათგანს, ყველაზე ნაზს, დავიცავ,
ეს შენა ხარ, დილის ნამზე წმინდა.

ღამით მთვარე ხეხილნარებს დანამავს,
ყვავილებო, გულის ნადებს ვამხელ:
ერთ-ერთ თქვენგანს — საოცნებოს და ლამაზს
მე დავარქმევ ჩემს საყვარელ სახელს.

კოპწიებო, ეგრე ნუ ხართ მწუხარი,
არ დამიწყოთ თქვენს მეგობარს წყევლა.
ხომ არა ვარ, ხომ არა ვარ ფუტკარი,
ერთი გრძნობით შეგიყვაროთ ყველა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ნარსია

***

...გარს მახვევია თამბაქოს ბოლი
და შენზე ფიქრით სავსე ვარ, სავსე...
შენ გათხოვდები ბოლოს და ბოლოს
და დასრულდება ზღაპარი ასე.

მერე დამრჩება ცრემლები ღვარად,
ღამენათევი ცისკრისას ჩავთვლემ.
შენ ქალი ხარ და... ჩვეული ღალატს
და ყოველივეს არაფრად ჩათვლი.

შენ წახვალ, როგორც ღრუბელი მიდის
და ჩვენს სიყვარულს გაუვა ყავლი...
მე ოცნებათა დამრჩება ბინდი
და ბაგეებზე ღიმილი ყალბი.

...კვლავ მომეხვევა თამბაქოს ბოლი
და სხვაზე ფიქრით ვიქნები სავსე.
მეც დაგივიწყებ ბოლოს და ბოლოს
და გაგრძელდება ცხოვრება ასე.

რევაზ ართიღაყვა

შავდალალა

მაგ თვალებში დარდს ნუ მალავ,
ან დამალავ სადამდეო,
ჩემი გულის დარდუბალავ,
ჩემი გულის სადარდელო.

დღეს დარდისთვის ვის სცალია,
ცას შესცინის დარიალი,
სიყვარულის დრო დაგვიდგა,
სასიმღერო დარი არის.

ერთად ავყვეთ სანაპიროს
მტკვრიანსა და არაგვიანს,
დავეწაფოთ ამ სიცოცხლეს
და სიყვარულს არაგვიანს.

გულში სიმად გადამიბამს
გიშრისფერი შენი თმები,
სხვა სიმღერა მე რად მინდა,
შენს სიყვარულს ვერითმები.

შავდალალავ!
დარდს ნუ მალავ,
ჩემთვის თვითონ სადარდელო,
ჩემი გულის დარდუბალავ,
დაგელოდო სადამდეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ რამიშვილი

ჩემო რიონო

არ ვიცი, რატომ მიზიდავ ასე,
ეგებ ძალა გაქვს მართლაც მისნური,
მოხვალ და შენი ტალღებით სავსე
მოგაქვს სიმღერა ქუთაისური.

დაგელოდები ჭადრების ახლოს,
მაგ ტალღის შხეფებს რომ ვეზიარო —
აქ სიჭაბუკე მსურს დავინახო,
ჩემი ბავშვობის თანაზიარო.

მზე რომ გადავა ღამის ბინდბუნდში,
მთვარე ზღვაში რომ ჩააწყობს დალალს,
მე შენთან ერთად ჭადრის ჩურჩულში
ჩემ ლამაზ ქალაქს ვუმღერი ნანას.

რიონო! ლეწავ ლოდთა ურდულებს,
რადგანაც გიყვარს ღია კარები,
ჩემი ბავშვობის მესაიდუმლევ,
მითხარი, როგორ არ მეყვარები.

შენმა ჭავლებმა მწვანე ნაპირებს
დე, გნოლებივით დაერიონო,
მე წამოვიწყებ სიმღერას შენზე,
შენ ბანი მითხარ, ჩემო რიონო.

რიონო! დაე, შენმა ტალღებმა
თავის ფერხულში ჩამირიონო,
კავკასიონის გულის ძარღვი ხარ,
მიტომ მიყვარხარ, ჩემო რიონო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიკო ჭღენგი



კიდევაც დაიბრუნეს...

აღმართი ალიეს და ანაზდად გამოჩნდა თბილისი.

მუსტაფამ ყაბალახი მოიხადა და ყალიონი გააჩაღა. უკნიდან ისმოდა ცხენების მძიმე სუნთქვა, ფლოქვების ბაგუნი და აბდულის ხმააწეული ღიღინი. ახალციხიდან გამოსვლისას აღიღინდა აბდული. ამსიგრძე გზაზე ერთხელაც არ დადუმებულა. ან კი რა დაადუმებდა — პირველად მიდიოდა თბილისში. კიდევ ერთ მთასაც გადაივლიან და დაინახავს ქალაქს... უხაროდა და ეამაყებოდა ჭაბუკს. სელიმმა იგი გამოარჩია ერეკლესთან წარგზავნილ ნური-ეფენდის მხლებლად.

ამოივაკეს მხედრებმა.

— შევისვენოთ? — მუსტაფას გადახედა ნური-ეფენდიმ.

მუსტაფამ ზანტად მოაბრუნა დაძარღვული კისერი.

— ლტოლვილნი. — წყნარად წარმოთქვა და დაბლა ველისაკენ გადაიხედა.

მოჩარდახული ურმები წაბმოდნენ ერთმანეთს მცხეთის გზაზე. ბოლო არ უჩანდა მათ დინებას. მეწინავენი უკვე უწევდნენ მცხეთას. ახალ-ახალი ურმები გამოდიოდნენ ქალაქიდან. ზლაზვნით ადიოდნენ ვერის ბექობზე და ჯაჯგურით ეშვებოდნენ დაბლა. ურმებს შორის ცხენოსნები დაწრიალებდნენ, მარჯვნივ და მარცხნივ იქნევდნენ მათრახს. თითქოს მთელი ქალაქი აყრილიყო დე-

და-წულიანად. ყველა იჩქაროდა, ისწრაფოდა, ეშურებოდა. ბორბლების ჭრიალი. ბრაზიანი შეძახილები, ბალღების ღნავილი, შოლტის ტყლამუნი, ცხენთა ჭიხვინი... ყველა ეს ხმები ერთმანეთში ირეოდა და ერთ დახშულ ბგერად აღწევდა მთის თხემამდე.

— კარგად ვერ უნდა იყოს საქმე ქალაქში! — მსხვილი წარბები შეჰყარა ნური-ეფენდიმ.

აბდულს ვერაფერი გაეგო. გაჰყურებდა თბილისს, ყოველწამობით რომ ინთქმებოდა ჩამომდგარი მწუხრის მქრქალ ბინდში.

მუსტაფამ ამოიხვნეშა, ჩამქრალი ყალიონი სარტყელში გაირჭო და მათრახი შეათამაშა. უნდილად დაიძრა დაოსებული ცხენი, ქშენით დაუყვა დაცერებულ წავარნას.

* * *

გამყოლი გრძელ დერეფანში შეუძღვა სტუმარს. უნაგირზე ხანგრძლივი ჯდომისაგან ბარძაყები უბჟუოდა ნური-ეფენდის. აჯა-ბაჯა სიარულით ძლივს ეწეოდა მკერდგანიერ, ყანჩასავით გრძელფეხება ხეხელა ჭარმაგს, ოქსინოს მოსასხამის შარი-შურით დერეფანში რომ მიაბიჯებდა. ნიშებში კრთოდნენ კელაპტრები. ბუმბერაზი ჩრდილები ფარფატებდნენ ვარაყიან კედლებზე. სიწყნარე და მყუდროება დაუფლებოდა მაღალთაღიან პალატებს. ანაზდად ფართო ტალანში მოხვდნენ. ნაბიჯებს უკლო გამყოლმა, მერე შეჩერდა და გვერდით მიდგა.

— შებრძანდი, ეფენდი!..

ერეკლე შუა ოთახში იდგა მკერდზე ხელებგადაჭდობილი.

ნური-ეფენდი არ მოელოდა ასეთ უეცარ შეხვედრას. ზღურბლზე ფეხი გადადგა და დაება ნაბიჯი.

— აქა მშვიდობა!.. სიცოცხლე და გამარჯვება, მწყალობელო ხელმწიფევ!

ღიმმა გადაჰკრა მეფეს ფიქრით მოთენთილ სახეზე.

— სიცოცხლე და გამარჯვება ნუ მოგეშალოს!.. — ერეკლემ ბიჯი გადმოდგა, დივანზე ჩამოჯდომა შესთავაზა სტუმარს. — მშვიდობისა კი რა მოგახსენო, ირანელები თბილისის გალავნის ჩრდილში სხედან უკვე...

— ცუდი საჩრდილობელი აურჩევიათ, მეფევ ბატონო, მაქედან სამარის სიგრილემდე არც ისე შორსაა.

მეფემ ჟღალ წვერებში შეაცურა ხუთივე თითი. ფიქრიანად მოკუმა სქელი ტუჩები. ღრმა ნაოჭები აიკრიფნენ გადაშლილ შუბლზე. ერთხანს დუმდა მძიმე საფიქრალს აყოლილი, მერე ხმადაბლა, დაოკებული მღელვარებით ალაპარაკდა, თითქოს წლობით ნაგროვებ სევდასა და გულისტკივილს ანდობდა სტუმარს. ნური-ეფენდის მოეჩვენა, რომ ერეკლე ხმას განგებისად იდაბლებდა, თავს ძალას ატანდა, რომ არ ეყვირა. დიდებულებს ესაყვედურებოდა მოხუცი მეფე. მორიგე ჯარი არ შემარჩინესო, არა ერზე და საქართველოზე, — მხოლოდ პირად ციხე-მამულზე შესტკივათო გული.

ნური-ეფენდიმ ხიმშიაშვილის ბარათი ამოიღო და მოწიწებით მიართვა მეფეს. ერეკლე დივანიდან წამოდგა, მაგიდაზე გაბნეულ ქაღალდებში სათვალე მოძებნა და ბარათი გადაიკითხა. ირანიდან ჩამოსული სანდო კაცისაგან მიღებულ ცნობებს იტყობინებოდა სელიმ ხიმშიაშვილი. დიდძალი ჯარი შეუკრებია აღა-მაჰმად-ხანს. ხმა დაუყრია, ამბოხებულ ქურთთა სოფლების დასათრგუნავად მიმყავსო ჯარი. არ ერწმუნოთ ამ ცრუ ხმებს, იწერებოდა ხიმშიაშვილი. თბილისისაკენ მოდისო აღა-მაჰმად-ხანი.

ნური-ეფენდიმ ხიმშიაშვილის სიტყვიერი დანაბარები გადასცა მეფეს.

— ჩვენის მხრიდან გულმშვიდად ბრძანდებოდესო მეფე ბატონი. ვერ ერთი ოსმალო ვერ გადმოვაო ახალციხიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე აჭარა-მესხეთის უკანასკნელ ამბებს მოჰყვა ნური-ეფენდი. ბოლოს გეგმები გადმოულაგა მეფეს.

— სისხლი სისხლისანი და ხორცი ხორცისანი ვართო, ასე მოგახსენებს სელიმი, მეფევ ბატონო. თქვენი ტკივილი ჩვენც გვეტკინება და ჩვენი უბედურება თქვენს თვალზეც დააგორებსო კურცხალს. ჟამმა ჩამოჰკრა, ასე მოგახსენებს ხიმშიაშვილი, მეფევ ბატონო, შეხორცდესო გულზვიად ათაბაგობისას დაკრული იატაგანით დაჩნეული იარა...

ნიდაყვდაყრდნობით იჯდა მეფე. სქელი ბეჭები ოდნავ მოდრეკოდა. თბილი ციაგი გამოუკრთოდა თვალთაგან. ფიქრით შორს იყო მეფე ერეკლე. მრავალტანჯულ მესხეთის მიწას ხედავდა იგი ოცნების თვალით. სელიმის შემონათვალში გაღვიძებული მიწის ძახილი ესმოდა. ყურს უგდებდა ტკბილ ქართულით მოუბარ ნურის და აგონდებოდა მშფოთვარე სიჭაბუკის შორეული წლები, როცა პირველად შემოარტყეს ბაგრატოვანთა სამეფო ხმალი. რამდენი შუქნათელი ოცნება და ნუკვა ედო მაშინ გულში!.. ქარქაში გადაამტვრია, რომ ხმალი შიშვლად სჭეროდა ხელში. საქართველოს დაჭრილი სხეულის გასამრთელებლად იღვწოდა დღენიადაგ. ფრთანატყვიარი და მშვილდნახმლევი უნაგირი იყო მისი სამეფო ტახტი. ციხე-კოშკებიან ქალაქებს და დაბა-სოფლებს მატებდა საქართველოს. თავისთვის კი ერთი ნაბდის გაშლა მიწას კმარობდა... რამდენმა წელმა განვლო ცხოვრების გარიჟრაჟიდან დღემდე!... რამდენჯერ დასცვივდა ფოთლები თელავში, მეფისეულ სასახლის ეზოში მხრებგაშლილ ჭადარს!.. ჭირხლი დაეცა პატარა კახის თმებს. წინ კიდევ რამდენი დარჩა გაუკეთებელი!.. მოესწრება კი მეფე ერეკლე სამხრეთის შემომტკიცებას?..:

სახლთუხუცესმა კრძალვით შემოაღო კარი.

— ერასტი ამილახვარი, მეფეო!..

ერეკლემ თავი ასწია. ფიქრებით დაბინდულ, მიმქრალ თვალებზე ძლიერად მოისვა ხელი. მშვიდი მზერა მიანათა ოთახში შემოსულ მოურავს.

— სოღანლუღიდან ოთხი აღაჯის დაშორებით გაშალეს ბანაკი... სწორედ იქიდან გეახელ, მეფევ ბატონო.—ერასტი ამილახვარმა კალთაშემოფხრეწილ ქულაჯაზე დაიხედა და უხერხულად აწურა მხრები. ერეკლე ისე წყნარი და უდრტვინველი იყო, სასახლეშიც ისეთი მყუდროება სუფევდა, რომ ამილახვარი შეფიქრდა, — შეშფოთებული იერის გამო მხდალად არ ჩამთვალონო.

— შეგვნიშნეს და... მცირე ბრძოლა მოგვიხდა... — დამორცხვებულ ბალღივით წაიდუდუნა და გვერდით მიდგა, მეფის გამჭრიახ თვალს აერიდა. მაგრამ ერეკლე მას არ უყურებდა. ოთახში მძიმე ნაბიჯით მიმოდიოდა. დაძარღვული თითები ფართო სარტყელში ჩაეწყო. დაფიქრებით იყურებოდა დაბლა, თითქოს საკუთარი ნაბიჯების სიგრძეს ზომავდა.

— ლაშქრის რაოდენობა არ შეგიტყვია? — იკითხა ბოლოს.

— ჩემი ვარაუდით ორმოცი ათასს უნდა ჭარბობდეს...

სახლთუხუცესს განცვიფრებისა და გულგატეხილობის გამომხატველი ამოძახილი დასცდა. ერეკლე შედგა. გვერდულად მოხედა მას.

— ორმოცი ათასის ხუთი ათასით შემაგრება ძნელი საქმეა. გაგვიჭირდება, მეფეო.

— გაგვიჭირდება. — მორჩილად დაეთანხმა ერეკლე. ერთხანს ფიქრიანად ტკეპნიდა ულვაშს. მერე ეშმაკურად მოჭუტულ თვალებში სიმხნე და შემართება აუკიაფდა.

— გაგვიჭირდება, მაგრამ... ღვთის შეწევნით, თუ შიგნით სიმტკიცე ... ერთგულება მექმნა, მაჰმად-ხანს შევანებებ თბილისზე ხმლის აღმართვასა... კი... სარდალთა შეკრება მიბრძანებია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ახოვანი შუბოსნები გარინდებით იდგნენ მეტეხის გალავნის გასწვრივ. ქარქაშგახდილი ხმლებით გუშაგობდნენ ხევსურები ღია კარიბეჭეს. შფოთიან მოლოდინს მოეცვა სასახლის ეზო. ჩაფხუტები და ჯაჭვის პერანგები ლაპლაპებდნენ ჩირაღდნების მიმკრთალ ნელშუქზე. ჩქამი არ ტეხდა მდუმარებას ღამისას. მოჩვენებათა გოლიათ აჩრდილებს წააგავდნენ ეზოში უბრად მოარული აბჯაროსნები.

აბდული ფილაქნის კიდეზე იჯდა. სადაველები მაჯაზე დაეხვია, თავი გალავნის ხავსიან კედელზე მიეყრდნო და მოძალებულ თვლემას ებრძოდა. მასთან ერთად ცხენებიც თვლემდნენ. დაოსებულებს თავი ჩაექინდრათ. ძიღვიძილში იყო აბდული. ცხადში დანახული თბილისის ბუნდოვანი მოჩვენებანი და თვალღია ზმანების ელვარე სურათები ირეოდა მის გონებაში. ანაზდად მხარზე შეეხო ვიღაც. ფრთხილად შეანჯღრია. საძილედ მოთენთილი ტანი ერთბაშად შეიმკვრივა აბდულმა, თავი ასწია და ზანტად გაახილა თვალები. ნურიეფენდი წამოდგომოდა მთვლემარეს.

— მუსტაფა სად არის? — გულმოსულად ჩაჰკითხავდა იგი.

— რა ვიცი... იქით ჩავიკლიო... — თვალები ამოისრისა აბდულმა.

— წადი, დაუძახე...

მტკვრის პირას ქარვასლასთან დაგზნებულ კოცონს იმერელი მოლაშქრეები შემოსხდომოდნენ. ხმამაღალი მასლაათი გაებათ. ამ უჩვეულო ხმიანობაზე თოფრაკებში ცხვირჩარგული ცხენები თავს სწევდნენ, წამახულ ყურებს სიფრთხილით ცქვიტავდნენ და ილურსებოდნენ.

მუსტაფა ფეხმორთხმით იჯდა კოცონთან. ცეცხლის სიმხურვალისაგან ღაწვისთავები დაწითლებოდა. მეორე მხარეზე წამოსკუპებულ ქონდრის კაცივით ტანმორჩილ ჯმუხა მოლაშქრეს მომცინარე თვალებით ქვეშ-ქვეშ ეჯაყურებდა.

— შენც მალაქვაძე ვარო, უნდა თქვა?.. არ გაამხილო მაგი არსად, თორემ შევრცხვით მალაქვაძენი...

ცეცხლთან მსხდომი მოლაშქრეები გულიანად იცინოდნენ, თან ტანმორჩილ მალაქვაძეს აქეზებდნენ, რომ მუსტაფასათვის სიტყვა მოეჭრა. ისიც ცდილობდა ენაბასრ მუსტაფას გასაწბილებლად მოსწრებული პასუხი ეთქვა, მაგრამ სათქმელს ვერ პოულობდა.

— გვალვიან თვეში ხომ არ დაბადებულხარ? — ისევ ქილიკობდა მუსტაფა. ტანმომცრო მოლაშქრეს მოგონილი სიბრალულით ათვალიერებდა და თავს დანანებით აკანტურებდა. — აფსუს, რა გვარს აფუჭებ!

მოლაშქრეები აწყვეტილად ხარხარებდნენ, მუხლისთავებზე ხელისგულს იტყაპუნებდნენ და სიცილისაგან თვალზე მომდგარ ცრემლს მაჯებით იმშრალებდნენ. იმდენად არ ეცინებოდათ, რამდენსაც იჭაჭებოდნენ. ეს სიცილი ხვალინდელზე ფიქრის განსარიდებლად იყო საჭირო. ამას მუსტაფაც გრძნობდა. ბოლოს შეებრალა იმერელი სახლიკაცი. ადგა, ყალიონი დაბერტყა და კოცონის გარშემო გაიარა მუხლების გასამართავად. მერე კიკნა იმერელთან მივიდა და მხარზე ხელისგული მოუთათუნა:

— არ გეწყინოს... გეხუმრები. — მოფერებით ჩაულაპარაკა. მერე სხვებ-

საც გადახედა და ხმამაღლა დასძინა: — მალაქვაძე, იმერელი იქნება თუ იმერ-ხეველი, შენი სიმაღლის ნახევრის პატრონიც რომ იყვეს, სხვა გვარის კაცს მაინც აჯობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოცონთან აბდული მობორიალდა. ძილმორეულ თვალებს მზის მაცქერალივით ჭუტავდა.

— წავიდეთო, ნური-ეფენდიმ... — უნდილად წაულაპარაკა მუსტაფას. მერე კოცონზე წაიხარა. გაფარჩხული თითები ცეცხლს მიუშვირა, ქათმის ფრთებივით ამოყრილი მხრები შეაძიგძიგა და გაბმით დაამთქნარა.

კოცონის შუქისა და სიბნელის ზღვარზე დაბმული ბედაურები ლაგმის დაკვნეტას ლამობდნენ...

გაღმა ნარიყალას აღმართს ვიღაცები შემოსდგომოდნენ. წყვდიადს კაწრავდა თავზევით აწეული ჩირაღდნების შუქი. ისანსა და ხარფუხში ყელის ჩაწყვეტამდე ყიოდნენ ძილგატეხილი მამლები.

* * *

მოულოდნელი სტუმრების წვეგამ ფეხზე დააყენა ვამეხის სახლობა. ქალებმა უცხო მხედრების დანახვისთანავე სამზადს მიაშურეს და ვახშმის თადარიგს შეუდგნენ. ახალუხის ამარა ვამეხი ეზოში ჩამოეგება მოსულებს. მის უკან ტანაშოლტილი, ბეჭებბრტყელი ჭაბუკი ჩამოდიოდა კიბეებზე. ვამეხმა თვალით ანიშნა და ჭაბუკი მაშინვე ეზოში გაჩნდა. სანამ სტუმრები ცხენებიდან ჩამოხტომას მოასწრებდნენ, მათთან მიიჭრა და უზანგი დაუჭირა.

— რომელმა ქარმა გადმოგისროლა!.. რას ვუმადლოდე შენ მოსვლას! — გაბადრული ვამეხი ეზოში დინჯად მოაბიჯებდა. მკლავგაშლილ მიეახლა ნურისჯერ ერთმანეთი გადაკოცნეს ყრმობისჟამინდელმა მეგობრებმა, მერე ხელგადახვევით აუყვნენ კიბეებს.

ვახშმის გამოტანამდე აივანზე ისხდნენ და მასლაათობდნენ. ჯერ იქითურაქითურზე მოჰყვნენ ნური და ვამეხ. მოიგონეს სიჭაბუკის შორეული წლები, გაიხსენეს ერთმანეთთან პირველი შეხვედრა. ეს იყო მათი ცხოვრების აღრეულ გზაფხულზე, როცა ცამეტი წლის ნური მამამ თბილისის სანახავად ჩამოიყვანა.

— გახსოვს, ნური, დიდუბეში მეტივეებს რომ დავუსხედით? მერე სოღანლუღამდე აღარ ჩამოგვსხეს იმ უნამუსოებმა. — როხროხობდა გამხიარულებული ვამეხი. მას ჯერ კიდევ არ დაჩნეოდა ხნოვანება. მხოლოდ ეს იყო — თმაში აქა-იქ უბზინავდა ვერცხლის სირმები, მსხვილ კისერზე ნაოჭები ჩაღრმავებოდა და ოდნავი სილურჯე გადაჰკროდა ყვრიმალთან გავლებულ ნახმლევს.

— მერე იქიდან რომ ფეხით ვირბინეთ... ნაშუაღამევს ძლივს მოვაღწიეთ სახლამდე. — ფიქრიანად იღიმოდა ნური, მსხვილი თითებით ულვაშის ბოლოს წიწკნიდა და სადღაც შორს გაჰყურებდა.

ფოლორცში ზანტი ჭრიალით გაიარა ურემმა. კენტი ცხენოსანი ასდევნებოდა უკან. დროდადრო მათრახს უთავაზებდნენ კამეჩებს.

— მიდიან... — ყრუდ სთქვა ვამეხმა.

დუმილი ჩამოდგა აივანზე. ნარდის თამაშით გართულმა მუსტაფამ მუჭში მომწყვდეული კამათლების გაგორება დააყოვნა. კიდევ კარგა ხანს ისმოდა ბორბლების ჭრიალი გარეთუბნის ბაღების მხრიდან, მერე თანდათან მიდუმდა.

აივნის სვეტებზე დახვეული ვაზის ფოთლებში შეყუჟულმა ჭრიჭინებმა ენა ამოიდგეს.

თბილისის ცაზე მოცისფრო ვარსკვლავები ახელდნენ თვალს.

— იხიზნებიან... მთელი ქალაქი მთებისაკენ გარბის. — ბრაზითა და გულისტკივილით ჩაილაპარაკა ვამეხის ვაჟმა.

მუსტაფამ კამათლები ისეთი გამეტებით მიახალა ნარდის ძგიდეს, ორივე ძირს გადაცვივდა.

— ვინც იხიზნება, მათი დარჩენა არც რას გვარგებდა. — წარბშეკვრით გაეპასუხა შვილს ვამეხი. — თანაც მთელი ქალაქი როდი გარბის!

აქამდე სიტყვაც არავის დაუძრავს ამ საფრთხეზე, თბილისს რომ კარს ადგა. თითქოს ტაბუ ედო ამ საერთო საფიქრალს.

— დედოფალ დარეჯანის გახიზვნამ ააფორიაქა ქალაქი. — უკმეხი გულისმოსვლით განაგრძო ვამეხმა. — ნახეს, დედოფალი იხიზნებაო და დაშინდა ხალხი.

ნური-ეფენდიმ ერეკლესთან შეხვედრა გაიხსენა. მხნედ და იმედიანად არისო მეფე ერეკლე.

— ოცი ათას ხმლოსანს ველოდები და, თუ ამდენი შემიგროვდა, ხოჯა მუჰამედს შევანანებო თბილისზე მოსვლას .

— რას ამბობ, კაცო!—ნიჩაბივით ფართო ხელები შვებით გაშალა ვამეხმა. —.ოცი ათას ქართველს შენ ეხუმრები? მაგოდენა სპა ჩვენი ერეკლეს თავგამოდებით იცი რასა იქმს?

ძილმა რახანია გაუარა აბდულს. აივნის კუთხეში იჯდა და მტკვრის ხეობაში ჩაჭედილ ქალაქს გასცქეროდა გაფაციცებით. სექტემბრის ღამის სილიბრეში დაძირული თბილისი იდუმალებას მოეცვა. გათენებას ნატრობდა აბდული. გული არ უთმენდა თვალნათლივ დაენახა თბილისი, კიდით-კიდემდე ეხილა იგი. აბდული ფიქრობდა და ვერ წარმოედგინა, თუ ვის უნდა გაებედა ამ დიდ ქალაქზე საომრად მოდგომა. ალბათ, ძალიან ბევრი, აურაცხელი ლაშქარი უნდა ჰყოლოდა იმ აღა-მაჰმად-ხანს, დაუმარცხებელ ერეკლესთან ომის გამართვას რომ ბედავდა.

სახლიდან ჯამ-ჭურჭლის ხმაური მოისმა.

— ლევან, — შვილს მიუბრუნდა ვამეხი, — აბა, ერთი გიორგიაანთ გადაიარე. ჩემს მძახალს უთხარ გვეწვიოს...

აბდულს მობეზრდა დარბაისლურ ბაასსაყოლილ დროულებთან ჯდომა და ლევანს თან გაჰყვა.

ქვითა და ალიზით ნაგები სახლები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ჩქამი არ ისმოდა ქუჩებში. ადამის მოდგმის ჭაჭანება გამწყდარიყო ყველგან. მიცვალებულთა საუფლეს დამსგავსებოდა ქალაქი. ზოგჯერ მხედარი თუ ჩაიქროლებდა. შავი ფრთებივით გაიტყლაშუნებდა ქარში ატაცებული ნაბდის კალთები. გაითქარუნებდა სადავემიშვებული ცხენი. ნალი ნაპერწკლებს დაჰყრიდა სიპ ქვაზე და წამით სიცოცხლის ნასახი დაეჩნეოდა ქალაქს. ზოგჯერ დადუმებული ლანდები გადასჭრიდნენ ქუჩას და დუმილითვე გაჰქრებოდნენ ჩაშავებულ შესასვლელებში.

სანათის მოწითალო შუქი მოდგომოდა ვიწროდ ჩამოგრძელებულ სარკმლებს. სალესზე გავლებული რკინის წყნარი სისინი მოისმოდა კედლებს იქიდან... ნელთბილი ღამე რბილტანიან არსებასავით ეტმასნებოდა აბდულს და გრძნობდა, რომ მთელ თბილისში მტერთან მტრულად დახვდომის უსიტყვო თადარიგი სუფევდა.

ლევანმა მხარმარჯვნივ შეუხვია, კუთხის სახლს მიადგა და დაგმანულ კარებზე დააბრახუნა. კარებში თმებდათოვლილი მოხუცი გამოჩნდა.

— შემოდი, ლევან, შემოდი... — მოხუცის სახეს თბილი შუქი გადაევლო.

აბდულს გეზად გადაჰკრა თვალი და უცხოდ დაიგულვა. — მობრძანდი, შვილო, სტუმარი ღვთისაა!..

ოთახში, ტახტზე, მუთაქებს შუა შაოსანი ქალი იჯდა ფეხმორთხმით. [illegible]ში ფეხშედგმულ ლევანს მისალმებაც არ დააცალა, ისე დააყარა რაკრაკით:

— მოხველ, სიძე-კაცო?.. ქმარიც შენისთანა უნდა სწორედ! აბა ვინ ჭკუადმყოფი დატოვებს ასეთ დროს ბოლო თვეში ფეხგადადგმულ ქალს ქალაქში?! იმ ქოსა სპარსელს იმოდენა ჯარი მოუყვანია, ამბობენ, სათვალავი ვერ გასწვდებაო. თანაც ასე უთქვამს, ქალაქში შემოვალ და ქვას ქვაზე არ დავტოვებო, ქართველების სისხლს მდინარედ ვაქცევ და მტკვარში მივუშვებო...

— კარგი, დედაკაცო! — ცოლს გაუწყრა გიორგი. მერე ხმას დაურბილა და ღიმილით დასძინა: — დალოცვილი ისე ლაპარაკობს, თითქოს აღა-მაჰმადხანთან ემასლაათოს. შენ რა იცი, იმას რა უთქვამს და რა მიუქარავს!

ღაზლის წინდების ამარა პაპა თეიმურაზი ოთახში რბილად დააბიჯებდა. კედლიდან ხმლებსა და სატევრებს ხსნიდა, სანათთან მიჰქონდა და გულდაგულ ათვალიერებდა. წელში გადრეკილ ჯავარდენს ფხა და დრეკადობა გაუსინჯა. დაღარული სახე კმაყოფილებით მოიფშვნიტა, ახლა ლაშასჟამინდელი კინენი ჩამოხსნა ლურსმნიდან.

გიორგი საკარცხულზე იჯდა. მუხლებზე ჯაჭვის პერანგი გაეშალა და მხრისთავთან გაცვეთილ რგოლებს ცვლიდა.

ლელა კედელს აკვროდა. ოდნავი შეშფოთება დაჰკრავდა ფერგამკრთალ სახეზე. სისველე გადავლებული ღოღნაშოსფერი თვალები უტყვი ალერსით გამოჰყურებდა ლევანს.

— ქა, გაგონილა?! — მუთაქებს შორის ბორგავდა ლელას დედა. — ვეუბნები, დუშეთში მაინც გაჰყოლოდი-მეთქი მეზობლებს. დაი მყავს იქ გათხოვილი. შეიფარებდა, უპატრონებდა და მწედ ეყოლებოდა. მანამ ეს ქარცეცხლიც გადაივლის...

— არ წავალ-მეთქი, მითქვამს! — ხმა გაენასკვა ლელას. სახეზე სიკერპის იერი დაეტყო. — შენ ხომ რჩები? ქიზიყში ლეკებს რომ ხანჯლით გამოუხტი და ორი ლეკი აკუწე, დაგავიწყდა? შენ რა, დედაკაცი არა ხარ?

— გინდა მე დამედარო?.. მე ასეთად გავუჩენივარ ღმერთს. შენ კი ხომ ხედავ ლერწამივითა ხარ. ნიავმა რომ წამოუქროლოს, დაილასტები. ორი ლეკი აკუწეო!.. ის ტურის ლეკვები ღამით მოგვიხტნენ. ჩაუცმელი ვიყავ და დამერცხვინა, თორემ რატომ ოთხსაც არ ჩავუქრობდი მზესა!.. ახლა რომ დამდგარხარ და ლევანს თვალებში მიჩერებიხარ, შენი ცქერა ეყოფა? ხომ ხედავ სტუმარიც ახლავს...

— არაფერი გინდათ... — იუარა ლევანმა და გიორგის მიუბრუნდა. — ჩვენსა უნდა გადმოხვიდე, სტუმრები გვეწვივნენ და...

ლელამ მაინც თავისი არ დაიშალა, სანამ გიორგი თავის საქმეს მოათავებდა და წასასვლელად მიიცლიდა, ღვინიანი სურა და წამოცხელებული ხინკლებით სავსე სინი ჩამოდგა ტაბლაზე.

— ახლახან ამისი ძმა ჩამოვიდა ქიზიყიდან. — თავის გაქნევით ცოლისკენ ანიშნა გიორგიმ და საქმიდან თავაუწევლად განაგრძო: — რევაზ ანდრონიკაშვილს შეუთვლია კახეთში: ერეკლეს ბრძანებაა, ყველანი მთებში დაიხიზნენითო. კახელები აქეთკენ წამოსასვლელად მზად ყოფილან, მერე ეს ამბავი მისვლიათ და მთებისკენ აყრილან ოჯახებიანად. ახლა ხუთი ათასი კაცის ანაბრადაა თბილისი... ამდენიც არ იქნებოდა, ორი ათას იმერელს რომ არ მოესწრო საშველად.

— მერე ამან დაგაძმარა ვაჟკაცი?! — მყივანა ხმით შეუძახა პაპა თეიმურაზმა შვილს. — ასეთი ომი გადამიხდია?.. საგურამოში რომ ვახლდი, ჩვენს ერეკლესა, ერთზე ოცი მოდიოდა. მერე რაო?.. ისე დავფხრიწეთ, [illegible] ცევას ვერ ასწრებდნენ. მჭადისჯვართან რომ ომი გვქონდა?.. აზატ- ხანს რომ ჩავუხტით არაქსთანა? — და პაპა თეიმურაზი ბალღური თავმომწონებით მოჰყვა, თუ სად როგორ უბრძოლია ერეკლეს ჯარში, თან ნაიარევ მკერდს, მკლავებს და გრძელად გაჩეხილ თავის თხემს უჩვენებდა აბდულსა და ლევანს.

— აი, ეს ტაბაწყურთან დაკრულის ნიშანია. — პაპა თეიმურაზმა ახალუხის სახელო წაიკვალთა და დაძარღვული მკლავი სანათის შუქზე გაიწვდინა.— ჩემი სიყმაწვილით მომივიდა, — თავად მივაწყდი მოქნეულზე. ეს უნდა იცოდეს ომში გასულმა: მტერს რომ ხმალი შემართული აქვს, ფეხის წინ წადგმა დამღუპველია. დააცადე შემოგიქნიოს. აიცილე და კვლავ შემართვას ნუღარ დააცლი... ხმალი მოზომილად უნდა მოუქნიო, რომ თან არ გადაჰყვე მოქნეულს... მოკენწლავეს თვალი თვალში უნდა გაუყარო. თვალი სარკეა აზრის, განაფიქრი უმალ გამოკრთება მასში... თუ მარტოდ მოხვდი მტრის გუნდში, ოვი გაილაღე და შიშს გული გადაუკეტე, თორემ შემდრკალს დედაკაციც ეყოფა დამჯაბნელად... ომში ჩასულმა ვაჟმა ხმალი არ უნდა მოაშიგნოს. დალოდინება არ ვარგა — თავად უნდა მიხვიდე სამკალთან... ჰოროლით გამოქანებულს ცერად დაუდექ, მარჯვენა ფეხი წინ წადგი, მარცხენა გვერდულად გაბიჯგე, ხმლიანი ხელი წინ გაიწვდინე და ყუით აუკარ ჰოროლზე. უმალ მარცხენათი წინ წაინაცვლე და გადაჰკარ ხმალი..

ლელა ქუჩაში გამოჰყვა ლევანს. სუსტი შუქი ცრიდა ფერწასული ციდან. ფერწასულად გამოიყურებოდა ლელაც.

— დილით, ალბათ, ვეღარ მოასწრებ შემოვლას. — დარდითა და სინანულით წაულაპარაკა ლევანს. ლევანი შეყოვნდა. დაერიდა გარეშეთა თვალწინ ცოლთან გამოსალმება. სევდანარევი ალერსით გამთბარი მზერა მიაპყრო ლელას. თითქოს სურდა სამუდამოდ დაემახსოვრებინა მისი სახე.

აბდულმა ნაბიჯს აუჩქარა და საუბრით შეიყოლია გიორგი.

ნაშუაღამევი იყო, მაგრამ თბილისი უკვე იწყებდა გამოცოცხლებას. კენტად და გუნდ-გუნდად მიიჩქაროდნენ ქუჩებში.

ფითრდებოდა ცისპირი. გამუქებული სეიდაბადი მხრებით შესდგომოდა ერისიონს.

* * *

ხოშაყალიდან ზარბაზნების ქუხილი ვადმოხდა და აისის მქრქალ ბურუსში ატივტივებულ კრწანისის ბაღებს განეფინა, შავნაბადას მიაწყდა და ექოდ ქცეული უკუიქცა თბილისისაკენ.

მთის დამრეც კალთებზე ბორძიკით ჩამოდიოდნენ აზიის ხორშაკიან ტრამალებში ნავარდით გალაღებული ბედაურები. დაბლა, კრწანისის ვიწროებში სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა. მხოლოდ შორიდან ყრუ გმინვა ისმოდა ხანგამოშვებით და ჭურვები შხუილით ენარცხებოდნენ მთის ძირს. შორს, ქორისფერ კლდეებთან, სადაც მტკვარი ირკალება, მოჩანდა განთიადის კაშკაშა შუქში გახვეული თბილისი..

ჩამოივაკეს მეწინავეებმა. მტაცებლის ფრთებივით ტყლაშუნობდნენ დილის ქარში სეფე დროშები. ახალ-ახალი რიგები გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ მთის თხემს იქიდან. ბოლო არ უჩანდა მათ დენას. მზე ამოიწვერა და გამოჩნდა შავნაბადაზე აღმართული ყვითელი ჩარდახი.

ერეკლე უნაგირზე შემობრუნდა, ბასრი თვალები გადაჰკრა ლაშქარს.

— ძმებო და შვილებო... — გაისმა მოხუცი მეფის ძახილი. ჯარმა სუნთქვა შეიკრა, გაირინდა. შორიდან ყრუდ ისმოდა ზინზილაკების ჟღარუნი, ტულუმბასების ბაგა-ბუგი და დახშული გნიასი. ერეკლე ოდნავ შეყოვნდა, მერე უზანგებზე წამოიმართა და ხმა დაძაბა:

— თქვენთვის საჭირო არ არის სიტყვით შეგულიანება. ვინც თავის სახლს და ქვეყანას იცავს, მას გამხნევება არაფრად სჭირდება... გახედეთ შავწაბადას, იქ შაჰი დგას და თბილისს გადმოჰყურებს... აჩვენეთ მას, როგორი ომი იციან ქართველებმა!

დგრიალით მოწყვიტეს მხედრებმა ცხენები.

— ვაშაა! — დაიგმინა და დაიზრიალა კრწანისის მიწამ.

— ილლ-ალლაჰ!.. — ტორტმანით წამოვიდა ათასხმოვანი დაძახილი, მტკვრის ვიწროებში შეგუბდა და განჯის კარებთან ჩანავლდა.

ირანელთა მჭიდრო რიგები შუა გაბასრა ზურაბ წერეთელმა. მტერს ზურგში მოექცა და საშველად დაძრულ რაზმეულებს გზა გადაუჭრა. ოთხივ მხრიდან მიაწყდნენ ყიზილბაშები წერეთელს. გადაიზნიქა აელვარებულ მახვილთა ფონზე მოფარფატე იმერელთა მხედრობის დროშა.

მათრახი სწყვიტა მაშინ ცხენს იოანე ბატონიშვილმა და მეწინავე სადროშოს ლაშქარი ნავარდით გაიშალა კრწანისის ველზე. ფლოქვების თქარა-თქურით გამოიჭრა მთის ორწოხში შეფარებული დავით ბატონიშვილის რაზმი, მარჯვენა ფრთიდან მიეძალა და მტკვრისპირა ფშანებში ჩარეკა ირანელები.

მხარდამხარ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს აბდული და ლევანი. მუსტაფაც მათთან ტრიალებდა; თვალს არ აშორებდა ჭაბუკებს.

— ნელა, სული წინ ნუ გისწრებს! — გულმოსულად გასძახოდა იგი, როცა ირანელთა შედრკომით გულანთებულ აბდულს ან ლევანს ჭენებაზე გადაჰყავდა ცხენი.

გახურებულ შერკინებაში, როცა იოანე ბატონიშვილის რაზმმა კრწანისზე გამოჭრილი მტრის მეწინავე რაზმი გადათელა და ზურაბ წერეთლის რაზმს შეუერთდა, მუსტაფამ იმერელ მალაქვაძეს შეასწრო თვალი. მისებრ ტანმომცრო ცხენზე იჯდა და ირანელებში ჯარასავით ტრიალებდა. ბოლოს, ერთი მათგანი დაიმარტოვა, ფლატესთან მიაგდო და გულდაგულ შეუტია. მოკლე ხმალს, რომელიც სატევარს უფრო ჰგავდა, გახელებული შეტევით რეტდასხმული ყიზილბაშის ცხვირწინ თვალმოუკვრელი სისწრაფით ატრიალებდა.

— ოჰო! — ახორხოცდა მუსტაფა. — ხომ არ გიჭირს, სახლიკაცო?..

მაშინვე ცხენი შეატრიალა, ფლატესთან მიმწყვდეული ამხანაგის საშველად გამოქანებულ სპარსელს წინ გადაუდგა და შეეკენწლავა.

— ეჰეე!.. ხომ არ გიჭირს, სახლიკაცო? — ახლა მუსტაფას მოესმა ტანმომცრო მალაქვაძის ძახილი.

მუსტაფამ ხმალი შემოუქნია ყიზილბაშს. უნაგირს გაეკრა ირანელი, ცხენის კისერზე გადმოწვა და შუბურაღ გამოაქანა მახვილი. ბეწვზე გაასწრო მუსტაფამ ბასრ მახვილს, გაახჩრიალა კბილები და გვერდულად მიეტია ყიზილბაშს. ცხენი ყალზე გადაიყვანა და მაღლიდან მხარიღლივ გადაჰკრა ხმალი... გამწარებით დაიჭიხვინა უმხედროდ დარჩენილმა არაბულმა ბედაურმა.

— იმრავლოს შენმა გვარმა! — მოესმა მუსტაფას გახარებული ძახილი და იმავე წამს დამბაჩის ტყვიამ გაუზუზუნა მხრისთავთან. უნაგირზე შეხტა იმერელი მალაქვაძე. სხეულში ისე დაიწმაწნა, თითქოს სახრე გადაუჭირესო.

მოკლე ხმალი ხელიდან გააგდო და მკერდთან იტაცა ორივე ხელი. მერე მოეშვა. მოიღვენთა და ნელნელა დაცურდა უნაგირიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დაგემართა?.. მომხედე ერთი, სახლიკაცო! — შეგუბებულად ჩასძახოდა მუსტაფა მალაქვაძეს. მაგრამ იგი დუმდა. ანცობით გადაღლილი ბალღივით მიწოლილიყო შემოდგომის ბალახ-ბულახით დაფენილ კორდზე და გაშეშებული თითებით ისე ჩაფრენოდა კრწანისის მიწას, თითქოს რაღაც უხილავი ძალა ამ მიწიდან მის აგლეჯას ლამობდა.

დამძიმებული გულით გაეცალა მუსტაფა იქაურობას. უნაგირს მოეკვლო და ხმალი სიბრტყით გადაჰკრა ცხენს. ჭენებით აათავა შავნაბადას შეღმართება. დაბლა გამოჩნდა აოტებული ლაშქარი. მოშორებით შაჰის დაქცეული კარავი ეგდო. დუმილით მიმოდიოდნენ ბრძოლაგადანახადი ქართველები შავნაბადაზე. ნაბადებში გახვეულ მოკლულებს ერთად აწვენდნენ. დასადავებულ ცხენებზე ფერწასული დაჭრილები შემოესვათ. მათ დანახვაზე აბდული და ლევანი მოაგონდა მუსტაფას. გულმა რეჩხი უყო. დიდხანს აჭენა ცხენი ალმა და ალმა. ბიჭები არსად ჩანდნენ. გული ცუდს უგრძნობდა მუსტაფას, მოკლულებისაკენ მიხედვის ეშინოდა. ვისაც ეძებდა, მათი პოვნა მხოლოდ ცოცხლებში სურდა. გულში დაუზოგავად კიცხავდა თავის თავს — რად მივატოვეთ გამოუცდელი ყმაწვილკაცები ამ სისხლის წვიმაში. იმედდანთქმული და გულჩამკვდარი ჩამოქვეითებას აპირებდა და უეცრად ლევანის ფორეჯებიან თეთრონს ჰკიდა თვალი. მის გვერდით აბდულის არაბული აჯილღა იდგა, შაჰისეული კარვის კალთებს ყნოსავდა და ფრთვინვით აკანტურებდა თავს. ლევანი და აბდული კარვიდან გამოთრეულ შაჰისეულ ტახტრევანზე ჩამომსხდარიყვნენ. იქვე, მათ ფერხთით, ირანის სეფე დროშები ეყარა მიწაზე.

შვების სითბომ ფეხის ტერფებამდე დაუარა მუსტაფას. უეცრად აუტანელი დაქანცვა იგრძნო. ბიჭების ძებნისას გულში დაგროვილი საყვედური აღარც კი გახსენებია. ნაკარვალთან მივიდა, აბდულს და ლევანს მოღლილად გაუღიმა და შაჰისეულ ტახტრევანზე გაიშოტა.

* * *

მიმწუხრისას ქართველთა ლაშქარი დასასვენებლად გაიშალა.

ლევანმა ფიჩხი მოზიდა მახლობელი ხევიდან. აბდული ფიჩხის გროვასთან ჩაცუცქდა და ცეცხლი დაუგზნო. ყველგან და ყოველთვის მხიარული მუსტაფა ახლა ხმისდაუცდენლად იჯდა ცეცხლისპირთან. გარინდებით ჩასცქეროდა ნაღვერდლებს.

შორიდან ზარების რეკა მოისმა. მწუხრის ლოცვაზე მიუხმობდა სიონის მთავარი ზარი. მას მეტეხის, ანჩისხატის და ქაშუეთის ზარები აჰყვნენ გაბმული ზრიალით. ერთბაშად დადუმდნენ სეიდაბადის კალთებზე აბრდღიალებულ კოცონებთან შემომსხდარი მოლაშქრეები. ჯარი ლოცვად დადგა.. მუხლისთავებზე დამდგარი მხედრობა თბილისის გადარჩენას შესთხოვდა ზენაარს.

* * *

პირველი დღის შებრძოლებით გაოგნებულმა აღა-მაჰმად-ხანმა ბანაკში დაბრუნებისთანავე ბრძანა, რომ ჯარი ირანში გასაბრუნებლად გამზადებულიყო. კრწანისში ერთი დღის ბრძოლაში დაიღუპა შაჰის დარჩეული რაზმის უმრავლესობა. ტყუილი გამოდგა ნათხრობი, მეფე ერეკლეს ჯარი არ ჰყავს და ერთი დარტყმით დაეცემაო თბილისი. არ იქნა და ვერ ეწია საწადელს ირანის

მბრძანებელი. მიუწვდომელი აღმოჩნდა მისთვის სანუკვარი სახელი ერეკლეს დამმარცხებლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადისას აიყარა სპარსთა ბანაკი. მედაფდაფენი უკვე განემზადებოდნენ ნის მისაცემად და ირანელთა შეფერთხილი ლაშქარი შინისაკენ წაესწრაფოდა, მაგრამ მოულოდნელმა ღალატმა შეცვალა ყველაფერი. ერეკლეს ბრძანებით დატყვევებული შაჰის ელჩები გამოჩნდნენ სოღანლუღის ნაბანაკარში. ირანის ოქროს დილეგის კარი გაეღო მათთვის.

— მეფე ერეკლე უჯაროდ არის მიტოვებული. რევაზ ანდრონიკაშვილი და კიდევ ზოგი სხვა თავადი ერეკლეს მტრობენ. დასძარი ჯარი, აზიის მზეო უძლეველო, და თბილისს ვეღარაფერი იხსნის... — მოახსენეს ელჩებმა აღა-მაჰმად-ხანს

მთელი ძალებით თბილისზე დაძვრა ბრძანა მაშინ აღა-მაჰმად-ხანმა.

—ექვსი ათასი შუბოსანი თურქმენი ზურგში ამოუდგეს შემტევ ლაშქარს. შუბზე ააგეთ ყველა, ვინც ზურგს უჩვენებს!..

დილიდან შეღამებამდე ასკდებოდა ურდოთა ტალღები თბილისის გალავანს. ზანზარებდა კრწანისი. თანდათან ილეოდა, მაგრამ მაინც არ დრკებოდა ქართველი მხედრობა.

შავნაბადაზე კვლავ გამოჩნდა პაწაწკინტელა მუქი ფიგურა. სიღრმეში წასული, ბოროტად მოკიაფე წვრილი თვალებით გადახედა შაჰმა ბრძოლის ველს. ქოსა ლოყებზე დაიკლაკნენ ტეხილი ნაოჭები. ქვედა ბაგე დაკბილა აღა-მაჰმად-ხანმა და ყრუდ წარმოთქვა ის სიტყვები, რომლებმაც შემდეგში ირანელ ჟამთაღმწერლებამდე მიაღწიეს და საქვეყნოდ ცნობილი გახდნენ:

— ჯერ არ მახსოვს ასე გმირულად ებრძოლოს ჩემს მტრებს. ამ ხალხის აღგვა პირისაგან მიწისა იქნებ მოხერხდეს, მაგრამ დამორჩილება შეუძლებელია...

შორიდან ომახიანი შეძახილები მოისმა. სისხლის ამფორიაქებელი დოლის ცემა და ზურნა-ღუდუკის გაბმული ხმა კრწანისისაკენ მოიწევდა. შავჩოხიანი შავგვრემანი ვაჟკაცები მექორწილეებივით გამოეფინენ ქალაქის კარიბჭიდან.

ბატონიშვილი ერეკლე
განა უბრალო კახია,
საგურამოში ლეკისა
ჯარი მარტო მან დახია...

მოიმღეროდა თბილისელი მემუსიკეებითა და მელექსეებით გარშემორტყმული მაჩაბელი. ხმაშეწყობილი სიმღერებით მიუახლოვდნენ ბრძოლის ადგილს. მერე გასაფრენად შემართული არწივებივით წამოიწივნენ უზანგებზე და ყიჟინით მოსხლიტეს ცხენები. თავაწყვეტილი დავლური დასცხეს მემუსიკეებმა. ზარდამცემი შეძახილებით მოიჭრნენ შავჩოხიანები. შედგა და ადგილზე დატრიალდა კრწანისის ვიწროებში ჩატბილებული და ჩახუთული ირანელთა ლაშქარი. გიჟური თავგამეტებით გადაეშვნენ ხმალშემართული ქართველები ჩალმების მორევში. კვნესით წყდებოდნენ უნაგირს მობასრული ირანელები...

მახვილების ჩახა-ჩუხი, ხამუშხამუში გასროლის ხმები და გულის გამბზარავი ყვირილი ისმოდა გარშემო. ველური ჭიხვინითა და დაფეთებული თვალების ბრიალით ტორავდნენ მიწას მხედარდაკარგული ცხენები...

საშინელ ორომტრიალში მუსტაფამ ისევ დაკარგა აბდული და ლევანი. ძნელი გამოდგა გულფიცხი ჭაბუკებისათვის თვალყურის მიდევნება. უნაგირზე წამოიწია მუსტაფა და მიმოიხედა. მხარმარჯვნივ ნუშის ხეების ქვეშ ირანელთა დუნგო დახვეოდა ქართველთა მცირე გუნდს. მათ შორის ტრიალებდნენ აბდული და ლევანი. პირსახეზე ალმური მოსდებოდა ჭაბუკებს. მხარდამხარ

იდგნენ და გამწარებით იქნევდნენ ხმლებს. აბდული ინით წვერშეღებილ ხანელ-იუზბაშს შებმოდა. ჭაბუკური კვეთებით ეძალებოდა მოსისხარს. სპარსელი ფეხ-ჯი თავდაჯერებით იცდენდა ხმალს. ალბათ, გრძნობდა, ახალბედა [illegible] რომ ედგა წინ. მოქნეულის ზედიზედ გაცუდებამ კიდევ უფრო გააფიცხა აბდული. უეცრად მაღლა ასხლტა მისი ხმალი, მზის სხივებზე გაიპრიალა და, ვადაში გადამსხვრეული, წკრიალით დაეცა მიწაზე.

— სულელო! — დანანებით დასცდა მუსტაფას. ლაგამი მძაფრად მოზიდა და დამბაჩა დააძრო სარტყლიდან. აბდულის თავზე შემართული ხმალი ხელიდან გაუსხლტა ირანელს. უნაგირზე მოწყვეტით გადაწვა და ზედაეკონა თეთრონის გაფაფრულ კისერს. ოთხახმით მოსხლტა თეთრონი; ჭიხვინით გაიტაცა მკვდარი მხედარი... დამბაჩის ხმაზე მიხედვა ვერც კი მოასწრო აბდულმა, რომ შუბგამოწვდილი ჩალმოსანი გამოექანა ლევანისაკენ. ტერფებით უნაგირზე შედგა აბდული. ბებუთის ტარი დაწურა მუშტში და ზურგზე შეახტა შუბოსანს. მარცხენა ხელი ყელზე შემოხვია და იღლიასთან ვადამდე ჩაუცურა წვერალესილი დანა. მაინც მოასწრო ირანელმა მკლავის გაქნევა — გამოქანებული ჰოროლი არწივის ფრთებივით გადაშლილ ბეჭებს შუა აძგერა ლევანს. პირაღმა გადმოეშვა უნაგირიდან ჭაბუკი; ნუშის ხის ქვეშ დაეცა მკვდარი ფოთლების ქარვისფერ ზვინულზე. ყრუდ დაიგმინა აბდულმა. კანის დამწველი მცხუნვარება თავში აეჭრა და სახეზე შემოეკიდა. ცხენიდან გადმოფრენილი სულმოუთქმელად მიიჭრა ლევანთან, დაიჩოქა და მხრისთავებზე მოავლო ხელი.

— ლევან!..

უცნაური იერი დაჰკრავდა ლევანის სახეს. ვერ გაიგებდი, იღიმოდა თუ სიკვდილის წინ განაცად ენითუთქმელ ტკივილს გამოხატავდა. ტუჩების კუთხიდან შინდისფერი ვიწრო ზოლი გადმოდიოდა და საყელოსთან იკარგებოდა. ნუშის რტოებში დაქსელილ მზის შუქს აჭყურებდა და ბალღური გაოცება ეხატა ფართოდ გახელილ თვალებში.

მუხლისთავებზე გარინდული აბდული ერთბაშად ჩამომდგარმა მდუმარებამ გამოაფხიზლა. სახეარეული წამოდგა ფეხზე. ცივ სიცარიელეს დაესადგურებინა ირგვლივ. კრწანისის მიდამოებს მწუხრის ჩრდილი ეფინებოდა. მთვარეულივით მოდიოდა ცეცხლმოკიდებულ თბილისისკენ აბდული. ერთ დღეში დავაქაცებული ჭაბუკი ჩაბალახმოხდილი მოაბიჯებდა ბინდდაცემულ კრწანისის ველზე. ფერდობთან მუსტაფას წააწყდა. თავდახრით ჩაჩოქილიყო მუსტაფა. ჩაბალახი გადახდოდა და შიშველი შუბლით ბექობს ეყრდნობოდა, თითქოს სისხლით მონამულ კრწანისის მიწას სცემსო თაყვანს.

ქორისფერბექთარიანი არაგველები მოფენილიყვნენ ველზე. პირაღმა იწვნენ ლეგაჩოხიანი ვაქაცები. სასიკვდილოდ დაცემულებსაც არ უჩანდათ ზურგი მტრის დასანახად. თბილისის ზეცის უნაზეს სილურჯეს აჭყურებდნენ და კრწანისის სევდა ედგათ ღიად დარჩენილ თვალებში.

სამასი ლომგული ვაქაცი იწვა თბილისის კარიბჭის წინ. ასე აწვენდნენ ოდითგანვე მამულის ამაგდარ შვილებს ტაძრის შესასვლელთან.

თბილისი იყო მათი ტაძარი.

ფაფარგაწეწილი უმხედრო მერნები ჭიხვინით მითქარუნობდნენ მთებისაკენ... შავი მერცხლები მიფრინავდნენ არაგვზე, თითქოსდა ომში დაღუპული ძმების ამბავი მიჰქონდათ.

გათენებისას მიწყდა მარბიელ სპარსთა თარეში და აბდული მალვიან შეკ-
ვიდა ქალაქში. ტკაცანით იფერფლებოდა ცეცხლმიცემული სახლები. სამარცხვინ-
გულსაკლავად გაჰყიოდა ბაიათს სპარსი გუშაგი.

ვამეხის სახლს ცეცხლი ეკიდა. სახურავი ჩაქცეულიყო. აივნის სვეტებს
ცეცხლის ალი წითელი გველებივით ეტმასნებოდა; ხანძრის მცხუნვარება სუს-
ხად ჩაუდგა ტანში აბდულს. გულჩამკვდარი გამობრუნდა და გიორგის სახ-
ლისაკენ წავიდა იმ გზით, ლევანთან ერთად რომ გაიარა ამ ორი დღის წინათ.
ფრთხილად შეაღო კარი და მონუსხულივით გაშეშდა ზღურბლზე. გარედან
შემოღწეულ ხანძრის მოწითალო შუქზე აბდულმა კიბეებზე თავქვე დაცემუ-
ლი ორი სპარსელი დაინახა. ერთი პირჩაღმა იწვა, მეორე კი პირაღმა გადმო-
ქცეულიყო კიბის საფეხურებზე.

მაღლა, კიბის თავთან პაპა თეიმურაზი ჩაკეცილიყო. ღაზლისწინდებიანი
ფეხები ფართოდ გაეშალა. ზურგით კედელს მიყრდნობოდა. ძარღვებით დაქ-
სელილ ბებრულ მარჯვენაში გასისხლული ჯავარდენი შერჩენოდა. სიკვდილი-
საგან გაელამებული თვალები წყრომითა და დამსუსხავი სიმკაცრით იცქირე-
ბოდნენ.

აბდულმა სპარსელებს გადააბიჯა და კრძალვით მიეახლა პაპა თეიმურაზს.
ფრთხილად გაუხსნა ხმლის ტარზე შემომკვდარი თითები, ხმალი აიღო და
ერთი ნახტომით ჩამოათავა კიბე.

თენდებოდა. ხანძართა მეწამულისფერ დაფიონს რიჟრაჟის მკრთოლავი
შუქი ენაცვლებოდა. გაფითრებული ცისპირი ცახცახებდა შავნაბადას იქით.
აბდულმა ბნელაში შეფარებული ცხენი გამოიყვანა და ის იყო ამხედრებას
აპირებდა, რომ ვიღაცის ჩრდილი დალანდა ეზოში. აბდული ხმადაბლა შეეხმი-
ანა უცხოს. წელში მოხრილი ლანდად ქცეული შაოსანი დედაბერი უსიტყ-
ვოდ მოფარფატდა. გაცრეცილი ბაგეები მოკუმა და მწუხარებისაგან მკვდა-
რი თვალებით შეათვალიერა ჩაქურიანი ვაჟკაცი. აბდულმა ვამეხის ოჯახის
ამბავი ჰკითხა მას. ქართულის გაგონებამ ენა ამოადგმევინა მოხუცს. ვამეხის
ქალ-რძალი წინაღამით სტუმრად მოსულ მოკეთეს გაჰყვნენ აჭარაში თავშე-
საფარებლად. თვითონ ვამეხი ტაბახმელასთან შეკვდომია სპარსელებს. არც
მისი ვაჟი მობრუნებულა კრწანისიდანო.

აბდული უნაგირს მოევლო, ცხენს მათრახი გადაუჭირა და ჭენებით მიჰყ-
ვა ჩრდილებით დათალხულ ქუჩებს.

მესამე დღეს ჩააღწია ხიხანში გატანჯულმა და ვარამით გულგაბასრულმა.
სახლში არც შეუვლია — პირდაპირ ნურის ჭიშკართან მიაგდო გაოფლიანე-
ბული ცხენი.

ეზოში ვაშლის ხის ქვეშ გაფენილ ფარდაგზე ლევანის დედა იჯდა საქსო-
ვით ხელში. მუხლები მოეკვეთა აბდულს. ბორძიკით შეადგა ფეხი ჭიშკარში...

გაფითრებული, უსიტყვოდ თავდახრილი აბდულის დანახვამ ყველაფერი
ამცნო დედის გულს. დამჭკნარ ღაწვებზე შემოიკრა ხელები მარიამმა.

— დამიჯერე... ლევანის სისხლს არ შევარჩენ... — გაჭირვებით ამო-
მარცვლა ყელში ცრემლწაჭერილმა აბდულმა.

ცრემლჩატბორებული თვალები სიყვარულით შეავლო მარიამმა აბდულს.
ჭაბუკის ნათელ თვალებში თავგანწირვისა და შურისგების ცეცხლი ეგზნო.
ქარდაკრული სახე გაქვავებოდა. მხოლოდ ბაგეები უთრთოდა ძლივსშესამჩ-
ნევად.

— ვიცი, შვილო, არ შერჩებათ... — მარიამმა ქვითინი დაიოკა და აბდულს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედური სიყვარულით გადაუსვა ქოჩორზე ხელი. ოდიდან ჩვილის ხმამაღალი ტირილი გახმიანდა. უცნაურმა ციგმა გაიელვა მარიამის გაწამებულ სახეზე, თითქოს კრწანისში დაცემული ლევანის ძახილი შემოესმაო.

აბდული უსიტყვოდ გაეცალა მარიამს და ოდის კიბეები აათავა. ბალღმა მაშინვე შეწყვიტა ღნავილი. თეთრი საბურავის ქვეშიდან მოციმციმე თვალებით შესცინა ოთახში შემოსულს. აბდულმა თვალი აარიდა ვედრებითა და მოლოდინით აღსავსე ლელას გამოხედვას, ყრმასთან მივიდა და პაპა თეიმურაზისეული უქარქაშო ჯავარდენი აკვნის თავზე დაჭკიდა.

მეშვიდე თვეზე აიდგა ფეხი ლევანის ვაჟმა. ახალამწვანებულ მოლზე დაბაჯბაჯებდა ყვავილებით გადაპენტილი ვაშლის ხეების ქვეშ და ჭყლოპინით შეჭხაოოდა სიცოცხლის პირველ გაზაფხულს. ბავშვს განსაკუთრებით ეხალისებოდა აბდულთან თამაში. ზოგჯერ აბდულის პაპა, ახთხუთმეტი წლის ოსმანი ჩამოდიოდა ეზოში. ყრმას ენის მოჩლექით მიუალერსებდა, მერე, ვაშლის ხის ქვეშ ჩამოჯდებოდა, დავსილ თვალებს მაღლა აღაპყრობდა და ფანდურზე მღეროდა:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი არ ჭამონ მტრისანი.

მერე ამბავი მოვიდა აჭარაში — მეფე ერეკლე ანანურიდან გადმობრძანდა და კვლავ დაიპირაო თბილისი. იმ კვირაშივე დაბრუნდნენ ქალაქში მარიამი, ლელა და ყრმა ლევანის-ძე.

იმ ზაფხულს ხმა გავარდა საქართველოში — მომძლავრებულ მეფე ერეკლეს რუსეთთან კავშირი განეახლებინა. ამით განრისხებულ აღა-მაჰმად-ხანს უთვალავი ლაშქრის შეკრება ებრძანებინა. თბილისზე დაძვრას აპირებდა თურმე შაჰი. ქართველთა ჯილაგისა და ორანის გაწყვეტა, ქვეყნის უდაბურ მიწად გადაქცევა დაიქადა თურმე აღა-მაჰმად-ხანმა.

ეს ამბავი გაიგო თუ არა, აბდული ცხენს მოევლო. ხიხანში, ფოცხოვში, ნიგაზეულში მოყვრებსა და ნათესავებს ჩამოუარა. ერთ კვირაში მებრძოლ ჭაბუკთა გუნდი შეკრიბა და სელიმ ხიმშიაშვილს თბილისელებთან თანადგომად წასვლის ნება გამოსთხოვა. სელიმი დიდად გაახარა ჭაბუკთა თავგამოდებამ. კრწანისის გმირს თავისი ხანჯალი უბოძა და ქალაქში წასვლის დასტური მისცა.

უეცარმა შემთხვევამ თბილისს საფრთხე ააშორა და აღარც აბდულის მებრძოლ გუნდს მოსწევია თბილისის ჭაღარა გალავანთან მახვილების ამოთეთრება.

ბალღობისას წანარტყვევნმა ქართველმა კაცმა, სპარსელთაგან სადიყად წოდებულმა ანდრია მცხეთელმა საქართველოზე გამოლაშქრების წინაღამით სატევრით დაჰკლა აღა-მაჰმად-ხანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ბობოხიძე

ქალის ცრემლები და ღიმილი დედის

მმაჩის რეგისტრატორ ქალს

ისევ შეგრჩენია სინაზე ქალური,
კვლავ ფურცლავ ზაფხულ თუ ზამთარ
სხვისი სიხარულით, სხვისი სიყვარულით
ყელამდე ავსებულ დავთარს.
საქები ქალი ხარ, თავს მაინც არ იქებ,
მაგონებ მარტოხელ ალვას,
გაბედნიერების მოწმობებს არიგებ,
ტკბილი ხმით ულოცავ ქალ-ვაჟს.
თუ სჭარბობს ქორწილი და ვაჟიანობა
შეჰხარი თვითეულ სტრიქონს.
თითქოს გემატება თავაზიანობა,
ღიმილსაც აპირებ თითქოს.
კვლავ ახალგაზრდობა არ აღუღუნდება,
აღარც სიყვარულის ქნარი;
შენ ხომ არასოდეს არ დაგიბრუნდება
ომში დაღუპული ქმარი.
ორმოცი წლისაც კი გული არ ბერდება
და ქვეყნად ომების გაჩენას წყევლი,
რადგან არასოდეს აღარ ამღერდება
შენში მომხიბლავი თვრამეტი წელი.
მაგრამ მომავალი — გოგონა გეზრდება,
ძვირფასი ყოველგვარ განძთა,
და შენ ელოდები, როდის აფეთქდება
მასში სიყვარულის განცდა.
შენით შევიცანი სიმართლე ფარული,
რომ ქვეყნად არსებობს წამალი სევდის:
სხვისი სიხარული, სხვისი სიყვარული, —
ქალის ცრემლები და ღიმილი დედის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე უშვერიძე

ვფიცავ, გაგიზიარებდი...

შავთვალა გოგონავ, შავნაწნავიანო,
გავიგე შენც ყრუ ხარ, ქვითინებ ჩემსავით.
ემდური ბედსა და სმენის მოლოდინში
ხშირად აღმოგხდება რაღაც ხმა მკვნესავი.

მახსოვს, როცა გნახე, საბრალო შემებრალე,
თვალთაგან გადმომვარდა ობოლი კურცხალი.
ვიღაცა გახლდა, მახსოვს შეხედე და
წავიდეთო, ჩვენებურ ენაზე* უთხარი.

ვიდექ და გიცქერდი ყვავილივით ლამაზს.
შენ ვით ბნელში მთვარე, ისე ციალებდი,
რომ მქონოდა სმენა და რომ შემძლებოდა,
ვფიცავ, ნახევარს გაგიზიარებდი.

* ლექსის ავტორი ყრუ-მუნჯია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაღვა შუბლაძე

მ ე ლ ი ს ა

ნაწყვეტი საბავშვო პიესიდან

ფინალი

(ქორწილი. ერთად სხედან მეფეები დათო და მელო. მოპირდაპირე მხარეს — ნეფე-დედოფალი ტურია და როხროხა. ისმის მაყრული. თამადობს ბზეკია).

ბზეკია

ამ ორი ყანწის გამოცლა
სწორედ რომ გულით მწყურია.
სიცოცხლე ნეფე-დედოფალს —
როხროხასა და ტურიას!

შეძახილები:

ვაშა!
დიდება ვარსკვლავებს!

ბზეკია (მეზობლებს)

აბა, ეს ყანწი დასცალეთ!
(შემოაქვთ მოხარშული ქათმები)

დათო (აწვდის მელოს)

მიირთვით, თქვენი ჭირიმე,
ჩათქვირებული ქათმები!
ამ არაყს თაფლით იმდენს ვსვამ,
საცაა მალე დავთვრები.

შეძახილები:

ახლა სიმღერა მოგვინდა,
ღვინოც დაგვიდგით დოქითა!
(გამოდიან კატა და თაგვი)

კატა (ჩონგურს უკრავს)

ხან თაგვია, ხან წრუწუნა,
სიმწრის ოფლში გაწურული,
მეზობლობა ჩემი არ სურს,
ნეტავი რა დამიწუნა?
იქნებ ცუდი უთხრეს ჩემზე,
მიტომ შიშობს, დამფრთხალია,
რასაც ვინმე ჩასჩურჩულებს,
ნუთუ ყველა მართალია?

თაგვი (ფანდურზე)

ვიცი, ვიცი რა შვილიც ხარ,
განა ვერ გრძნობს ამას გული?
ბალიშის ქვეშ მჭრელი ხმალი
ჩემთვისა გაქვს დამალული.

(გაისმის დოლისა და აკორდეონის ხმა. ყურცქვიტა ცეკვავს „კინტაურს“, მას ცვლის „განდაგან“, ცეკვავენ ნეფე-დედოფალი. ცეკვების დამთავრების შემდეგ შემოდის ჯიხვი, ხელში სტვირი უჭირავს, ჩაბერავს და დაამღერებს).

ჯიხვი

არწივს უთხრეს, შენს თვალებში
დაგვენახა ღიმი გვსურდა,
შენ კი კუშტად და მრისხანედ
გადმოგვყურებ მაღლით მუდამ.
სისხლს რად ეძებ გამუდმებით,
უსუსურს რად ესხმი თავზე,
მშვიდობა და სიყვარული
რისთვის არ გსურს ქვეყანაზე?
მეტისმეტი სიბრაზისგან
დაუგრძელდა არწივს თავი:
მეფის საქმე როდის აქეთ
გახდა სხვების საკითხავი?
თქვენ ვინ გკითხავთ, თქვენი მეფე
სისხლსა სვამს თუ ხორცსა ყლაპავს?
მსხვერპლს გემო არ გაუსინჯოს,
რის მეფეა იგი აბა!

დათო (გაბრუებული)

სწორი უთქვამს!

მელო (მთვრალია)

კარგად უთქვამს!

ჯიხვი (აგრძელებს)

ორი მეფე
ჰხარიმხარ ზის,
ეს მელეთის, ეს — დათვეთის,
უცინიან, მაგრამ ლამის
ჭადაყლაპონ ერთმანეთი!

დათო და **მელო** (გაანჩხლებით)

დაიჭირეთ ავაზაკი!

ჯიხვი (დამბაჩას ისვრის)

შეგობრებო, აბა აქით!
სიკვდილი ამ მუქთახორებს!
ჩათ სამარე გაასწორებს!

(შეშოდის ხალხი. წინ ლამაზა მოუძღვება. ხმის ხმლების ჩახა-ჩუხი, მეფეები და მათი ამალა ხელაწეული გაჰყავთ)

ლამაზა (ხალხის წინ დადგება)

მიწის მუშა, ხელოსნებო!
მშვიდობაზე, ვინც ოცნებობთ,
მოგილოცავთ გამარჯვებას,
ახალი დღის დაბადებას!

(მოიძრობს ნიღაბს)

ხალხი

ო, მელისა!

კოხტა (გახარებული)

ო, მელისა! (მოეხვევა)
შენი ხილვა რომ მეღირსა,
სული ხარობს, გული მღერის,
დღეს ორგზის ვარ ბედნიერი!

ყველა

სიყვარული არ დაჭკნება.
ხალხთა ძმობას გამარჯვება!

(ფარდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერთოლდ ბრეჰტი

ლა'სიოტელი ჯარისკაცი

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ საფრანგეთის პატარა სანავსადგურო ქალაქ ლა'სიოტაში დიდი ბაზრობისას, წყალში გემის ჩაშვების ცერემონიის დროს საჯარო მოედანზე ჩვენ ვნახეთ საფრანგეთის არმიის ჯარისკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, რომლის გარშემო თავი მოეყარა ბრბოს. ჩვენ მივუახლოვდით და შევამჩნიეთ, რომ ის თურმე ყოფილა ცოცხალი ადამიანი, რომელიც რუხ მაზარაში, მუზარადით, თოფით ხელში უძრავად იდგა ივნისის პაპანაქება მზეში. მისი სახე და ხელები ბრინჯაოსფრად იყო შეღებილი. მის სხეულზე არც ერთი კუნთი არ იძვროდა, წამწამებიც კი არ უთრთოდა. მის ფეხებთან იდო მუყაოს ნაჭერი, რომელზეც ეწერა:

„ადამიანი — ქანდაკება

მე შარლ ლუი ფრაშარმა, პოლკის ჯარისკაცმა, ვერდენთან მიწაში ცოცხლად დამარხვის შედეგად შევიძინე არაჩვეულებრივი უნარი, გავქვავდე და სავსებით უძრავად, რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ვიდგე, როგორც ქანდაკება. ეს ჩემი უნარი ბევრმა პროფესორმა გასინჯა და აუხსნელ ავადმყოფობად აღიარა. გთხოვთ უბოძოთ მოწყალება ოჯახის ხელმოკლე მამას!"

ჩვენ ჩავუგდეთ ხურდა ფული ამ წარწერის გვერდით მიდგმულ თეფშში და თავის ქნევით გავუდექით გზას.

მაშასადამე, ვფიქრობდით ჩვენ, აქ დგას იგი კბილებამდე შეიარაღებული, მრავალ საუკუნეთა შეუდრეკელი ჯარისკაცი, იგი, რომელმაც უზრუნველყო ალექსანდრეს, კეისრის, ნაპოლეონის საქმენი საგმირონი, რომელთა შესახებ ჩვენ სასკოლო სახელმძღვანელოებში ვკითხულობდით ხოლმე. დიახ, ეს ის არის, იგი წარბსაც არ იხრის; იგი მოისარია, კამბიზის მებრძოლი მეეტლე, რომლის დამარხვა საბოლოოდ ვერ შეძლო უდაბნოს სილამ; იგი კეისრის ლეგიონერია, ჩინგის-ხანის შუბოსანი, ლუდოვიკო XIV შვეიცარიელი და ნაპოლეონ I გრენადერი. მას ხომ არც ისე არაჩვეულებრივი უნარი აქვს, რომ არაფერი არ შეიმჩნიოს, როცა მასზე სინჯავენ ყოველგვარ გამანადგურებელ იარაღს. ქვასავით უგრძნობლად გაშეშდება იგი, როცა მას სასიკვდილოდ გზავნიან. სხვადასხვა თაობის ქვის, ბრინჯაოს, რკინის შუბებით დაცხრილული, არტაქსერქსესა და გენერალ ლუდენდორფის საბრძოლო ეტლებით ნავალი, ჰანიბალის სპილოებითა და ატილას მხედრებით გათელილი, მრავალ საუკუნეთა მან-

ძილზე სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ქვემეხების, ბრინჯაოს მფრინავი ნამსხვრევებით, კატაპულტების მფრინავი ქვებით დაფლეთილი, მეოცნოლის ქვერცხებივით დიდი და ფუტკრებივით პატარა ტყვიებით დაგლეჯილი დგას იგი, შეუდრეკელი, ისევ და ისევ ასრულებს მრავალ ენაზე წარმოთქმულ ბრძანებებს, მაგრამ არ იცის რატომ და რისთვის. მის მიერ დაპყრობილ მიწებს იგი ვერ ფლობდა. როგორც ქვისმთლელი არ ცხოვრობს მის მიერ აგებულ სახლში, ასევე არ ეკუთვნოდა მას ქვეყანა, რომელსაც იგი იცავდა. მისი თოფი, მისი ფორმის ტანსაცმელიც კი არ ეკუთვნოდა მას. მაგრამ იგი დგას, თავზე თვითმფრინავთა სიკვდილის მთესავი წვიმით და ქალაქის კედელთა დამწვარი ჭვარტლით, ქვეშ ნაღმითა და ხაფანგით, ირგვლივ გადამდები სენითა და მომწამლავი აირით, ხელშუბისათვის, ისრისათვის, სამიზნისათვის, უფორმო მასისათვის, დაზიანებულ ტანკში გამოხრჩობისათვის ხორცის სატყუარა, წინ მტრითა და უკან გენერლით!

უთვალავია ხელი, რომელიც მას ფარაჯას უქსოვდა, საქსოვ დაზგაზე მუშაობდა, ჩექმებს უკერავდა! უთვალავია ჯიბე, რომელიც მისი საშუალებით ივსებოდა! უზომოა ყვირილი მსოფლიოს ყველა ენაზე, რომელიც მას აღაფრთოვანებდა! არ არის რელიგია, რომელსაც გზა არ დაელოცოს მისთვის.

მიწაში რა ცოცხლად დამარხვაა ის, ვფიქრობდით ჩვენ, რომ ამ ავადმყოფობას უნდა უმადლოდეს იგი, ამ საშინელ, შესაზარ, უკიდურესად გადამდებ სენს?

ნუთუ იგი მართლაც განუკურნებელია? ვეკითხებოდით ჩვენ საკუთარ თავს.

თარგმნა გერმანულიდან **პავლე ჯორბენაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეკ ლონდონი

ოთხი ფეხმოკლე

„კარმენი ორ დღესაც ვერ გააწევს“.

მეისონმა გამოაფურთხა ყინულის ნაჭერი და გატანჯულ ცხოველს ნაღვლიანად შეხედა, მერე ძაღლის თათი ტუჩებთან მიიტანა და თითებსშუა ჩამჯდარი ყინულის კბეჩა განაგრძო.

„კაპიკია მაგ ძაღლების ფასი, ბრტყელ-ბრტყელი სახელები რომ ქვიათ“, — თქვა მან, საქმეს რომ მორჩა, და ძაღლს გვერდზე უბიძგა. „სალავათი მალე ეცლებათ, ბოლოს ვეღარ უძლებენ და ფეხებს ფშეკენ. აბა, განა ძაღლს, რომელსაც უბრალო სახელი ქვია, რაიმე ცუდი მოუვა? აი, თუნდაც კასიარს, სივაშს ანდა ჰასკის? არა, ჩემო ბატონო! ერთი შუკუმსაც შეხედე, იგი...“

უცებ გამხდარი ცხოველის ტანი ჰაერში წამოიწვართა და თეთრმა კბილებმა მეისონის ყელთან გაიელვეს.

„ესეც შენ!“ — მათრახის ტარის მძლავრი ჩარტყმა ყურისძირში და ძაღლი თოვლზე წამოგორდა, ტანში ცახცახი შეუდგა, კბილებიდან ყვითელი დორბლი გადმოსდინდა.

„ჰო, იმას ვამბობდი, ერთი შუკუმს შეხედე-მეთქი. ძაღლი ეგ არის. სანაძლეოს ვდებ, თუ კარმენი არ შესანსლოს ამ კვირის ბოლომდე“.

„მე მგონია, საქმე სულ სხვანაირად წავა“. — უპასუხა მეილმიუტ კიდმა, რომელიც ცეცხლზე გასათბობად მიდებულ პურს მისჩერებოდა. — „ჩვენ თვითონ შევჭამთ შუკუმს. სანამ ადგილზე მივიდოდეთ. შენ რას იტყვი, რუთ?“

ინდიელმა ქალმა ყავაში ყინულის ნაჭერი ჩააგდო, მეილმიუტ კიდიდან მზერა ქმარზე გადაიტანა, მერე ძაღლს შეხედა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ეს ისეთი ჭეშმარიტება იყო, რომელიც დამოწმებას არ საჭიროებდა. კაცმა რომ თქვას, რაღა ბევრი უნდა იფიქრო, როცა წინ ორასი მილი გაუტეხელი გზა გიდევს, საჭმელი დიდი, დიდი ექვს დღეს თუ გეყოფა და ძაღლებისთვის ხომ სრულიადაც არაფერი არ არის და არა.

ორი მამაკაცი და ქალი ცეცხლს მიუჩოჩდნენ და ყბები აამუშავეს. ხანმოკლე შესვენება იყო და მარხილიდან გამოუხსნელი ძაღლები იქვე თოვლზე მიწოლილიყვნენ. ისინი შურით უყურებდნენ ჭამაში გართულთ .

„გათავდა, დღეიდან უნდა გამოვეთხოვოთ საუზმეს“, — თქვა მეილმიუტ

კიდმა, — „ძაღლებზე კი თვალი უნდა გვეჭიროს, თორემ შიმშილმა მთლიანად გააბოროტეს, თუ დრო იშოვეს, არ დაგვინდობენ“.

„ერთ დროს ხომ მეთოდურ საზოგადოებას ვხელმძღვანელობდი და ... რაო სკოლაში ვასწავლიდი“, — სრულიად უადგილოდ დასძინა მეისონმა და თავისი მოკასინების ჭვრეტაში დაინთქა, რომელთაც ორთქლი ასდიოდათ. რუთმა ყავა დაუსხა და მეისონი ფიქრებისაგან გამოერკვა.

„მადლობა ღმერთს, ჩაი თავსაყარი გვაქვს. მე ვნახე როგორ იზრდება ჩაი ქვევით, ტენესში. ო, რას არ მივცემდი ახლა ცხელი მჭადის ნატეხში! ცოტა კიდევ მოითმინე, რუთ, ცოტა კიდევ და შიმშილი აღარ შეგაწუხებს, აღარც მოკასინები დაგჭირდება“.

ამ სიტყვებზე ქალს სახე გაუნათდა და მის თვალებში გამოკრთა უდიდესი სიყვარული თავისი თეთრი ბატონისადმი, პირველი თეთრი ადამიანისადმი, რომელიც მას ენახა, პირველი მამაკაცისადმი, რომელმაც დაანახა, რომ ქალს შეიძლება სხვანაირად მოექცე, ვიდრე უბრალო პირუტყვს.

„ჰო, რუთ!“ — განაგრძობდა ქმარი მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე, — „ჩქარა გავეცლებით აქაურობას, ჩავჯდებით თეთრი ადამიანის ნავში და გავცურავთ მლაშე წყლისაკენ. ჰო, ცუდი წყალია, მშფოთვარე წყალი; მთებისოდენა ტალღები ბუქნას უვლიან. უჰ! მაინც რამოდენებია, და რა შორი სავალია. მიდიხარ ათ მილს, ოც მილს“, — მეტი სიცხადისათვის თითებზე ჩამოთვალა დღეები, — „და ირგვლივ მხოლოდ წყალია, ცუდი წყალი. მერე დიდ სოფელში შევდივართ. ხალხი ბუზივით ირევა. ო, რა მაღალი ვიგვამებია — ათი, ოცი ფიჭვის სიმაღლისა. ჰეი, შუკუმ!“

იგი გაჩუმდა. სიტყვები რომ ვერ იპოვა, ვედრებით შეხედა მეილმიუტ კიდს. მერე ხელები მოიშველია და გულმოდგინედ დაიწყო იმის ჩვენება, თუ რა სიმაღლისა იქნებოდა ერთიმეორეზე დადგმული ოცი ფიჭვი. მეილმიუტ კიდმა დამცინავად გაიღიმა, მაგრამ რუთს თვალები გაუფართოვდა გაკვირვებისა და სიამოვნებისაგან, რადგან ეგონა მეისონი ხუმრობსო და ამგვარმა მოწყალებამ სიხარულით აავსო მისი სუსტი ქალური გული.

„ჰო, მერე ჩავჯდებით ყუთში და ჰაიდა!“ მეისონმა ჰაერში აისროლა ცარიელი ფინჯანი და, როცა მარდად დაიჭირა, წამოიძახა: „ახ, უკვე მივედით. ო, დიდო მისნებო! შენ წახვალ ფორტ იუკონში, მე კი — აქტიკ სიტიში—ოცდახუთი მილის მანძილზე. იქიდან აქამდის გრძელი თოკია. თოკის ამ ბოლოში მე ვარ და გეუბნები:

— „გამარჯობა, რუთ, როგორა ხარ?“

— „ეს შენა ხარ, ჩემო კეთილო ქმარო?“ — შენ მეტყვი.

— „ჰო!“ — გეუბნები.

მერე შენ ამბობ:

— „სოდა გამითავდა, პური რითღა გამოვაცხო?“

— „ნახე საკუჭნაოში ფქვილის ქვეშ, ნახვამდის“, — გეტყვი მე.

„შენ მიდიხარ საკუჭნაოში და პოულობ ბევრ სოდას. და შენ სულ ფორტ იუკონში ხარ, მე კი — არქტიკ სიტიში. ჰოი, მისნებო!“

ამ მშვენიერ ზღაპარზე რუთს ისე მიამიტად გაეღიმა, რომ მამაკაცები სიცილით მოკვდნენ. ამასობაში ძაღლები წაკინკლავდნენ. გაქრა გარესამყაროს საოცრებანი და, სანამ მოჩხუბართ გააშველებდნენ, ქალმა უკვე მოასწრო მარხილის შეკვრა და ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად.

„გასწი, ქაჩალო, გასწი-მეთქი!“ — მეისონმა მათრახი მოიქნია და, როცა აწკავწავებულმა ძაღლებმა ღეედი მოქაჩეს, იგი სამართავ ლატანს მოეჭიდა და

მარხილი დაძრა. რუთი მეორე მარხილით მიყვებოდა, ხოლო მეილმიუტ კიდი სულ ბოლოს მიდიოდა. ამ ღონიერსა და უხეშ მამაკაცს, ერთი დაკვრით ორმ ხარს წააქცევდა, არ შეეძლო ეცემა საცოდავი ძაღლებისთვის და გულმოდგინ ლედ ეპყრობოდა მათ. ასე კი იშვიათად იქცევა ძაღლების გამრეკი. მათი უბედურების მოწამე მეილმიუტ კიდი ხშირად ლამის ატირებულა.

„აბა, მოუსვით, დაფეხვილებო!"—წაიბურტყუნა მან, როცა რამდენჯერმე ამაოდ სცადა დაეძრა მარხილი. ბოლოს მისმა მოთმინებამ გაიმარჯვა. ტკივილისაგან აღაფრავებული ძაღლები წინწასულებს მიჰყვნენ.

მიწყდა საუბარი. ძნელი გზა ვერ იტანს ამგვარ ფუფუნებას. ყველა სამინელებათაგან ჩრდილოეთში მგზავრობა უსაშინელესია. ბედნიერია ის, ვინც დუმილის საფასურით აიტანს ასეთი მგზავრობის ერთ დღეს, და ისიც გატეხილ გზაზე.

ყველა მძიმე სამუშაოთაგან გზის გაკვლევა უმძიმესია. ყოველ ნაბიჯზე ფართო, წნულთხილამურებიანი ფეხი მუხლამდე ეფლობა თოვლში. შემდეგ ფეხი ფრთხილად უნდა ამოიღო, ვიდრე თხილამურები თოვლისგან გაიწმინდებოდეს. ამოღებისას ფეხი ოდნავადაც რომ გვერდზე დაგირჩეს, უხიფათოდ ვერ გადარჩები. შემდეგ კიდევ ნაბიჯი და უკვე მეორე ფეხი ამოგაქვს დაახლოებით ნახევარი იარდის სიმაღლეზე. ვინც ამას პირველად აკეთებს, თუნდაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ერთი თხილამური მეორეს არ ჩაეხლართოს და მატყუარა თოვლსდანდობილი სიგრძეზე არ გაიშხლართოს, იგი სულ რაღაც ასი იარდის შემდეგ ძალაგამოცლილი დაეცემა. მას, ვინც მოახერხებს მთელი დღის მანძილზე ერთხელაც არ მოჰყვეს ძაღლების ფეხებში, შეუძლია წმინდა სინდისითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით შეძვრეს საძინებელ ტომარაში. ხოლო, ვინც ამ გრძელ გზაზე ოც მილს გაივლის, მისი ღმერთებსაც შეშურდებათ.

დღე იწურებოდა და თეთრი მდუმარებისაგან გაოგნებული მგზავრები უსიტყვოდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. ბუნებას მრავალი საშუალება გააჩნია დაარწმუნოს ადამიანი მის უძლურებაში: მიქცევ-მოქცევის მუდმივი მონაცვლეობა, გრიგალის თარეში. მიწისძვრის საშინელებანი, მეხის გაბმული გრიალი. მაგრამ ყველაზე თავზარდამცემი, ყველაზე შემაძრწუნებელი მაინც თეთრი მდუმარეაა. ყველაფერი გარინდებას მოუცავს, ცა სპილენძის ფერია. ამ დროს დაჩურჩულებაც კი მკრეხელობად გეჩვენება და შეცბუნებულ ადამიანს ხმის გაღებისა ეშინია. მას, ამ მკვდარ სამყაროში ერთადერთ მოძრავ სულიერს, აკრთობს საკუთარი გაბედულება, რადგან კარგად იცის, რომ მისი სიცოცხლე მატლის სიცოცხლეზე მეტი არაა. უცნაური ფიქრები ეუფლება კაცს და ამქვეყნიური იდუმალება გამომჟღავნებას ლამობს. მაშინ ადამიანს ზარავს სიკვდილის შიში, ღვთის მოწიწება. მას მთლად ძრწოლა აიტანს, თუმცა აქვს აღდგომის იმედი, სჯერა შემდგომი ცხოვრებისა და უკვდავებისა, ყოველი არსის ამაოლტოლვა რომაა. და აი ამ დროს ადამიანი მარტო რჩება ღმერთის წინაშე.

მოსაღამოვდა. მდინარე ერთგან მძაფრად უხვევდა და მეისონი, გზა რომ მოეჭრა, ვიწრო გადასასვლელს აყვა: მაგრამ ძაღლებმა ვერ აიღეს სიმაღლე. რუთი და მეილმიუტ კიდი უკან აწვებოდნენ მარხილს. იგი მაინც ცურდებოდა თავდაღმართზე. მერე ყველამ ერთხელ კიდევ შეუტიეს. უბედურმა, შიმშილისგან დაოსებულმა ძაღლებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს, ცოტაც და მარხილი შემაღლებულ ნაპირზე მოექცა. მაგრამ მეწინავე ძაღლმა მარჯვნივ გაიწია და მარხილმა მეისონს თხილამურებზე გადაუარა. შედეგი სავალალო იყო:

მეისონი წაიქცა, ერთ-ერთი ძაღლი ღვედებში გაიხლართა და დაეცა. მარხილი დაცურდა და ძაღლებიც თან ჩაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათრახი წარამარა ტყლაშუნებდა. ყველაზე მეტი ცემა წაქცეულს ეკუთვნოდა.

„გეყოფა, მეისონ!“ — შეევედრა მეილმიუტ კიდი. — „ხომ ხედავ, საწყალს სული ძლივს უდგას. მოიცადე, ჩემები შევაბათ“.

მეისონმა ბოლომდე მოუსმინა, შემდეგ ხელი მძლავრად მოიქნია და გრძელი მათრახი დამნაშავე ძაღლის ტანს შემოეხვია. ის კარმენი იყო. მან საწყალობლად შეჰყეფა, თოვლში მოიკუნტა და მერე გვერდზე გადატრიალდა.

საშინელი წუთი იყო. ძაღლი სულს ღაფავდა. ჩხუბობდა ორი ამხანაგი. რუთი ვედრებით უყურებდა ხან ერთსა და ხან მეორეს. მაგრამ მეილმიუტ კიდმა თავი შეიკავა, თუმცა მისი მზერა აღსავსე იყო საყვედურით. იგი გადმოიხარა და ღვედები გაჭრა. კრინტი არავის დაუძრავს. ძაღლები შეაბეს და აღმართი აიარეს. მარხილები კვლავ გზას დაადგნენ. მომაკვდავი კარმენი სულ უკან ძლივსღა მოათრევდა ფეხებს. სანამ ძაღლს სიარული შეუძლია, თოფს არ ესვრიან. მას კიდევ ერთი სასიცოცხლო უნარი რჩება, როგორმე სადგომამდე მიაღწიოს. აქ კი, შესაძლოა, ვინმემ ირემი მოკლას.

მეისონი უკვე ნანობდა თავის საქციელს. მაგრამ სიჯიუტე ნებას არ აძლევდა ეღიარებინა ყოველივე ეს. იგი წინ მიდიოდა, ვერ გრძნობდა მოახლოებულ განსაცდელს. ისინი ხშირი ტყით დაფარულ დაბლობზე მიემართებოდნენ. გზის გადალმა, ორმოცდაათიოდე ფუტის დაშორებით, უშველებელი ფიჭვის ხე ჩანდა. ათეული წლების მანძილზე მდგარა იგი აქ, ათეული წლების მანძილზე ბედი ამგვარ ბოლოს უქადდა მას და, ვინ იცის, იქნებ მეისონსაც...

იგი შეჩერდა, თავისი მოკასინების თასმები რომ მოეჭირებინა. მარხილები შედგნენ. ძაღლები ხმაგაუღებლივ ჩაწვნენ თოვლში. საბედისწერო სიჩუმე იდგა. არც ერთი ჩქამი არ აშფოთებდა გათოშილ ტყეს. სიცივესა და მდუმარებას გაეყინა ბუნების გული და მთრთოლვარე ბაგენი. უცებ ჰაერში შრიალი გაისმა. მათ ეს არ გაუგონიათ, უფრო სწორად იგრძნეს, როგორც მოძრაობის წინასწარი ნიშანი ამ უძრავ სამყაროში. და მერე უზარმაზარმა ხემ, წლებითა და თოვლით დამძიმებულმა თავისი უკანასკნელი როლი ითამაშა ცხოვრების ტრაგედიაში. მეისონს მოესმა გამაფრთხილებელი ტკაცანი და წელში გაიმართა, მაგრამ გვერდზე გახტომა ვეღარ მოასწრო. ხე დაეცა და ქვეშ მოიყოლა.

მოულოდნელი ხიფათი, უეცარი სიკვდილი — მეილმიუტ კიდი ხშირად მდგარა მის პირდაპირ. ფიჭვის რტოები ჯერ კიდევ ირხეოდნენ, როცა მან განკარგულება მისცა ქალს და თვითონაც საქმეს შეუდგა. ინდიელ ქალს გული არ შეჰღონებია, არც ამაო მოთქმა-გოდებას მოჰყოლია, როგორც მსგავს შემთხვევაში ბევრი „თეთრი და“ მოიქცეოდა. მეილმიუტ კიდის ბრძანებისამებრ იგი მთელი სხეულით დააწვა ბერკეტის ბოლოს, რათა ხის სიმძიმე შეესუსტებინა და ყურს უგდებდა ქმრის კვნესას. მეილმიუტ კიდი კი ცულით სჩეხდა ხეს. ფოლადს ჟღრიალი გაქონდა, როცა გაყინულ ხეზე ეცემოდა. ყოველ დარტყმას ქვეშმოყოლილის სუსტი, ძლივსგასაგონი ოხვრა მოჰყვებოდა.

ბოლოს კიდმა თოვლზე დადო ის დასახიჩრებული სხეული, რაც ოდესღაც ადამიანი იყო. მაგრამ მისი ამხანაგის ტანჯვაზე უფრო საშინელი იყო ქალის სახეზე გამოხატული უთქმელი ტკივილი და მისი მზერა, სასოებითა და უიმედობით სავსე. ბევრი არ ულაპარაკიათ. ჩრდილოეთის მკვიდრნი ადრე სწავლობენ სიტყვების ამაოებასა და მოქმედების ფასს. სამოცდახუთი გრადუსი ყინვის დროს შეუძლებელია ადამიანი დიდხანს იწვეს თოვლზე. მარხილებს ღვედები მოაჭრეს, დასახიჩრებული ტყავებში გახვიეს და ქვეშ რტოები

დაუგეს. უბედურების მომტანი ხე დაჩეხეს და იქვე ცეცხლი დაანთეს. ცეცხლს უკან და ზემოდან ტილოს ნაჭერი გადასჭიმეს, რომ მეისონს სითბო არ მოკლებოდა — ხერხი, რომელიც ცნობილია მისთვის, ვინც ფიზიკას ბუნებიერ-ისტორიაზე სწავლობს.

ვისაც სარეცელი სიკვდილთან გაუყვია, მის ძახილსაც გაიგებს. მეისონი საშინლად იყო დაშავებული. ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა. მარჯვენა ხელი, თეძო და ხერხემალი დამსხვრეული ჰქონდა, ფეხები გაშეშებოდა, ალბათ, შინაგანი ორგანოებიც დაზიანებული იყო. მხოლოდ იშვიათი დაკვნესება მოწმობდა, რომ მას ჯერ კიდევ სული ედგა.

აღარავითარი იმედი, ყველაფერი ამაო იყო. ტაატით დგებოდა უმოწყალო ღამე. რუთი მისი მოდგმის დამახასიათებელი სასოწარკვეთილი სტოიციზმით შეხვდა მას. მეილმიუტ კიდს ბრინჯაოსფერ სახეზე ნოჭები მოემატა. კაცმა რომ თქვას, მეისონი ყველაზე ნაკლებ იტანჯებოდა. იგი ახლა ბურანში იყო, აღმოსავლეთ ტენესში, დიდ დანისლულ მთებში და ხელახლა განიცდიდა ბავშვობას. და უფრო ამაღლებულად ჟღერდა სამხრული კილოს ძველი მელოდია, როცა ის ბოდავდა ტბებზე, ენოტზე ნადირობასა და საზამთროების მოპარვაზე. რუთს მისი არ ესმოდა. მაგრამ მეილმიუტ კიდი ყველაფერს ხვდებოდა და გრძნობდა, როგორც შეიძლება გრძნობდეს წლების მანძილზე ცივილიზაციას მოწყვეტილი ადამიანი.

დილით მეისონი გრძნობაზე მოვიდა. მისი ჩურჩული რომ გაეგონა, კიდმა ყური ახლოს მიიტანა.

„გახსოვს ჩვენი შეხვედრა ტანანაზე? ამ ყინულთძვრისას ოთხი წელი იქნება, ხომ? მაშინ მე რუთი აგრე არ მიმაჩნდა. უბრალოდ, იგი ლამაზი იყო და გამიტაცა. შემდეგ კი ძალზე შევეთვისე. კარგ ცოლობას მიწევდა. გაჭირვებაში მუდამ მხარში მედგა. აბა, ჩვენს საქმეს რაც შეეხება, თვითონ იცი, მასზე უკეთესს ვერსად ნახავ. გახსოვს, ირმის რქის ჭორომები რომ გადასცურა ტყვიის სეტყვაში და მე და შენ კლდიდან ჩამოგვიყვანა? მერე შიმშილობა ნუკლუკაიტოში? ანდა ყინულზე რომ გამორბოდა, როცა ახალი ამბავი მოჰქონდა? დიახ, რუთი კარგი ცოლი იყო ჩემთვის, უკეთესი, ვიდრე ის, პირველი. განა არ იცოდი, ცოლიანი რომ ვიყავი? შენთვის ეს არასოდეს მითქვამს? ჰო, დავქორწინდი როგორღაც იქ, შტატებში. ჩემი აქ მოსვლის მიზეზიც ესაა. ჩვენ ხომ ერთად გავიზარდეთ. წამოვედი, მისთვის განქორწინების საბაბი რომ მიმეცა. მასაც საბაბი მიეცა.

მაგრამ რუთთან ვერაფერი გავაწყვე. იგი სულ სხვაა. ეფიქრობდი, ცოტაც კიდევ და აქაურობას გავეცლებით-მეთქი მე და ის. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა. კიდ, ნუ გაუშვებ რუთს მისიანებთან. გაუჭირდება იქ ყოფნა ქალს. აბა, შენ თვითონ იფიქრე, თითქმის ორი წელი ჭამო ჩვენი შაშხი, ცერცვი, პური, ხმელი ხილი, შემდეგ კი კვლავ თევზი და ირმის ხორცი. გამოსცადო ჩვენი უფრო იოლი ცხოვრება და მერე ძველს დაუბრუნდე. მოუარე რუთს, კიდ... იქნებ შენ თვითონ... მაგრამ არა, შენ მუდამ გაურბოდი ქალებს... შენ ხომ ჩემთვის არასოდეს გითქვამს რამ მოგიყვანა ამ ქვეყანაში. გაუფრთხილდი მას, კიდ, და რაც შეიძლება მალე გაგზავნე შტატებში. მაგრამ თუ სამშობლოზე იდარდოს, მაშინ უკან დააბრუნე, კიდ.

ბავშვი... მან უფრო დაგეაახლოვა, კიდ. ნამდვილად ბიჭი უნდა დარჩეს. აბა, შენ თვითონ თქვი, ჩემი სისხლი და ხორცია, კიდ. მისი ამ ქვეყანაში დარჩენა შეუძლებელია. და თუ გოგო იქნეს, თუმცა არა... ის არ იქნება გოგოგაყიდე ჩემი ტყავები, ხუთი ათასს მაინც აიღებ. ამდენივე კომპანიას მართებს

ჩემი. შენს საქმეებთან ერთად ჩემიც გახსოვდეს. მე მგონია, ჩვენი განაცხადი იმედს გაამართლებს. ბიჭს კარგი განათლება მიეცი... და კიდევ, კიდ, მთავარია. ნუ მისცემ აქ დაბრუნების ნებას. ეს ქვეყანა თეთრი ადამიანისათვის არ არის შექმნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი საქმე წასულია, კიდ. დიდი-დიდი სამი ან ოთხი დღე ვიცოცხლო. თქვენ უნდა გაემგზავროთ, უნდა წახვიდეთ. გახსოვდეს, იგი ცოლია ჩემი, ბიჭიც ჩემია... ო, ღმერთო! ოღონდ ბიჭი იქნებოდეს! ნუ დარჩებით ჩემთან... გამიგონე განწირულს, დამტოვეთ!"

„მომეცი სამი დღის ვადა!"—შეევედრა მეილმიუტ კიდი.—იქნებ მოიკეთო, ვინ იცის, რა მოხდება".

„არა!"

„მხოლოდ სამი დღე!"

„დამტოვეთ!"

„ორი დღე!"

„ის ჩემი ცოლ-შვილია, კიდ. ნუ მეხვეწები".

„ერთადერთი დღე!"

„არა, არა! დამტოვეთ!"

„მხოლოდ ერთი დღე! საჭმელზე როგორმე იოლად გავალთ, ანდა იქნებ ირემი მოვკლა".

„არა! მაშ კარგი, მხოლოდ ერთი დღე და არც ერთი წუთი მეტი. ჰო, კიდევ ის მინდოდა მეთქვა, კიდ, ნუ დამტოვებ-მეთქი მომაკვდავს მარტო. მხოლოდ ერთი გასროლა, სასხლეტის ერთი გამოწევა და... გამიგე? გახსოვდეს ეს, გახსოვდეს. იგი ჩემი სისხლი და ხორცია და, მე მას ვერასოდეს ვიხილავ....

რუთს დაუძახე, კიდ. მინდა გამოვეთხოვო და ვუთხრა: გახსოვდეს-მეთქი ბიჭი, ნუ დაელოდები-მეთქი ჩემს სიკვდილს. ჰო, ვეტყვი, თორემ იქნებ იუაროს შენთან წამოსვლა. მშვიდობით მეგობარო, მშვიდობით, მოიცა, კიდ..."

იგი უფრო დაიხარა, მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები რომ გაერჩია, სიტყვები, დათრგუნული სიამაყის აღსარება რომ იყო.

„მომიტევე... შენ იცი რისთვის... კარმენისათვის".

მეილმიუტ კიდმა მტირალი ქალი ქმართან დატოვა, ქუჩაში ჩაიცვა, თხილამურები გაიკეთა, თოფს ხელი წამოავლო და თავი ტყეს მისცა. იგი არ იყო გამოუცდელი მკაცრ ჩრდილოეთთან ბრძოლაში, მაგრამ ასეთი პრობლემის წინაშე არასოდეს მდგარა. კაცმა რომ თქვას, ეს სულ უბრალო მათემატიკური ამოცანა იყო — სამი სიცოცხლე ერთის, განწირულის წილ. მაგრამ კიდი მაინც ყოყმანობდა. ხუთი წლის მეგობრობა აკავშირებდათ მათ. მხარში ედგნენ ერთმანეთს წყალზე თუ ხმელეთზე, სადგომში თუ ოქროს საბადოებზე. ერთად ხვდებოდნენ სიკვდილს შიმშილობისა თუ წყალდიდობისას. ეს კავშირი ისე მჭიდრო იყო, რომ პირველი დღიდანვე, რაც რუთი მათ შორის ჩადგა, იგი მტკივნეულად განიცდიდა მეტოქის გამოჩენას. და ახლა ეს კავშირი საკუთარი ხელით უნდა მოესპო.

კიდი ლოცულობდა, სადმე ერთი ირემი მაინც გამოჩნდესო, მაგრამ ნადირის ჭაჭანება არსად იყო. ღამდებოდა, როცა ხელცარიელი და გულდამძი-

მებული უკან დაბრუნდა. ძაღლების გნიასი და რუთის ყვირილი რომ მოესმა, ფეხს აუჩქარა.

როცა სადგომს მიაღწია, შემდეგი სურათი დაინახა: რუთი ცულით [illegible] ებდა გარსმოხვეულ ძაღლებს. მათ დაარღვიეს თავიანთი ბატონების რკინის კა ნონი და სურსათ-სანოვაგეს მიეტანნენ.

კიდმა თოფის კონდახი მოიშველია და კვლავ გათამაშდა ბუნებრივი შერ ჩევის უძველესი ტრაგედია თავისი პირველყოფილი უმოწყალობით. თოფი და ცული გამოზომილად ადი-ჩამოდიოდნენ და მიზანს იშვიათად ცდებოდნენ. ძაღლების მოღვენთილი სხეულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თვალებს ველუ რი გაშმაგებით ატრიალებდნენ, პირიდან დორბლი სდიოდათ. კაცი და მხეცი თავგამეტებით იბრძოდნენ ბატონობისათვის. მერე ნაცემი ძაღლები ცეცხლს მოეცალნენ. ჭრილობები გაილოკეს და საწყალობლად შეყმუვლეს ვარსკვლა ვებს.

ხმელი თევზის მარაგი თითქმის განადგურებული იყო. რჩებოდა მხოლოდ ხუთი გირვანქა ფქვილი, წინ კი ორასი მილი გზა იდო. რუთი ქმართან დაბ რუნდა, ხოლო მეილმიუტ კიდმა ერთი-ერთი ძაღლის ჯერ კიდევ თბილი ტანი აჰკაფა, რომელსაც თავი ცულით ჰქონდა გაჩეხილი. ნაჭრები გულმოდგინედ დამალა. ტყავი და შიგნეულობა კი მოკლულის ამხანაგებს უწილადა.

დილით ამას ახალი უბედურება დაერთო. ძაღლები ერთი-მეორეს წაე კიდნენ. მერე მთელი ხროვა კარმენს დაეძგერა, რომელიც კიდევ ებღაუჭებო და სიცოცხლეს. მათრახის ცემამ ვერაფერი უშველა. ძაღლები ღმუოდნენ, იზ ნიქებოდნენ და მანამდე არ დაშლილან, სანამ საბრალო მთლად არ შესანსლეს. ძვლის, ტყავისა და ბეწვის ნასახიც აღარ დარჩენილა.

მეილმიუტ კიდი მუშაობას შეუდგა. თანაც მეისონს უსმენდა, რომელიც ბურანში ისევ ტენესში იყო და გამუდმებით ეკამათებოდა ვიღაცეებს.

ფიჭვები ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ამან კიდს შრომა გაუადვილა. ეს მონადირეების ძველი ხერხი იყო. ისინი ხორცს ასე ინახავენ, რომ ნადირი ვერ შეწვდეს. ორი ახალგაზრდა ფიჭვის წვერი ძირამდე გადმოღუნა და ღვედებით შეკრა. შემდეგ მათრახი მოიშველია და ძაღლები მარხილებში შეა ბა. რაც კი ებადა, ყველაფერი ზედ დაუდო, გარდა იმ ტყავებისა, რომლებიც მეისონს ეხურა. კიდმა მას ღვედები შემოახვია და მათი ბოლოები ფიჭვებს წვეროებზე მიამაგრა. სანადირო დანის ერთი მოქნევაღა კმაროდა — ფიჭვები გაიმართებოდნენ და სხეულს ჰაერში აიტანდნენ.

რუთმა უდრტვინველად მოისმინა ქმრის უკანასკნელი სურვილი. საბრა ლო ქალი! იგი ხომ ჩვეული იყო მორჩილებას. ბავშვობიდანვე სიტყვის შეუბ რუნებლად თაყვანს სცემდა მამაკაცს — ყველა ქმნილებათა ბატონს, რომელ საც არ შეიძლება წინ აღუდგე. კიდმა ხელი არ შეუშალა მწუხარების უკანას კნელ აფეთქებას, როცა ქალმა აკოცა ქმარს — მისმა მოდგმამ არ იცის ეს ჩვეულება — მერე რუთი წინა მარხილთან მიიყვანა და თხილამურების გაკე თებაში მიეშველა. გაოგნებული ქალი აზრმიუცემლად მიწვდა სამართავ ლა ტანს. შემდეგ მათრახი მოიქნია და ძაღლები გარეკა.

კიდი მეისონთან დაბრუნდა. იგი აგონიაში იყო. რუთი დიდიხანია თვალს მიეფარა. კიდი კი ისევ ცეცხლთან იჯდა და ღმერთს ევედრებოდა: ნუღარ აწ ვალებ ჩემს მეგობარს, ბარემ გაათავეო.

ძნელია თეთრ მდუმარებაში მწუხარე ფიქრებთან პირისპირ დარჩენა. წყვდიადის სიჩუმე ლმობიერია. იგი თითქოს იფარავს კაცს და გულმოწყალედ ეფაცევა მას. მაგრამ ულმობელია თეთრი მდუმარება, ცივი და კაშკაშა.

გავიდა ერთი საათი, ორი საათი — მეისონს სული კიდევ ედგა. შუადღი სას მზემ ზეცა მეწამულად შეაფერადა, მაგრამ ჩქარა ჩაქრა. მეილმიუტ კიდი წამოდგა და მეისონთან მილასლასდა. მიმოიხედა. მოეჩვენა, თითქოს თეთრი მდუმარება ქრიქილებსო და შიშმა მოიცვა. გაისმა გასროლის ხმა. მეისონი ავი და ზევით თავის ზეციურ აკლდამაში. ხოლო მეილმიუტ კიდმა მარხილი დაძრა და ძაღლები თოვლიან უდაბნოზე მიუშვა.

ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი მაჭუტაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომენგი კილაძე

დედაშვილური ურთიერთობის საკითხისათვის გორკის შემოქმედებაში

„ვადიდოთ ქალი-დედა, რომლის სიყვარულს
არა აქვს საზღვარი, რომლის მკერდით
გამოზრდილია მთელი ქვეყანა...“

მ. გორკი.

დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედებაში, სხვა მრავალ დიდმნიშვნელოვან პრობლემასთან ერთად, თვალსაჩინო ადგილი უკავია დედაშვილური ურთიერთობის საკითხს. გორკიმ მას მიუძღვნა არა ერთი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებშიც მოგვცა დედის — მშობლისა და აღმზრდელის უკვდავი მხატვრული სახეები, ცხადყო, რომ შვილისათვის დედის ზრუნვამ და სიყვარულმა ნამდვილი განხორციელება უნდა პოვოს მის აღზრდაში მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით, სპეტაკი ზნეობრივი თვისებებით, სამშობლოსა და ხალხის უსაზღვრო ერთგულებით. იმისათვის კი, რომ დედამ საჭირო მიმართულება მისცეს შვილის გულსა და გონებას, თვითონ დედა აღფურვილი უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი თვისებებით, ესმოდეს ყოველგვარი ადამიანური ინტერესები.

და როდესაც დედა ნამდვილი დედაა, მაშინ მის სიყვარულზე ძლიერი არა არის რა, მაშინ დედობრივი სიყვარულის წინაშე მარცხდება სიკვდილიც კი. აკი მან დაამარცხა „დედამიწის სისხლიანი შოლტი“, სიკვდილის მთესველი თემურ-ლენგი („ზღაპარი დედაზე“).

კალიგულას მდელოზე თემურ-ლენგს, რომლის ფეხქვეშ მიწაც კი გმინავდა, აუთრთოლებლად გაუწოდა გაშავებული ხელი თმაგაწეწილმა ქალმა და ბრძანებით მიმართა: „რისი მოქმედიც არ უნდა იყო... შენ მაინც მხოლოდ ადამიანი ხარ; მე კი **დედა** ვარ (ხაზგასმა ჩემია — **დ. კ.**). შენ სიკვდილს ემსახურები, მე— სიცოცხლეს. შენ დამნაშავე ხარ ჩემს წინაშე. აი მოვედი, რომ მოგთხოვო გამოისყიდო შენი დანაშაული... რომ სამართლიანად მომექცე, იმიტომ, რომ მე ვარ დედა... აგერ ოთხი წელიწადია დავეხეტები ასე და ჩემს შვილს ვეძებ... ახლა ჩემი ბიჭი აქ, შენთან, არის. ეს კარგად ვიცი... შენ უნდა დამიბრუნო ჩემი შვილი... ადამიანები ყოველთვის თავიანთი დედების ბავშვები არიან... შენც... მოხუცო, ქალმა გშობა. შენ შეგიძლია უარყო ღმერთი, მაგრამ დედას კი ვერ უარყოფ“.

განრისხებული დედის ამ სიტყვებში დიდი და ღრმა აზრია. მათში მოჩანს თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ულევი ენერგია და პიროვნების სისხლიანი დიქტატურის ზიზღი. ამდენად, დედის სიყვარული შვილისადმი იძენს დიდ საზოგადოებრივ ძალას, რომლის წინაშე იძულებულია უკან დაიხიოს თვით თემურ-ლენგმა. მან გაიგო უბრალო ქალის, მაგრამ დედის სიმართლით სავსე სიტყვების ფარული ძალა და დედის სიყვარულით დათრგუნვილმა ბრძანა ეპოვნათ მისი შვილი, ხოლო თვითონ თაყვანი სცა დედას.

„დედაზე დაუსრულებლად შეიძლება ამბების თხრობა“, — წერს მაქსიმ გორკი. და მარ-

თლაც, ცხოვრება ათასგვარ განსაცდელსა და გამოცდას უმზადებს დედას და იგი ვალდებულია ყოველთვის, რა უბედურებაშიც არ უნდა ჩავარდეს, იდგეს მოწოდების სიმაღლეზე, არ შეარცხვინოს დედის მაღალი სახელი. განა შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს იმაზე დიდი უბედურება, იმაზე დიდი განსაცდელი, რომლის წინაშეც აღმოჩნდა გორკის „დედის“ (ციკლიდან „ზღაპარი დედაზე“) ერთ-ერთი პერსონაჟი მარიანა? თანამოქალაქენი მას ხორცშესხმულ უბედურებას ეძახდნენ, რადგან მისი შვილი უსასტიკესი ულმობლობით ანგრევდა მშობლიურ ქალაქს, სადაც თვითონ მარიანაც იმყოფებოდა.

ასე წამოიჭრა მარიანას წინაშე შემზარავი პრობლემა — შვილი თუ სამშობლო? და იგი, როგორც ქალი და მოქალაქე, ერთდროულად ფიქრობდა შვილზეც და სამშობლოზეც, ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა, რომელი აერჩია, ვისთვის მიეცა უპირატესობა.

გორკი დიდი რეალისტი იყო და არ წამდა ცვლილება და განვითარება შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე. დედაშვილური ურთიერთობაც, დედაშვილური კავშირიც გორკის შემოქმედებაში გააზრებულია არა როგორც დედაშვილის მარტივი ურთიერთობა, არამედ როგორც რთული, წინააღმდეგობრივი ურთიერთობა.

აი რატომ არის, რომ მარიანა მწვავედ განიცდის მის წინაშე მოულოდნელად წამოჭრილ პრობლემას. განა დედა, რომელიც ჯერ კიდევ შვილის დაბადებამდე ოცნებობდა მასზე, როგორც თავისი სპეტაკი სულის ულამაზეს ზრახვაზე, როგორც სამშობლოსადმი მიძღვნილ ძვირფას საჩუქარსა და ქალაქის მკვიდრთა შემამკობელ ვაჟკაცზე, იოლად ამოიკვეთდა მის სიყვარულს ერთგული მკერდიდან? განა შეძლებდა იგი დიდი წინააღმდეგობის გადაულახავად, ადვილად ამოეგლიჯა შვილის სიყვარული თავისი ჯანსაღი სულიდან? ვერა, ვერ შეძლებდა.

დედის გული ტიროდა, ამბობს გორკი, „იგი სასწორს ჰგავდა, მაგრამ როცა სწონიდა შვილისა თუ ქალაქის სიყვარულს, ვერ გაეგო — რომელი უფრო მსუბუქი იყო, რომელი უფრო მძიმე“.

მართალია, ამ შემთხვევაში სასწორი გულია, მაგრამ განა მარტო მის ხმას უნდა მივსდიოთ? თუ მარტო გულმა, გრძნობამ გადაწყვიტა ეს საკითხი, მაშინ სასწორი შვილისაკენ გადაიხრება, დედა შვილს აირჩევს. მაგრამ დედა ხომ უფრო მეტად სულით უკავშირდება შვილს? მაშასადამე, საით უნდა გადაიხაროს სასწორი— შვილისა თუ სამშობლოსაკენ—ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს არა გულმა, არამედ გონებამ. და თუ ეს შეძლო, დედის სული აღმოჩნდება დედისავე სისპეტაკის სიმაღლეზე და სასწორი გადაიხრება სამშობლოსაკენ, მისი არჩევანი იქნება სამშობლო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი არჩევანი იოლი როდია, იგი დაკავშირებულია გარკვეულ აღმდეგობათა დაძლევასთან, რაც მოითხოვს დიდ სულიერ ძალასა და მტკიცე ნებისყოფას. ამას მაქსიმ გორკი თვალნათლივ გვიჩვენებს მარიანას მაგალითზე. მწერალი ცხადყოფს, რომ დედა იმ შემთხვევაშიც შეიძლება უკვდავი დარჩეს, როცა შვილი დედასაც ღალატობს და სამშობლოსაც.

ვიდრე საბოლოოდ გადაწყვეტდეს მის წინაშე წამოჭრილ პრობლემას, მარიანა განიზრახავს პირადად ინახულოს შვილი. ქალაქის მცხოვრებლებმა მას ალაყაფის კარები გაუღეს და ნება დართეს შეხვედროდა შვილს, რომელმაც ამდენი ვნება მიაყენა ალყაშემორტყმულ ქალაქს. დედამ ცოცხლად მიუტანა შვილს იავნანას სიტკბო და ბავშვობისას დასწავლილი სიმღერების საამო ხსოვნა, ამასთან დაუხატა ცეცხლის ალში გახვეული ქალაქის მცხოვრებთა გოდების, მათი ყოფის შემზარავი სურათი. ამით დედას სურდა გამოეფხიზლებინა შვილი, გაეფანტა მისი ველური ზრახვები და გადაერჩინა მშობლიური ქალაქი, მაგრამ ყველაფერი ეს ამაო გამოდგა.

ქალაქი „...ხელს მიწლის ისე სწრაფად წავიდე დიდებისაკენ, როგორც ეს მე მინდაო“, — უპასუხებს შვილი, მაგრამ დედის მისვლა მას მაინც ბედნიერებად მიაჩნია. იგი ხელს უკოცნიდა და აქებდა დედას, მიიკლაკნებოდა მისი სულის დასაპყრობად. შვილს უნდოდა მიტაცებული უფლების მაცდური ბრწყინვალებით გაებრუებინა დედა და ქალაქის მალე დანგრევით გაეხარებინა იგი, მაგრამ დედა კარგად არჩევს სახიფათო ზიგზაგებს. იგი ფხიზლად და ფრთხილად მოქმედებს და საოცარ გონებამახვილობას იჩენს. უთვისტომოდ ქცეული შვილი კი, რომელიც ვერ გაერკვა სამშობლოსადმი დედის სიყვარულის ძალაში, მის ბრძნულ საქციელში და რომელსაც ეგონა, რომ იოლად მიიმხრო დედა, აშკარად ალაპარაკდა მსოფლიო დიდებაზე: „მე დავიბადე მსოფლიოში და მსოფლიოსათვის, რომ გავაოცო იგი საკვირველებითო“.

ამრიგად, მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდება. მარიანას ტრაგედია ღრმავდება, მაგრამ იგი კვლავ დიდი სიმშვიდით უმტკიცებს შვილს, რომ გმირი ის კი არ არის, ვინც ანგრევს, ვინც სიკვდილის ცელს იქნევს, არამედ ის, „ვინც ქმნის სიცოცხლეს **სიკვდილის** დასათრგუნად, ვინც ამარცხებს **სიკვდილს**“ (ხაზგასმა ჩემია — **დ. კ.**). მაგრამ შვილის ოცნებაში დედისა და სამშობლოს სიყვარულის სითბო და სინათლე მთლად გადაებუგა განდიდების ცივ ელვარებას. ხვალ იგი ქალაქს მთლიანად გაანადგურებდა...

დედამ ახლა საკუთარ სულში ჩაიხედა **და** მწარედ ამოიოხრა...

სწორედ ასეთი ტრაგიკული ოხვრის შესახებ თქვა ალ. ყაზბეგმა: „...ეს ოხვრა... არ იყო... წუხილი... ერთის პირისა თავის დაკლებულზედ, —აქ გამოითქმოდა საერთო ვაება, საერთო წუხილი, საერთო ტანჯვა: აქა სცემდა საერთო ძარღვი, და ერთ გმინვაში გამოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელის ხალხისა“.[1]

აი ამ მთელი ხალხის სახელით, ამ ხალხის გულისათვის მარიანამ სამშობლოს მტარვალად ქცეულ შვილს „გულში დასცა დანა... ქალმა ხომ კარგად იცოდა სად ფეთქავდა შვილის გული“. შემდეგ მის გვამსაც შესაფერისი ადგილი მოუძებნა — ქალაქის მეალყეთა ფეხებთან დააგდო.

ამიერიდან მარიანა ქალაქის მკვიდრთა განმათავისუფლებელია, მათი ღვიძლი დედაა. თავისი უღირსი შვილის მოსპობით მან ცხადყო თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის უმაღლესი სიყვარული. ხალხში შეიცნო მარიანამ საკუთარი თავი, მის გმირულ წარსულს, აწმყოსა და ბედნიერ მომავალს შეუერთა მთელი თავისი სიცოცხლე. ამ ხალხში, მისი ბრძნული და სამართლიანი განაჩენის ჭეშმარიტ ერთგულებაში პოვა მარიანამ წყარო იმ ძალისა, რომლითაც იგი მაღლა დადგა თავის შემაძრწუნებელ ბედზე და დაამარცხა არა თუ სიკვდილი, არამედ სიკვდილზე უარესი საშინელება — დედისა და სამშობლოსადმი შვილის ღალატი.

ასეთი დედის სიკვდილიც კი უკვდავებას შობს და მის ამაგს დიდ პატივს დასდებს ყველა საუკუნე, ერი და ქვეყანა.

ტყუილად როდი უთქვამს ბარათაშვილს:

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო!

ასეთია გორკის ეს მოთხრობა, რომელიც, მართალია, ლეგენდაზეა აგებული, მაგრამ ლეგენდა ამ შემთხვევაში მწერალს დაეხმარა გამოეკვეთა ქალი-დედის დაუვიწყარი მხატვრული სახე.

კიდევ უფრო მრავალმხრივი და მიმზიდველია ქალი-დედის მხატვრული სახე მაქსიმ გორკის უკვდავ რომანში „დედა“, სადაც დედა-შვილური ურთიერთობის საკითხი მწერალმა გაშუქა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის თვალსაზრისით.

გარდა უბრალო დედა-შვილობისა, პელაგიასა და პავლეს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ბედი, სულიერ თვისებათა ერთობა, სოციალისტური აზრების ჭეშმარიტი ერთგულება, თვითმყრობელობის ღრმა სიძულვილი და ხალხის თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლა. ყოველივე ეს პელაგიასა და პავლეს დედაშვილურ სიყვარულს ხდის მიზანმსწრაფს, კიდევ უფრო მიმზიდველს. თავისი შინაარსით, სილამაზით და მნიშვნელობით იგი დედაშვილური ურთიერთობის ყველაზე მაღალი და სრულყოფილი სახეა.

პავლე ვლასოვი, ისევე, როგორც [illegible], თვლიდა, რომ ქალი ოჯახში მამაკაცს ეკუთვნოდა და მამის გარდაცვალების შემდეგ მოინდომა პელაგია ისევე დაეჩაგრა, როგორც ქმარი ჩაგრავდა მას. ეს იმიტომ, რომ, მართალია, იგი დედა იყო, მაგრამ მაინც ქალი.

ერთ „...კვირა დღეს, — გადმოგვცემს მაქსიმ გორკი, — პავლე ვლასოვი სახლში ძალზე მთვრალი დაბრუნდა... მამასავით მაგრად დაჭკრა მუშტი მაგიდას და დედას დაუყვირა:

— ვახშამი!“

— „თამბაქოსაც მოვწევ! მამიჩემის ჩიბუხი მომეცი...

— ყველანი სვამენ“...

აი რა უყო დედას მისმა ერთადერთმა ნუგეშმა.

ამ საშინელ წუთებში პელაგიას წინაშე წამოიჭრა კითხვა: როგორ უნდა განეკურნა შვილი რაღაც გაურკვეველი ავადმყოფური გაღიზიანებისაგან, როგორ უნდა გადაერჩინა იგი ალკოჰოლით გატაცებისაგან? თავისი სპეტაკი სულის მთელ ძალას მიმართა პელაგიამ, რათა დახმარებოდა შვილს და მისმა ტაქტიანმა საქციელმა, მისმა სევდიანმა თვალებმა და უნაზესმა მშობლიურმა ალერსმა შეაღწია პავლეს არსებაში, შეძრა და გამოაცოცხლა იგი, გამოიწვია მასში პატივისცემის გრძნობა და დაძლია მისი ურჩობაც. ერთი შეხედვით ეს პატარა ცვლილება იყო შვილზე მშობლიური ზრუნვისა და ზემოქმედების დიდი წარმატება და უდიდესი გარდატეხის დასაწყისი პავლეს ცხოვრებაში.

მალე პელაგიამ შეამჩნია, რომ მის ოჯახში ცხოვრება წინანდელზე უფრო მშვიდად მიმდინარეობდა. მისდამი დამოკიდებულებაში თავი იჩინა სიახლემ. პავლე დედას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში, ეალერსებოდა, „თქვენობით“ მიმართავდა, მაგრამ ამ სიახლეს ახალი განსაცდელი უახლოვდებოდა...

პავლეს გატაცებამ წიგნებითა და უცხო ამხანაგებით, მისმა გაუგებარმა სიტყვებმა, რომლებიც ზოგჯერ წამოცდებოდა, დედა ძალზე დააფიქრა და შეაშფოთა კიდევაც. „დედის გულმა იგრძნო, რომ შვილმა სამუდამოდ გასწირა თავი რაღაც საიდუმლო და საშინელი საქმისათვის“.

დედის გულისათვის ასეთი წინათგრძნობა არ იყო უადგილო და პავლე დაეხმარა მრავალჭირნახულ დედას გაეგო დიადი სიმართლე, გაეფანტა შიში მომავლის წინაშე და თავისი ბედი დაეკავშირებინა მთელი ხალხის ბედთან. პელაგიამ გაიგო, რომ მის ოჯახში ახლად ფეხადგმული სიმშვიდე და სასურველი ცვლილება მისდამი დამოკიდებულებაში დაკავშირებული იყო ყველა ქოხის მშვიდობისა და ყველა დედის ბედნიერებისათვის მშრომელთა თავ-

1 ალ. ყაზბეგი, „ელისო“.

განწირულ ბრძოლასთან. ასე დაუკავშირდა დედაშვილური ურთიერთობა დიდი საზოგადოებრივი მასშტაბის მოვლენებს, საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებსა და სამყაროს გარდამქმნელ ახალ იდეებს. ამასთან ერთად მისი ოჯახიდან გაქრა ოჯახური კარჩაკეტილობის ავთვისებიანი ეგოიზმი.

„დედა ხედავდა ამას და უნებურად გრძნობდა, რომ ქვეყანაზე ჭეშმარიტად დიბადა რაღაც დიადი და წათელი, მისთვის ხილული, ციური მზის მსგავსი“.

მართალია, პელაგიას ჯერ კიდევ არ შეუძლია გონებით განჭვრიტოს მომავალი, მაგრამ გული აუწყებს, რომ ერთაღერთი სწორი გზაა მომავლის მტკიცედ არჩევა და მისი მოპოვებისათვის ვმირული ბრძოლა, რა მძიმე მსხვერპლის ფასადაც არ უნდა ღირდეს ეს.

და როცა პავლე დაეპატიმრეს, დედა-შკილი საპყრობილემაც კი ვერ გათიშა ერთმანეთისაგან. პელაგიამ, რომელიც უკვე მონაწილეობდა არალეგალურ მუშაობაში, განაგრძო პავლეს საქმე. იგი ფრთხილად და მოხერხებულად ავრცელებდა მუშებში ახალ წიგნებს, აკრძალულ ლიტერატურასა და საიდუმლო ფურცლებს, რომელთა სახელის ხსენებისაც კი ეშინოდა ცოტახნის წინათ.

პავლეს ამხანაგები დიდად გაახარა პელაგიაში მომხდარმა ცვლილებებმა, ისინი გაამხნევა თავისუფალი სიტყვისა და დედის გულის ერთმანეთთან შეერთებამ და სამუდამოდ დაკავშირებამ. და მათ, საკუთარ ძალებში, სწორ ორიენტაციაში და თავიანთი საქმის გარდუვალ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ახალგაზრდებმა, დაუხატეს პელაგიას მომავალი ცხოვრების ისეთი მართალი სურათი, რომ ეს ხელ-დროშიანი დედა თითქოს საკუთარი თვალით ხედავდა და ელამარაკებოდა მზის საუფლომდე ამაღლებული მუშურვალებიდან გადმომდგარ ლაღ და ბედნიერ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებსაც აღარ ეცოდინებოდათ და აღარ შეაწუხებდათ „ბნელ ბილიკებზე მარტოდმარტო მოხეტიალე, დაჩაგრული სულის ნაღვლიანი ფიქრები... გაჭირვებისაგან დავრდომილი, შიშისაგან დაბეჩავებული, უპიროვნო და უფერული სულის კვნესა... შურისძიებისა და შეურაცხყოფის ბრმა გრძნობა“ და რომლებიც „ერთმანეთის ცქერით დატკბებიან... ივლიან გულმართალნი, თავისუფალნი... მთელ ქვეყანას დაიტევენ თავის გულში, რომლებიც მთელი გულითა და სულით შეიყვარებენ მას“.

იმ ახალ-ახალ ამხანაგებთან პირადმა ურთიერთობამ, რომლებიც პავლეს გარშემო განუწყვეტლივ მატულობდნენ, მათთან ცოცხალმა თანამშრომლობამ, ორგანიზაციულ-პოლიტიკურმა მუშაობამ პელაგიას კიდევ უფრო შეაყვარა შვილი და მომავალი. ყოველივე ამან იგი ისე გამოაწრთო, გაიტაცა და გარდაქმნა, რომ გადალახა საკუთარი უძლურების შეურაცხმყოფელი გრძნობა და შვილის მომავალი ბედით გამოწვეული შიში სიამაყის ეგოისტურ დაუქვემდებარა. ეს სიახლე ისე ღრმად დაქანეფლა დედას, რომ როცა ხატს უცქეროდა, მაშინაც კი პავლესა და მის ამხანაგებს ხედავდა.

სინამდვილის ამ გუგუნ-ზრიალში საყვარელი შვილის საქმიანობით აღტაცებული და გულაჩუყებული დედა ფიქრობდა:

„ყველაფერი კარგად მოეწყობა, ყველაფერი!“

დედას ღრმად სჯეროდა, რომ შვილის მიერ დაწყებული საქმე აუცილებლად გაიმარჯვებდა, მაგრამ შვილი?

„დაიღუპება...“

დედა ხომ მაინც დედაა და მას რა გამოუვლევს ცრემლსა და სატკივარს ხიფათში მყოფ შვილზე?! პელაგიას გული ეწოდა, ტკივილისაგან ეკუმშებოდა. მაგრამ იგი მაინც არ ერიდებოდა მისი გულის მომწამველ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას, რადგან გადაეჩვია გონიერი დასკვნის წინაშე ძრწოლას. პროფესიონალური რევოლუციონერი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, მას ეპოქა ეძახდა წინ, მისი სული არ შეიძლებოდა გაპობილიყო მოვალეობისა და გულისთქმის დაპირისპირებად. პელაგიამ ხომ მისი ამხანაგებისაგან ისწავლა ცხოვრების მკაცრი და აუცილებელი ენა, „რომ სიცოცხლის შეწირვა, საქმისათვის სიკვდილი — ადვილია! მაგრამ მიეცი მეტი, ისიც, რაც საკუთარ სიცოცხლეზე უფრო ძვირად გიღირს — მიეცი და მაშინ უსაზღვროდ ამაღლდება ის, რაც შენთვის ყველაზე უფრო ძვირფასია — შენი სამართლე!..“

ეხებოდა რა რევოლუციონერის პიროვნებას, მის მასშტაბს, ერნსტ ტელმანი საპყრობილიდან თავის ამხანაგს სწერდა: რა ახასიათებს ყველაზე მეტად პიროვნებას? ის, რომ ადამიანი ყოველ მომენტში უმორჩილებს მთელ თავის ყოფიერებას იდეას, მიისწრაფვის რა მიაღწიოს რაღაც უმაღლესს. იყავი მამაცი და მტკიცედ გწამდეს ჩვენი დიდი საქმის სიმართლეო.

პავლე ვლასოვიც ასეთი რევოლუციონერი იყო და აბა ვინ იფიქრებდა, რომ ფაბრიკის უბრალო მუშა, რომელსაც არავითარი უმაღლესი განათლება არ მიუღია, ხიშტებით შემოგარსულ მეფის სასამართლოს თავზარს დასცემდა, ბოლომდე ამხილებდა თვითმპყრობელობის დამცველთა ბოროტებასა და მანკს, ექსპლოატატორული კლასების სულიერ უნაყოფობას და გააცამტვერებდა სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლ რევოლუციონერებზე შეთხზულ ცილისმწამებლურ ბრალდებებს. „თქვენ ადამიანები მოსწყვიტეთ ცხოვრებას და დაბეჩავეთ; სოციალიზმი თქვენ მიერ დანგრეულ ქვეყანას აღადგენს და ერთ

მთლიან დიად ქვეყნად აქცევს მასო“, ასე დაამთავრა პავლემ თავისი ყველაზე მგზნებარე და ცეცხლოვანი სიტყვა სასამართლო პროცესზე და დედას შეხედა, თითქოს ჰკითხა: „ხომ ასეა?“

პავლეს გმირობით აღტაცებულმა და დიდი სიმართლის გამარჯვებაში ახლა კიდევ უფრო ღრმად დარწმუნებულმა დედამ შვილში იპოვა საკუთარი თავის განახლებული მშვენიერება და გაასკეცებული სიცოცხლის უშრეტი ძალა, თავისი ბედის თანამოზიარე ადამიანთა მარადიული ახალგაზრდობა და უღრუბლო ბედნიერება.

„ყველგან სიყვარულს სთესენ სიმართლისა და გონების გზით მიმავალი ჩვენი შვილები... რა ძალაა ამ სიყვარულზე უფრო დიდი, რა დასძლევს მას? ის მიწამ შობა და თვით სიცოცხლეს, ნამდვილ სიცოცხლეს სურს მისი გამარჯვება...“

ასეთი იყო პელაგიას პასუხი შვილისადმი, როცა იგი ამ უკანასკნელის მიერ სასამართლოში წარმოთქმულ, უკვე გაღაბეჭდილ სიტყვას აერცელებდა და რევოლუციის გარშემო ახალ-ახალ ძალებს რაზმავდა.

ეს იყო ისტორიული ოპტიმიზმი, აღმავალი, ბოლომდე თანმიმდევრული რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის ოპტიმიზმი.

გულისხმიერი დედა — პელაგია თავის დროზე მარჯვედ და ჭკუით დაუხვდა შვილს, მშობლიური მზრუნველობით დაეხმარა მას საკუთარი თავის პოვნაში, ნიჭისა და უნარის შესაფერის უბანზე გამოყენებასა და შინაგანი რწმენის თავისუფალ განვითარებაში. მაგრამ შვილი როდი დარჩა ვალში. პავლემ მუშტის ქვეშ ცახცახს შეჩვეულ, სამზარეულოში გამოკეტილ, ბეჩავ და უუფლებო დედას ამომავალი იდეის სხივი მოფინა, პროფესიონალი რევოლუციონერად აღზარდა და იმ შლეგობისილ ადამიანად აქცია, რომელმაც მედგრად შეუტია საშინელ წყვდიადს, მშიერი მონების ქვეყანას. განა დედისათვის ზრუნვის, მასზე ზემოქმედების, მისდამი საპასუხო სიყვარულის ასეთ მაგალითს იცნობს ლიტერატურის ისტორია? არსებობს დედა-შვილს შორის სწორი ურთიერთობის და ურთიერთზემოქმედების მსგავსი ფაქტი? არა. ამიტომ ეუბნება ლიუდმილა პელაგია ნილოვნას: „თქვენ ბედნიერი ადამიანი ხართ!.. დიდებული რამ არის, როცა დედა და შვილი ერთმანეთს მხარში უდგანან, მაგრამ ამას იშვიათად ნახავს კაცი!“

დიახ, იმ დროში, მეფის თვითმპყრობელობის ბატონობისას, ამას იშვიათად ნახავდა კაცი, ისევე როგორც დღევანდელ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც პირველკლასელებს ჯერ ასწავლიან ისეთი სიტყვების ჩათვლით კითხვას, როგორიცაა „ატომი“, „ბომბი“, ხოლო შემდეგ სიტყვას „დედა“.

ჩვენში კი, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით მთელი ხალხი ბედნიერია, ყველა დედა-შვილი მხარში უდგას ერთმანეთს. გორკის გენიალობაც იმაშია, რომ მან თვითმპყრობელობის აღვირახსნილი თარეშის წლებში იწინასწარმეტყველა, რომ ნამდვილი დედა-შვილური ურთიერთობა, რომელიც ასე იშვიათი იყო იმ დროს, გახდებოდა მასობრივი და ყოვლისმომცველი, ხელს შეუწყობდა ახალი, კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაღვა გოზალიშვილი

ირودიონ ევდოშვილის ფსევდონიმები და ფსევდონიმური ინიციალები

გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი პოეტის ირودიონ ევდოშვილის მემკვიდრეობის შესწავლისათვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ დღემდე უცნობი ფსევდონიმებით ნაბეჭდი პროდუქციის გამოვლინებას, რომლებიც სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა.

როგორც ცნობილია, ირ. ევდოშვილის ლექსი „გუბე“ 1893 წლის 6 ივნისს პირველად **ი. ხ.-შვილი**-ს ხელმოწერით გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა. ამავე ფსევდონიმით შემდეგ მხოლოდ ერთხელ — 1905 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 55) გამოქვეყნდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული იუმორისტული ლექსი „საღვდგომო სუფრული“. ეს ლექსი მეორედ აღარ დაბეჭდილა და თითქმის უცნობია.

პირველად ფსევდონიმი **„ევდოშვილი“** გამოჩნდა 1895 წლის 7 მარტს გაზ. „ივერიაში“, როცა დაიბეჭდა ლექსი „გაზაფხული“. მას მოჰყვა ლექსები: „ამონაკვნესი“, „ქარიშხალი“ და ფელეტონი — „მრწამსი“ (სახუმარო გასართობი). ამის შემდეგ მწერალი უმთავრესად ი. ევდოშვილის ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს და მკითხველი საზოგადოებრიობაც მას ამ ფსევდონიმით იცნობს.

ირ. ევდოშვილის მეორე ცნობილი ფსევდონიმი არის **რიგოლეტო**. იგი ამ ფსევდონიმით 1901-1903 წლების „კვალში“ ბეჭდავდა იუმორისტულ ფელეტონებს საერთო სათაურით: საახალწლო ნაპერწკლები, ნაბღერტელა, პანნკები, საახალწლო „ვიზიტები“, სადღეისო „ვიზიტები“. სამშობლოს ცაზე:[1] ამავე ფსევდონიმით გამოაქვეყნა მან 1907 წელს გაზეთ „ახალ დროებაში“ (№ 8) იუმორისტული ფელეტონი — საახალწლო ვიზიტები, ჟურნალ „ნიშადურში“ (№ 1, 6 და ა. შ.) — იუმორისტული ფელეტონები და ლექსები, ხოლო 1913 წლის გაზ. „ჩვენ დროებაში“ (№ 6, 17 და სხვ.) — ფელეტონი „ვიზიტები“ (საახალწლო) და ა. შ.

გარდა ამ ორი ძირითადი ფსევდონიმისა (მხატვრული შემოქმედებისათვის **ი. ევდოშვილი**, ხოლო იუმორისტული ფელეტონებისა და ლექსებისათვის — **რიგოლეტო**), პოეტი ხშირად იყენებდა სხვა ფსევდონიმურ და ინიციალურ ხელმოწერას. ასეთი ნაწარმოებების უმრავლესობა დღემდე თითქმის უცნობია და არ შესულა ირ. ევდოშვილის კრებულებში.

1901-1903 წლებში ირ. ევდოშვილი „კვალის“ ძირითადი თანამშრომელი იყო და რედაქციის მთელი მუშაობა მის ზურგზე გადადიოდა. მას უხდებოდა გაზეთში გასაშვები მასალის არა მარტო მომზადება, არამედ დაწერაც. ყოველდღიურად ქვეყნდებოდა მისი საკუთარი მასალები — ორიგინალური ლექსი, იუმორისტული ფელეტონი თუ მოთხრობა. ეს გარემოება მისგან მოითხოვდა განსაცვიფრებელ შრომასა და ენერგიას. ისიც იძულებული იყო თავაუღებლივ ეშრომა და ეშრომა...

იმ დროს „კვალში“ ირ. ევდოშვილის მუშაობის მოწმე ისაკო ალხანაშვილი თავის მოგონებაში მოგვითხრობს, რომ „ირودიონს ბევრი

1 იხ. „კვალი“, 1901, № 1, 2, 3, 4 და სხვ.; 1902, № 1, 2, 4, 6, 8, 9 და სხვ.; 1903, № 1, 16, 17 და 19.

მუშაობა უხდებოდა „კვალის“ რედაქციაში“ და ხშირ შემთხვევაში „ორი-სამი დღე თავაუღებლივ მუშაობდა, რომ შეევსო „კვალი“ საკანონო მასალებით და დროზე გამოსულიყო. თუ რამდენად ბევრი მუშაობა უხდებოდა იროდიონს, მე იქიდან დამამახსოვრდა, რომ მას მარჯვენა ხელის შუანა თითზე „მაზოლი“ ჰქონდა კალმისტარისაგან გაჩენილი“.[1]

ამ გარემოებამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება და წამოიჭრა საკითხი — ვის ეკუთვნის ფსევდონიმები: **იელი, ი.-ლი** და **ი-ელი,** რომლითაც გაზეთ „კვალში“ 1901-1902 წლების განმავლობაში, ე. ი. ირ. ევდოშვილის თანამშრომლობის დროს, დაიბეჭდა რუსულიდან თარგმნილი სხვადასხვა მწერლის ცამეტი მოთხრობა. ნეკროლოგი ავქსენტი ცაგარლის შესახებ და წერილი „უბედურება ანტილიის კუნძულებზე“?

სამივე ეს ფსევდონიმი თუ ინიციალური ხელმოწერა არსებითად ერთი და იგივეა — **იელი** და. სრულიად უეჭველია, ეკუთვნის ერთ პიროვნებას, ხოლო ნათარგმნი მოთხრობები, რომლებსაც ეს ფსევდონიმური ხელმოწერა აქვთ, წარმოადგენენ ერთ მთლიან ციკლს.

კვლევა-ძიებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ფსევდონიმი **იელი** ეკუთვნის ირ. ევდოშვილა. ამ ფსევდონიმით უმთავრესად გამოქვეყნდა ისეთი რუსი და სხვა მწერლების მოთხრობათა თარგმანები, რომლებიც საერთოდ ეხმაურებოდნენ ირ. ევდოშვილის ლიტერატურულ გემოვნებასა და მისწრაფებას. აი ისინიც, ნათარგმნი მოთხრობები, რომლებიც 1901-1902 წლების გაზ. „კვალში“ თანმიმდევრობით დაიბეჭდა **იელი-ს, ი-ლისა** და **ი-ელის** ფსევდონიმით (ხელმოწერით): ლ. ბერნეს „როგორ იბუტებიან ცოლები“ (1901 წ. № 38) და „გონეტუს“ (№ 39,40), ა. ფრანსის „შავი პურები“ (№ 41), ივ. ფრანკოს „კარგი ხელფასი“ (№ 52) და „მირონა“ (1902 წ. № 10), მაქსიმ გორკის „მაწანწალა“ (1. შეხვედრა მასთან, № 14, 15, 16, 17) და „ზაზუბრინა“ (№ 18), ლეონიდ ანდრეევის „სიცილი“ (№ 23) და „სარდაფში“ (№ 24), სკიტალეცის „წირვაზე“ (№ 26), ანატოლ ფრანსის „დეესსი“ (№ 28, 29) და სკიტალეცის „კომპოზიტორი“ (№ 35).

თარგმნილი მოთხრობების გარდა, **ი-ელი-ს** ფსევდონიმით დაიბეჭდა აგრეთვე წერილი ანტილიის კუნძულებზე 1902 წლის 8 მაისს მომხდარი მიწისძვრის შესახებ სათაურით „უბედურება ანტილიის კუნძულებზე“ (№ 36) და ნეკროლოგი „ავქსენტი ანტონის-ძე ცაგარელი“ (№ 21).

ი. ე-ლი-ს ხელმოწერით „კვალში“ (№ 34) დასაბეჭდად გამზადებული იყო აგრეთვე თარგმანი მოთხრობისა „ორი მეგობარი“ (ივ. ფრანკოსი). მოთხრობის ტექსტი (სტამბაში ამონაბეჭდი ოთხ სვეტად) რედაქციას დაბეჭდვის ნებართვისათვის გაუგზავნია კავკასიის საცენზურო კომიტეტში. ამ უკანასკნელის დადგენილებით მოთხრობის დაბეჭდვა აიკრძალა. მოთხრობის თარგმანი დამთავრებული არაა. ტექსტის ბოლოს მიწერილია: შემდეგი იქნება, მაგრამ მისი მეორე ნაწილი არა ჩანს. ასეთივე ბედი ეწია სკიტალეცის მოთხრობას „ციხის კედლებს შუა“.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ შემდგენელთ „პირთა სახელების საძიებელში“[1]. „კვალში“ გამოქვეყნებული მოთხრობების თარგმანები ფსევდონიმით **იელი, ი-ლი** და **ი-ელი,** გარდა ლიუდვიგ ბერნეს მოთხრობებისა „როგორ იბუტებიან ცოლები“ და „გონეტუს“, შეცდომით მიუკუთვნებიათ ირაკლი წერეთლისათვის, ხოლო ლ. ბერნეს ამ ორი მოთხრობის თარგმანი **იელი-ს** ხელმოწერით „პირთა სახელების საძიებელში“[2] ცალკე გაუტანიათ და ფსევდონიმი არ გაუხსნიათ.

რომ მართლაც ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის 1901-1902 წლებში **იელი-ს** ფსევდონიმით გამოქვეყნებული მოთხრობების თარგმანები, წერილი და ნეკროლოგი, ამას შემდეგი ლიტერატურული მონაცემებიც ადასტურებს: პოეტის და ბაბილინა ხოსიტაშვილი თავის მოგონებაში[3] პირდაპირ წერს, რომ „მის (იროდიონის — **შ. გ.**) კალამს შემდეგი ფსევდონიმები ეკუთვნის: **ისარი, იელი, ჩახმახი, წკიპურტი, ლაბლაბო, ჟამანაკი**“.

ამ ცნობაში დასახელებული ყველა ფსევდონიმი, გარდა **ისარი-სა,**[4] ჩვენს მიერ სათანადოდ დამუშავებულ ირ. ევდოშვილის ბიბლიოგრაფიულ შრომაში ლიტერატურული მონაცემებით დადასტურდა და მათ შორის ფსევდონიმი **იელიც.**

იელი რომ ირ. ევდოშვილის ფსევდონიმია, ამას „კვალში“ დაბეჭდილი ივანე ფრანკოს მოთხრობის „მირონას“ სათაურის ქვეშ წარწერილი „უძღვნი პაწია ვანოს“ მოწმობს. „პაწია ვანო“ იმ დროს მართლაც მეორე წელში იყო. სხვა შემთხვევებშიც იროდიონ ევდოშვილს საბავშვო მოთხრობებისა და ლექსების სათაურის ქვეშ ხშირად გა-

---

1. მოგონება ირ. ევდოშვილის შესახებ, დაცულია საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმში.

1. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკ. III. (1893-1905). 1944, გვ. 829.

2 იქვე, ბიბლიოგრაფიის რიგითი № 8590, № 8591.

3 ჟურნალი „მნათობი“, 1946, № 5-6, გვ. 277.

4 ისარის- ფსევდონიმის ირ. ევდოშვილისათვის მიკუთვნების დამადასტურებელი ცნობები ჩვენ ვერ მოვნახეთ.

უკეთებია მინაწერები თავისი ბავშვებისათვის მიძღვნის შესახებ.

მარტო ეს ცნობაც საკმარისად მიგვაჩნია, რომ **იელი**-ს ხელმოწერით „კვალში“ გამოქვეყნებული ნათარგმნი მოთხრობები და სხვა მასალები ირ. ევდოშვილის კალამს მივაკუთვნოთ. 1949 წლის მაისში ეს ფაქტი დაგვიდასტურა აგრეთვე ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა ივანე გომელაურმა. ამ საკითხზე საუბრისას მან განაცხადა, რომ 1901-1903 წლების „კვალში“ რაც **იელი**-ს ხელმოწერით ნათარგმნი მოთხრობები და წერილები იბეჭდებოდა, ყველა იროდიონ ევდოშვილს ეკუთვნისო, რადგან მას იმ დროს რედაქციაში ძალიან დიდი მუშაობა უხდებოდა მასალებით გაზეთის შესავსებადო.

ივანე გომელაურს ასეთივე განმარტება მიუცია „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ერთ-ერთი შემდგენლის თამარ მაჭავარიანისათვის, რომელმაც თავის მხრივ ეს ცნობა ჩვენ გაგვიზიარა.

ი. ხოსიტაშვილის ხელმოწერით სხვადასხვა დროს დაიბეჭდა წერილები: „პასუხის პასუხი“ (სოფ. ბოდბისხევის სკოლის მასწავლებელ ჯალიაშვილის მუშაობის შესახებ. „ივერია“, 1895, № 108), „პასუხის მაგიერ ბ-ნ ჯალიაშვილს“ (საპასუხო წერილი, იქვე, № 181), „წერილი ბაქოდან“ (1897, № 228), მოთხრობა „იესო რაბბი“ (1900, № 77). „პატარა წერილი“ (ბაქოს ქართული ბიბლიოთეკის შესახებ, „კვალი“, 1901, № 5), „ს. ავჭალა“ (მამასახლისის მიერ გლეხ ს. სეხნიაშვილის გალახვის შესახებ, „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2912). ყველა ეს წერილი და მოთხრობა თითქმის უცნობია და არ იყენებდნენ ირ. ევდოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისას.

1901 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 1343) ირ. ევდოშვილს უხმარია ფსევდონიმი **ბზიკი**. ამ ფსევდონიმით დაბეჭდა მან იუმორისტული საახალწლო ფელეტონი „მუხრუჭი“. აღსანიშნავია, რომ გაზეთის იმავე ნომერში დაიბეჭდა მისივე ერთი მოთხრობა „ლუდხანაში“ და ერთიც ლექსი („ის კი არ მხიბლავს...“). ალბათ, ამის გამოც აღარ მოინდომა პოეტმა აღნიშნული ფელეტონი ცნობილი ფსევდონიმით (ი. ევდოშვილი) გამოექვეყნებინა და უცნობი ფსევდონიმი **ბზიკი** აირჩია.

ი. ხ.-ს ინიციალით 1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა აგრეთვე ოთხი წერილი „სოხუმის ოლქში მოსახლეთა მდგომარეობა“ (№ 68) და შთაბეჭდილებანი საერთო სათაურით „გზადაგზა“ (№ 32, 35, 43). ამ წერილებში მწერალი განიხილავდა ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს. სრულიად უეჭველია, რომ ისინი ირ. ევდოშვილს ეკუთვნის, მით უმეტეს, რომ ამას ადასტურებს ი. ევდოშვილის ხელმოწერით „ივერიაში“ (1905, № 123) დაბეჭდილი ფელეტონი „დილიდან-დილამდე“, რომელსაც სათაურის შემდეგ ფრჩხილებში „ბ-ნ ... წერილი აქვს: „რუსულიდან ი. ხ-სა“.

1905-1907 წლების მანძილზე პერიოდულ პრესაში ცნობილი ფსევდონიმით **ი. ევდოშვილი** დაიბეჭდა ბევრი ლექსი, ფელეტონი და წერილი. მიუხედავად ამისა, მათი საგრძნობი ნაწილი არ შესულა ირ. ევდოშვილის თხზულებათა ცალკეულ გამოცემებში. ჩვენთვის საზოგადოებრივობა არ იცნობს და გამოუყენებელია, რადგან დღემდე არ მოიპოვებოდა საჭირო ბიბლიოგრაფიული ცნობები.

ამ თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსები — „იერუსალიმი“ („ივერია“, 1905, №55), „ინტერნაციონალი“ (თარგმანი, იქვე, №224[1]) „ნიკოლოზ ბარათაშვილს“ (იქვე, 1905, № 184), „საფლავიდან“ („ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება, 1905, № 203), „ბიუროკრატიას“ („შრომა“, სურათებიანი დამატება, 1906, № 24), „გაზაფხულია“ („ელვა“, 1906, № 1), „ინტერნაციონალი“ (პროლეტარიატის საერთაშორისო სიმღერა, „ლამპარი“, 1906, № 112), „დეკაბრისტების ჰიმნი“ (იქვე, 1906, №25) „ამხანაგს — ამხანაგები“ („ჩვენი ცხოვრება“, 1906, №6), „უნებური მოგზაურობა“ („ტალღა“, 1906, № 3), „ძმებო, პირდაპირ გვიდგას ჩვენ მტერი“ (იქვე, №16), „სალამი, ჩემო სამშობლო კუთხევ“ (იქვე, № 22), „მოგონება“ (იქვე, № 33), „სისხლი და ცრემლი“ („გრიგალი“, 1906, № 6) და სხვ.

რევოლუციური შინაარსის პროზის საუკეთესო ფელეტონებიდან და წერილებიდან, რომლებიც თითქმის უცნობია, უნდა აღინიშნოს: „მაშ საით?“ ჩართული ლექსით („ივერია, 1905, № 111). „სხივი... სინათლე!“ (იქვე, № 120), „თავისუფალი პრესა“ (იქვე, № 145), „უკანასკნელი ზვირთი“ (იქვე, № 192), „ტრაგი-კომედია“ („დრო“, 1907, № 19) და სხვ.

ი. ე.-ს ინიციალით იროდიონ ევდოშვილმა 1905 წლის „ივერიაში“ (№ 185) დაბეჭდა წერილი სათაურით „ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის კურთხევა“[3], ხოლო ცნობილი ფსევდონიმით წინა დღით — ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

ცარიზმის მიერ განჯაში მოწყობილ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შესახებ 1905 წლის 9 დეკემბერს გაზეთ „ივერიაში“ (№ 222) ი. ევდოშვილის ხელმოწერით დაიბეჭდა წერილი

---

1. ცნობილია მეორე განსხვავებული თარგმანი (თხზ., ტ. I, გვ. 261—263).

2. მესამე განსხვავებული თარგმანია.

3. წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია“, შედგენილი მ. ჯიღაურის მიერ. 1907 წ., გვ. 26. წერილის ავტორის ინიციალი არ არის გახსნილი.

„თვალით ნანახი“; წერილს გაგრძელება მეორე დღეს იმავე სათაურით, ოღონდ **ნააფიცრალის** ფსევდონიმით გამოქვეყნდა. ამ ფსევდონიმის გამოყენების სხვა ბიბლიოგრაფიული ცნობა არ მოგვეპოვება.

ირ. ევდოშვილს ეკუთვნის აგრეთვე ფსევდონიმი თუ ინიციალური ხელმოწერა **ი. ევ.-შვილი.**

1906 წელს ფარულად დაიბეჭდა ბროშურა სათაურით „რა უნდა პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას?“ თარგმანი **ი. ევ-შვილისა.** „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ ავტორებს ხელმოწერა **ი. ევ-შვილი** არ გაუხსნიათ და ღიად დაუტოვებიათ.[1] აღნიშნული ბროშურის თარგმანი რომ უდავოდ ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის, ამას ადასტურებს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს 1910 წლის საარქივო საბუთები[2].

ძირითადი ფსევდონიმების (**ი. ევდოშვილი, რიგოლეტო**) გარდა, 1907-1908 წლების ჟურნალ „ნიშადურში“ ირ. ევდოშვილის იუმორისტული ლექსები და ფელეტონები დაიბეჭდა აგრეთვე შემდეგი ფსევდონიმებით: **ჩახმახი, წკიპარტი, თქვენი რიგოლეტო, რიგოლეტოს** მაგიერ, **ლაბლაბო, ყამანაკი.**

ამ ფსევდონიმებიდან პოეტის დის ბაბილინას[3] მიერ დამოწმებულია **ჩახმახი, წკიპარტი, ლაბ-ლაბო, ყამანაკი.**

ფსევდონიმი **ჩახმახი** დამოწმებული აქვს აგრეთვე პოეტ-აკადემიკოსს ი. გრიშაშვილს.[4]

1909 წლის პირველ ნახევარში, „დროებაში“ თანამშრომლობის დროს, ირ. ევდოშვილი მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად გაზეთის „მოწერილ ამბებში“ ბეჭდავდა წერილებს მშობლიური ქიზიყის სოფლების — ბოდბისხევის, ქვემომაჩხაანის, ზემომაჩხაანის, ჯუგაანის, ფანიანისა და სხვა სოფლების მოსახლეობის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე.

წერილების ეს სერია, რომელიც უეჭველად ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის, გამოქ-

1 ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, ტ. I. გვ. 497, რიგითი № 3233.

2. შ. ჩხეტია, ისტორიული საბუთები ირ. ევდოშვილის შესახებ, 1939. გვ. 132-133.

3 ჟურნ. „მნათობი“, 1946, № 5-6, გვ. 277. (წკიპარტი-წკიპურტი არსებითად ერთი და იგივეა).

4. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის კავკასიოლოგიის კაბინეტის ჟურნ. „ნიშადურის“ ეგზემპლარებზე მინაწერი, 1907, № 16, გვ. 8-9.

ეკუთვნებულია X-ის ხელმოწერით (№ [illegible], 94, 132, 155).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო ლიტერატურული ანალიზი დასტურდება აგრეთვე, რომ ირ. ევდოშვილი ფსევდონიმს (ხელმოწერას) X ადრეც იყენებდა. სახელდობრ, პირველ არალეგალურ ქართულ ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლას“ მან მიუძღვნა ლექსი, რომელიც 1901 წ. დაიბეჭდა (იხ. გაზ. „ბრძოლა“, 1901 წ. № 2-3).

1902 წელს გაზეთ „ბრძოლაში (№ 4) **ბუკი-ს** ფსევდონიმით დაიბეჭდა ირიდიონ ევდოშვილის მეორე ლექსიც „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“.

იბადება კითხვა: 1908 წლის ჟურნ. „ნიშადურში“ (№ 53.56) **ნარიგლეჯია-სა** და **გიორგი ნარიგლეჯია-ს** ფსევდონიმით დაბეჭდილი იუმორისტული წერილები საერთო სათაურით „ქიზიყი და ქიზიყელები“, რომლებშიც გაკილულია ქიზიყის სოფლების მღვდლებისა და ბობოლათა „მოღვაწეობა“, ხომ არ ეკუთვნის ირ. ევდოშვილს? ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ჟურნალის რედაქციის განმარტებით, წერილების „ქიზიყი და ქიზიყელების“ ავტორი გ. ნარიგლეჯია არ არის **ა. შ-ლი** (ინიციალი **ა. შ-ლი** ეკუთვნოდა ჩვენს ცნობილ პოეტ-დრამატურგს ალექსანდრე შანშიაშვილს). მაშ, იმ დროს ქიზიყიდან სხვა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნული წერილების ავტორი, თუ არა ირ. ევდოშვილი? ეს საკითხი მოითხოვს შემოწმებასა და დაზუსტებას.

1909 წლის გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა აგრეთვე ირ. ევდოშვილის იუმორისტული ფელეტონები საერთო სათაურით „ტალკვესი“ (№ 176, 181, 187, 192). ყველა ეს ფელეტონი გამოქვეყნდა **ირა-ს** ფსევდონიმით.

ირა-ს ხელმოწერით გამოქვეყნებული ეს ფელეტონები რომ ნამდვილად ირ. ევდოშვილს ეკუთვნის, ამას თვით პოეტის არქივში მიკვლეული ავტოგრაფი „ბოდვა უკვდავი ავაზაკისა“ ადასტურებს, რომელსაც ბოლოში ერთვის ხელმოწერა — **ირა.**[1]

შესაძლებელია, თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში ირიდიონ ევდოშვილი სხვა, დღემდე უცნობ ფსევდონიმებსა და ინიციალებსაც იყენებდა, მაგრამ მაინც გვჯერა, რომ ძირითადი ფსევდონიმები და ინიციალები მიკვლეული და გამომზეურებულია.

1 ირ. ევდოშვილის ავტოგრაფები საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში № 2106/4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ იმედაძე

ლაჟვარდიდან

დაბლა ვერცხლია დაფენილი,
ზეცა მარწყვით არი დაფარული.
მაგ შენს ჩრდილსა და მაგ შენს ღიმილს
ღამე მოიტაცებს გამთვარული.

ნეშოს წააფარებს ფარატინას
თქვენს ნაფეხურებს ნიავქარი,
ვარსკვლავიც დაეშვა ლაჟვარდიდან,
თითქოს მოიქნიეს ჩირაღდანი.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში

როცა გიცქერის სევდით თვალები,
ჩაუსახლდება მელანქოლია.
რომ არ ენახოს შენი თაღები,
მე ხომ სტუმარი ჯერ არ მყოლია,

ზეცას არც ერთი აღარ შერჩება,
რადგან ვარსკვლავებს ვუხმობთ საარზე-
ხმლის ჯახის მეტი არა გესმება,
ამ ბებერ მიწას ყურს რომ დაადებ.

დებმა დაჰკრიფონ თალარი

კულა სადა გაქვთ გადანახული,
მოიძიევით, გათქვით მართალი,
ჩაკუპრებული კარდანახულის,
რომ ჩაითქეშოს შავი ბადაგი.

გაახანჭკალეთ ჩქარა ჩაფები,
ჭურისთავები გაავარდისფრეთ,
მე საწნახელში არ ვარ ჩამსვლელი,
დებმა თალარი თუ არ დაკრიფეთ.

1940 წლის შემოდგომა,

შამშე მეგრელიძე

შერიფ ხიმშიაშვილი

სამი საუკუნის წინათ, საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური დაქვეითების პერიოდში ოსმალო დამპყრობლებმა შეძლეს ჩვენი სამშობლოსათვის ერთი მესამედი ტერიტორია მოეწყვიტათ. ეს იყო სამხრეთ საქართველო — ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე კუთხე, რომელშიც აჭარაც შედიოდა. მას შემდეგ, თითქმის სამასი წლის მანძილზე აჭარა უცხოელ დამპყრობთა უღელქვეშ გმინავდა.

ოსმალთა ბატონობის სასტიკი რეჟიმის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობა ქედს არ იხრიდა. დამპყრობთა წინააღმდეგ ამხედრებულ მშრომელებს მეთაურობდნენ სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, მათ შორის სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი, ახმედ-აღა კიკნაძე, ილიას მელაძე და სხვები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი.

შერიფ ხიმშიაშვილი დაიბადა 1833 წელს. იგი ხალხის დიდი სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა. საკმარისი იყო შერიფის სიტყვა, რომ მოქიშპენი შერიგებოდნენ ერთმანეთს. სამშობლოს ბედნიერებისათვის მან, ისევე როგორც ზოგიერთმა სხვა სახელმწიფო მოღვაწემ, საკუთარი შვილიც კი არ დაინდო. მისი მსხვერპლი გახდა ოსმალოებს მიმხრობილი უფროსი ვაჟი მურთაზი.

1876 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი მოახლოდა. რუსეთის სარდლობამ აჭარაში გაგზავნა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ი. კერესელიძე. შერიფს მისთვის განუცხადებია: „ღმერთმა ჰქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ქვეყანა ქართველ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე [illegible]ოფილა საქართველო, დღეის შემდეგ ისე გახდეს“. ასეთი დადებითი პასუხით გამოისტუმრა მან სასაზღვრო ზონის უფროსი გ. გურიელი.

1877 წლის 24 აპრილს დაიწყო ომი ოსმალეთთან. შერიფს შესაძლებლობა მიეცა სანუკვარი ოცნება განეხორციელებინა და აჭარა შეეერთებინა დედა-სამშობლოსთან. იმავე წლის 5 მაისს რუსეთის მხედრობამ არტაანი აიღო და აჭარის აღმოსავლეთ საზღვრებს მოადგა. რუსეთის მხედრობა შერიფს დაუკავშირდა. აჭარაში არტაანის მხრიდან ორი გზა იყო. თუ რუსეთის არმია ერთით წავიდოდა, შერიფი დაიკავდა მეორეს, ე. ი. რუსეთის ჯარს გზა გახსნილი ექნებოდა, საითაც არ უნდა წასულიყო აჭარის მხრიდან მას საშიშროება არ მოელოდა.

ოსმალებმა შერიფს ოზურგეთზე თავდასხმა მოსთხოვეს, მაგრამ შერიფმა უარი განაცხადა, ჯარი რუსეთისაგან თავდასაცავად მჭირდებაო. მან შავშეთელ ნური-ბეგ ხიმშიაშვილთანაც დააკავშირა რუსეთის მხედრობა. 1877 წლის ოქტომბერში ოსმალეთის ძირითადი ძალები განადგურდა ალაჯის სიმაღლეებზე; დადგა აჭარაზე ლაშქრობის დრო, მაგრამ აქაური არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გამო ოსმალეთმა ბრძოლა შეწყვიტა და შავშეთიდან ბათუმს შემოუტია...

1878 წ. 2 მარტს სან-სტეფანოში ხელმოწერილ იქნა ზავი, რომლის ძალითაც რუსეთმა აჭარა მიიკუთვნა. საზავო პირობები ძალაში შევიდა მხოლოდ ბერლინის კონგრესის დადგენილების შემდეგ. კონგრესის მოწვევამდე კი ინგლისელებმა და ოსმალებმა ახალი ომის მზადება დაიწყეს. შერიფი პირობას დებდა, რომ ახალი ომის შემთხვევაში იგი სამი ათას მებრძოლს შეკრებდა და პირადად წაუძღვებოდა ოსმალების წინააღმდეგ. ამავე დროს ოსმალები გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდნენ აჭარაში, ხმას ავრცელებდნენ, თითქოს რუსები მოსახლეობას ქრისტიანობას მიიღებინებდნენ და ციმბირში გადაასახლებდნენ. შერიფმა სასტიკად გაილაშქრა ოსმალთა ასეთი აგიტაციის წინააღმდეგ. უკმაყოფილო დევრიშ-ფაშამ იგი ბათუმში დაიბარა, მაგრამ შერიფი არ წავიდა. ამის გამო ფაშამ მისი დასჯა განიზრახა.

1878 წლის 28 აპრილს, ღამით, ოსმალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმმა შერიფის სასახლე დაარბია სხალთაში, იგი ახალციხეში გადავიდა და რუსებს მიემხრო.

ამავე წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი ბათუმში შემოვიდა. შერიფი წინ მოუძღოდა არტაანიდან ბათუმში მომავალ რაზმს. მან ბათუმში ჩამოიყვანა აჭარის ბეგებისაგან შემდგარი დეპუტაცია რუსეთის მხედრობის წინაძე წარსადგენად. რაზმი ბათუმში 31 აგვისტოს ჩამოვიდა. იმავე საღამოს რუსეთის სარდლობამ მათ პატივსაცემად ვახშამი გამართა. თამადობდა შერიფი. მან მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვა. ლხინი დარბაზობად იქცა. ოცმა კაცმა ხელი მოაწერა კავკასიაში რუსეთის არმიის მთავარსარდლისადმი მიმართვას, რომლითაც მფარველობას სთხოვდნენ და დასძენდნენ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ იმავე ქართველების რიცხვს მიგვაკუთვნებთ, რომლებიც რუსეთის ერთგული არიანო.

1878 წლის ნოემბერში თბილისს სამხრეთ საქართველოს დელეგაცია ეწვია. ქართველმა მოწინავე საზოგადოებრიობამ მას ვახშამი გაუმართა. ვახშამზე ბევრი პატრიოტული სიტყვა წარმოითქვა. შესანიშნავად გამოვიდა შერიფ ხიმშიაშვილი. რუსეთმა მას გენერალ-მაიორობა უბოძა და ახალციხის მმართველად დანიშნა. ის იყო რუსეთის არმიის პირველი გენერალი აჭარიდან.

1878 წლის 5 მაისს ახალციხეში შერიფს თბილისიდან სტუმრები ეწვივნენ და გენერალ-მაიორობა მიულოცეს. ერთ-ერთმა მათგანმა ქართველი ხალხის სახელით უთხრა: „დიდად ბედნიერი ვარ დღეს, რომ ვხედავ თქვენს ბრწყინვალებას თქვენს მომმე მოყვრებში... თქვენ ჩვენი ქვეყნის დასავლეთიდან სიბრწყინვალით მართლად გაგვინათეთ საათაბაგოს ქალაქი ახალციხე... დიდი ქების ღირსი ხართ, დიდის დიდებისა და აღმატებულობისა“. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ დიდი ხნის წინათ დაშორებული ძმები ძმურად დაუკავშირდებიან ერთმანეთს. სალი კლდე ვიყავით და ფეხქვეშეულ გული გვქონდა, სულგრძელობით ვერთმევინებით დღემდის მათთან განშორებასო, წარმოთქვა ერთ-ერთმა სტუმარმა. დიდხანს გრძელდებოდა საუბარი საქართველოს ისტორიულ წარსულზე, წინაპართა ერთობლივ გმირულ ბრძოლებზე. კმაყოფილმა მასპინძელმა დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს. სიტყვაში მან თქვა: „ღმერთმა ჰქნას, მეც და ჩემთა თანამოძმეთაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება, შეერთებული ვიყოთ მტკიცედ, ძმურად, ჩვენის დიდისხნის აქეთ დაშორებულ მრავალრიცხოვან ძმებთან სულითა და გულითა და ყოველი კეთილ განწყობილებითა, ხელი ხელს მიგვეცეს, გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯი, რითაც განთქმულნი იყვნენ ქრისტიანობის დროს ჩვენი წინაპარნი საქვეყნოდ“.

მამულის მგზნებარე პატრიოტი შერიფი დიდ ყურადღებას აქცევდა მშობლიური აჭარის ბედნიერ მომავალს. ქართველ ინტელიგენციას სთხოვდა, სწავლა-განათლება შეეტანეთო აჭარაში, იქ წადით, სკოლები გახსენით და თბილისის სკოლებშიც მიიღეთ აჭარელი ბავშვებიო.

შერიფმა ცხოვრების უკანასკნელი წლები პეტერბურგში გაატარა და იქვე გარდაიცვალა 1888 წელს. მადლიერმა თანამემამულეებმა ცხედარი სამშობლოს ჩამოასვენეს და სოფელ ქორჩხაში დაკრძალეს.

შერიფ ხიმშიაშვილი იმ საუკეთესო, მოწინავე და პატრიოტ ადამიანთა რიგებს ეკუთვნის, რომელთა სახელით სამართლიანად ამაყობს ქართველი ხალხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დევან ებანოიძე

ალექსანდრე წულუკიძის რევოლუციური მოღვაწეობა ბათუმში

ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში, სახელგანთქმული რევოლუციონერი-მარქსისტი ალექსანდრე (საშა) გრიგოლის-ძე წულუკიძე თითქმის ერთი წელი (1900 წლის მეორე ნახევარი და 1901 წლის პირველი ნახევარი) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბათუმში.

იმ დროს ბათუმი ამიერკავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქის ნავთსახდელ და სხვა ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა რიცხვი ოთხი ათასს აღემატებოდა. აუტანელი სოციალური ჩაგვრის გამო, რასაც თან ერთოდა ეროვნული ჩაგვრაც, ისინი ხშირად გამოდიოდნენ კაპიტალიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები არაორგანიზებული, სტიქიური იყო. ამდენად გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა მისი მჭიდროდ დაკავშირება სოციალ-დემოკრატიასთან, რაც პირველად რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალისტებმა ივანე ლუზინმა და გიორგი ფრანჩესკიმ სცადეს. ამრიგად, მათ მიერ ასე თუ ისე განაყოფიერებულ ნიადაგზე მოუხდა ა. წულუკიძეს რევოლუციური მოღვაწეობის გაგრძელება ბათუმში.

ბათუმში ჩამოსვლისთანავე ა. წულუკიძე შეუდგა ყანდარმერიის მიერ 1898 წელს დარბეული მუშათა წრეების აღდგენას. იგი ცდილობდა თანდათან გადაეყვანა მუშათა მოძრაობა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე. ამ მიზნით საშა მუშათა წრეებში მართავდა პოპულარულ საუბრებს პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე და მსმენელებს განუმარტავდა კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და კლასობრივი ანტაგონიზმის რაობას, უნერგავდა მათ ჩაგვრისა და უსამართლობის მოსპობის აუცილებლობის რწმენას.

ა. წულუკიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მუშათა აღზრდას ინტერნაციონალური სულისკვეთებით, რამდენადაც ქალაქის მოსახლეობა ეროვნულად ძლიერ ჭრელი იყო, ხოლო მთავრობის მოხელეები და ბურჟუაზია ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა უნდობლობა და შუღლი დათესათ სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიდრეკილებანი გამოსჭვივოდა, კერძოდ, „მეორედასელების“ მოღვაწეობაში. ასე, მაგალითად, ერთმა „მეორედასელმა“ რამდენიმე ქართველ მუშას მოუყარა თავი, არტელის სახით შეაკავშირა და რუს და სომეხ მუშებს დაუპირისპირა. 90-იან წლებში გრიგოლ ვოლსკიმ და ივანე მესხმა მოაწყვეს „მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი, საურთიერთო კრედიტის საზოგადოება“[1], რაც, ცხადია, ხელს უწყობდა ქართველების განცალკევებას სხვა ეროვნებათა მუშებისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში მყოფი „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენლები კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი სიამოვნებით თანამშრომლობდნენ ქართველ ბურჟუაზიულ ლიბერალებთან, რითაც ხელს უწყობდნენ ნაციონალიზმის გაღვივებას. პრინციპულად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა „მესამე დასის“ რევოლუციური ფრთის წარმომადგენელმა ა. წულუკიძემ. იგი დაუნდობლად ამხილებდა ბურჟუაზიის ეროვნული პლატფორმის კლასობრივ სარჩულს და მას პროლეტარიატის ინტერნაციონალურ დროშას უპირისპირებდა.

ამ მხრივ საინტერესოა ქალაქის თვითმმართველობის სხმოსნების არჩევნების ორომტრი-

1 დ. კლდიაშვილი, „მემუარები“, გვ. 97.

ალთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი. ერთ-ერთ წინასაარჩევნო თათბირზე, რომელიც საერთო „ეროვნული“ პლატფორმის გამომუშავებისა და მის გარშემო შეთანხმებული მოქმედების მიზნით მოეწყო, ა. წულუკიძეც მიიწვიეს. ამით ბურჟუაზიის წარმომადგენლებს სურდათ სხვა „მესამედასელებთან“ ერთად ისიც ჩაებათ „ეროვნული“ ბრძოლის საერთო ფერხულში, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადეს.

აი როგორ აგვიწერს ცნობილი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი ამ თათბირის მიმდინარეობას:

„ერთ საღამოს ქალაქის სამმართველოში, მდივნის ოთახში თავი მოიყარეს მოწვეულმა პირებმა: აქ იყო გრიგოლ ვოლკი, ივანე მესხი, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე, ნიკო ჯაყელი და მე; მომხსენებლად ყოფნა მე შემხვდა. მდგომარეობის აწერის დროს აღვნიშნე, რომ ის დაობა, რომელიც ატეხილია ჩვენს პარტიებს შორის ეროვნულ საკითხის გარშემო, შესაძლებელია საბარალო იქმნას — ქართველობას ხელიდან გამოაცალოს ქალაქის საქმეების ხელმძღვანელობა, რაც არასასურველია“...

გაიმართა კამათი და „როცა საშა წულუკიძემ აიღო სიტყვის ნება, მან წარმოსთქვა, რომ ეს დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი უქმიაო, ჩვენ ვერ შევთანხმდებითო, რადგან სხვადასხვა პოლიუსზედ ვდგეგვართო. ამ განცხადებამ გამოიწვია ცხარე ლაპარაკი, გახურებული დაობა, ისე რომ, იძულებული ვიყავით კრება შეგვეწყვიტა და დავშლილიყავით.

მეორე დღეს შევხვდი საშას და ვუსაყვედურე:

— უცნაური კაცი ხარ, საშა, სწორედ უცნაური! კაცო, რა გვიყავი იმ დღეს, შე დალოცვილო, საქმე თითქმის გათავებული იყო. შენ მოდი თუ არა, მაშინვე ცეცხლი დაანთე, ესეც აღარ იქმარე და ზედ ნავთი გადაასხი. ჩაგვშალა შეთანხმება და იცოდე ჩვენ, ქართველები, ასეთი კინკლაობით ვერაფერს მოვიგებთ“. „ძველათაც ასეთი სენი გვჭირდა, — განაგრძობს დ. კლდიაშვილი, — შიგნით ბრძოლით ერთმანეთს ვასუსტებდით და ამით საერთო მტერს ჩვენზე ვაძლიერებდით. ახლაც ასე მოგვდის. რუსები და სომხები ჩვენ, ქართველებს, გვებრძვიან და თქვენ კი „რუსეთის მუშათა პარტიის“ სახელით გამოდიხართ და ჩვენი კანონიერი და სამართლიანი ქართული ეროვნული საქმის დაცვისათვის ნაციონალისტებს და შოვინისტებს გვიწოდებთ“.[1]

მწერალს დაემოწმა მისი თანამგზაური ბათუმის თვითმმართველობის ხმოსანი ნიკო ჯაყელი, რომელმაც თავის მხრივ აგრეთვე საყვედურით მიმართა ა. წულუკიძეს.

ა. წულუკიძემ ბოლომდე მოუსმინა [illegible] შემდეგ მწერალს შეხედა დინჯად, აუღელვებლად, ოღონდ გადამწყვეტი ტონით მიუგო: „დავით სამსონის-ძევ, ტყუილად მთვლით თქვენი მარცხის მიზეზად“... საქმე იმაშია, რომ თქვენ რუსეთის პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ კრინტის დაძვრას ვერ ბედავთ, კიდევ მეტი, თქვენ არსებული საარჩევნო დებულების წინააღმდეგაც არ ილაშქრებთ, ხოლო მომქმედი საარჩევნო კანონის „მიხედვით უმრავლესობა, მაღალი საარჩევნო ცენზის გამო, მოკლებულია არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ასეთი უფლება ეძლევა მხოლოდ შეძლებულ ვაჭრებს და სახლის პატრონებს.[1]

შემდეგ ალ. წულუკიძეს უთქვამს: როგორც სხვაგან, ჩვენშიც ბურჟუაზიული პარტიები, როცა „სჯირდებათ, არჩევნებში გამოდიან მასების მისამხრობად ეროვნული დროშით. საფრად, შირმად ხმარობენ მას ისე, როგორც თქვენ და თქვენი მოწინააღმდეგენი. მაგრამ ერთი მიბრძანეთ, როდესაც ისინი იმარჯვებენ, იკალათებენ მართვა-გამგეობის სავარძელში და აწყობენ თავიანთ საქმეებს, რას იგებს ამით მათი ეროვნების პროლეტარიატი — მუშათა კლასი. გარწმუნებთ არაფერს.[2]

ამგვარად, თქვენი საარჩევნო ბრძოლა ეროვნული საქმე არ არის, იგი ხალხს ვერ იხსნის დუხჭირი პირობებისაგან. ყველა ერის უმრავლესობას თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უკვე აღმოჩენილი აქვს საშუალება. ეს არის მარქსისტული მოძღვრება მეცნიერული სოციალიზმის შესახებ. „გვიხსნის მხოლოდ სოციალიზმი. ამისათვის კი საჭიროა რევოლუცია“[3], — დასკვნა ა. წულუკიძემ.

ა. წულუკიძის ასეთმა ბოლომდე რევოლუციურმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუშათა კლასობრივი შეგნების გაღვიძებას, მათს პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. მუშათა კლასის ამ პოლიტიკურ გათვითცნობიერებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომლის შესახებ დ. კლდიაშვილი წერს:

„მახსოვს, ერთხელ ერთმა ყმაწვილმა გატაცებით წამოიძახა: მე მარქსისტი ვარ, ვარ მარქსისტი და ვერავითარი ძალა მას ვერ ჩამომაშორებს!.. დავიბადე ღარიბ ოჯახში, ვიზრდებოდი სიღარიბე-სიღატაკეში, გაჭირვებაში ვსწავლობდი, თვალი ავახილე, სიღარიბისა და სისაწყლის გარშემო ვერას ვხედავდი... მოითმინე, მოითმინე, მოთმინე-

1 დ. კლდიაშვილი, „მემუარები“, გვ. 136-137.

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 34, საქმე 502, გვ. 30-31.

2 იქვე, გვ. 35.

3 იქვე.

ბითა შენითა პოებდე სასუფეველსა, რომ მოკვდები იქ, საიქიოს. ზეცაში მოგეზღვევა სამაგიერო ბედნიერებაო. ვინ იცის იმ საიქიოს, ზეცას რა ამბავია— ვის უნახავს, ვის მოუტანია იქაური ამბავი?! ტყეული დაიმედება, თავის მოტყუებაა... ამ კაცმა კი სამოთხე ზეციდან დედამიწაზე ჩამომიტანა, აქ გამიჩინა, აქ მომცა ჩემს სიცოცხლეში... პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!.. მიგვაგნებია გზას და ყველა რომ შეერთდებით, ყველა გაჭირვებულები სამოთხეს აქ გავაჩენთ, სიცოცხლეში. სიკვდილის შემდეგ კი არა! ამისთანა მჭადაგებელს ჩამოვშორდები? — არასოდეს, არაფრის გულისათვის... „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!" აქ არის, ამაშია ჩვენი ხსნა!"1

აი დიდებული ნაყოფი, რომელიც გამოიღო ჯერ ლუზინისა და ფრანჩესკის, ხოლო შემდეგ ა. წულუკიძის რევოლუციურმა მოღვაწეობამ ბათუმში. მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ბათუმის პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეკავშირება და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყვანა; მათ მხოლოდ ნიადაგის გაპოხიერება შეძლეს ამ საქმისათვის.

როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ბათუმის მუშები შეაკავშირა, დარაზმა და პოლიტიკური ბრძოლის ფრონტზე გამოიყვანა ი. ბ. სტალინმა. სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტი. სტალინმა მოაწყო ბათუმის მუშათა პირველი გრანდიოზული დემონსტრაცია 1902 წლის მარტში. მან დარაზმა ბათუმის მუშები ლენინის დროშის ქვეშ და წაიყვანა ისინი ბრძოლაში თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

* * *

1901 წლის შემოდგომაზე ა. წულუკიძე იძულებული გახდა ბათუმი დაეტოვებინა და ოჯახით ქუთაისში გადასულიყო საცხოვრებლად. ამას ორი მიზეზი ჰქონდა.

ჟანდარმერია ბათუმში ჩასვლისთანავე კვალდაკვალ დასდევდა ა. წულუკიძეს და მოსვენებას არ აძლევდა. მარტო 1901 წელს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა პოლკოვნიკმა შაბელსკიმ ბოქაულ მეფისაშვილთან ერთად „ორჯერ გაჩხრიკა და ააფორიაქა ა. წულუკიძის ოჯახი".2

ბათუმში საშას ცხოვრება მოუხდა ნურიეგოლის ტბის მახლობლად (ამჟამად ტურგენევის ქუჩის ბოლო). ეს ადგილი ჭაობიანი იყო და დამყაყებული სუნი აქარწყლებდა მაგრ ზღვის თბილი და სასარგებლო ჰაერი. ბით გავლენას, და ნაცვლად გამომრთელებისა, ა. წულუკიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდი გახდა. ამას დამატა ბავშვის ავადმყოფობაც. ექიმებისა და მეგობარ-ამხანაგების რჩევით საშამ დატოვა ბათუმი.

შეიძლება ითქვას, რომ 1901 წლის შემდეგ ა. წულუკიძეს ხანგრძლივი საცხოვრებელი ადგილი არც ჰქონია. როგორც კი ავადმყოფობას თავს დაადწევდა,1 იგი გაჩნდებოდა ყველგან, სადაც ეს საჭირო იყო რევოლუციის საქმისათვის: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, ხოსში, გურიაში და სხვ.

როგორც ცნობილია, 1902 წლის 9 მარტის ბათუმის მუშათა დიდი დემონსტრაციის შემდეგ ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს. ამიტომ ა. წულუკიძე სისტემატურად ჩამოდიოდა ხოლმე ბათუმში და ხელმძღვანელობდა მუშათა მოძრაობას და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობას. ამ პერიოდში გამოდის რსდმპ ბათუმის კომიტეტის საუცხოოდ შედგენილი ფურცლები, რომელთა ავტორია ა. წულუკიძე. დღემდე გამოვლენილია მხოლოდ თერთმეტი ფურცელი. შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ კიდევ უნდა იყოს ორი ან სამი ფურცელი. ეს ფურცლები მრავალმხრივ შესანიშნავი დოკუმენტებია. მათი ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ყველა მათგანი შინაარსეულად ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენს. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ცხოვრებაში.

ფურცლებში, უპირველეს ყოვლისა, დახასიათებულია კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობანი და სოციალური უსამართლობანი. „თანამედროვე საზოგადოება ერთფეროვანი როდია. ის გაყოფილია ორ დიდ ნაწილად. ერთი მხრით დგას შეძლებული უმცირესობა, ე. ი. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ყოველნაირი საშუალება აქვს ცხოვრებაში... სულ სხვა სურათია ცხოვრების მეორე, დაბალ საფეხურზე... მეორე ნაწილის — დღიური მუშის ხვედრი, მუდმივი შრომა, მუდმივი ოფლისღვრაა... თუ საზო-

1 ა. წულუკიძეს საშინლად ეჯავრებოდა წუწუნი ავადმყოფობის გამო და საკმაოდ არ უვლიდა თავს. ხშირად სიცხე ჰქონდა, მაგრამ მუშაობას მაინც განაგრძობდა ხოლმე. ბათუმში ა. წულუკიძის ნაცნობი ექიმი წერს: ერთხელ საშას ვთხოვე, გაგსინჯავ-მეთქი, მაგრამ სიცილად არ ეყო, ავადმყოფური ფსიქოლოგია ავადმყოფობაზე უარესიაო, — მიპასუხა ა. წულუკიძემ.

1 დ. კლდიაშვილი, „მემეუარები", გვ. 131-132.

2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 34, ს. 9, გვ. 44.

გადოების პირველი ნაწილი მოკლებულია გაჭირვებას. აქ (საზოგადოების მეორე ნაწილში) მარტო გაჭირვება ავსებს ცხოვრებას, აქ გაჭირვების სამეფოა".[1]

დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილება კაპიტალისტურია, — ნათქვამია ფურცლებში. — ეს წყობილება თავისი განვითარების პროცესში აჩანაგებს წვრილ გლეხურ მეურნეობას სოფლად და ხელსნობას ქალაქად. წარმოების საშუალებანი იქცევიან კაპიტალისტთა მონოპოლიურ საკუთრებად. მშრომელი მასები საკუთრებიდან „განთავისუფლებულნი" არიან. ასეთი „თავისუფლება", ანუ შიმშილით სიკვდილის საფრთხე აიძულებს მუშას იაფად მიჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს, რომელიც მუშათა კლასის განუწყვეტელი ექსპლოატაციით ზრდის თავის სიმდიდრეს და განცხრომით ცხოვრობს.

ფურცლებში გასაგებად არის ნაჩვენები, თუ როგორ ქმნის მუშა ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც კაპიტალისტი მუქთად ითვისებს. მაგალითად, მუშა ფაბრიკა-ქარხანაში 10-12 საათი მუშაობს და დღიურ ხელფასს ერთ მანეთს იღებს. მაგრამ მუშა ამ დროის განმავლობაში ორი მანეთის ღირებულებას ქმნის. მაშასადამე, მუშას სამუშაო დროის მხოლოდ ნახევარს უნაზღაურებენ, ხოლო მეორე ნახევარს კაპიტალისტი ითვისებს. ამასთან კაპიტალისტს ხომ ათასობით ჰყავს მუშა და ყველას ასევე გულდამშვიდებით ძარცვავს განუწყვეტლივ.

„ამნაირად იქცევა ყველა კაპიტალისტი, ამისდაგვარად ყველა კაპიტალისტი ისაკუთრებს მთელ ნახევარ ჩვენს შრომას და ხშირად უფრო მეტსაც, მთელი ნახევარი და მეტი წილი ჩვენი შრომისა, ამას არაფერი არ უღირს, ის უფასოდ მიაქვს მას (ზედმეტი ღირებულება). **ამნაირად ყოველი კაპიტალისტი მძარცველია ჩვენი, ის მუშის ნაოფლარით მდიდრდება.** აი სად მარხია მიზეზი დღევანდელი ცხოვრების უკეთესობისა. თუ ჩვენ ნახევარჯერ მშიერი ვართ, თუ ჩვენ ხეირიანი ბინა, რიგიანი ტანსაცმელი ვერ გვიშოვნია; თუ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენ შვილებს სწავლა-განათლება მივაღებინოთ, თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვიზრუნოთ ჩვენ სწავლაგანათლებაზედაც, ამისათვის ერთი მხრით ფული,—მეორე მხრით დრო, მოცალება არა გვაქვს, თუ ჩვენ ნახევარჯერ სამუშევარი ვერ გვიშოვნია, — ყველა ამის ერთად ერთი მიზეზის ის არის, რომ კაპიტალისტი, ზავოდების მეპატრონე, ჩვენი ხაზეინი მთელ ნახევარს და მეტ წილსაც ჩვენი შრომისა ისაკუთრებს, ამის ერთად ერთი მიზეზი ის თანამედროვე წესწყობილებაა, რომლის

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 33, ს. 491.

დროსაც კაპიტალისტი მდიდრდება, ჩვენი გაძარცვით. მაშასადამე, ჩვენ უბედური ვართ იმიტომ, რომ კაპიტალისტი, ჩვენი ხაზეინი გვართმევს რამოდენიმე ნაწილს ჩვენს შრომისა, ჩვენ ბედკრული ვართ იმიტომ, რომ ის, კაპიტალისტი გვძარცვავს, ის გვატყავებს. მაშასადამე, კაპიტალისტი და არა ერთი, არამედ საზოგადოთ კაპიტალისტთა კლასი, რომლის არსებობა დამოკიდებულია მშრომელი ხალხის გაძარცვაზე და რომელიც არაფერს არ აკეთებს და ყველაფერი აქვს, არის ჩვენი სისხლის მწოველი".[1]

ფურცლებში მხილებულია ე. წ. „საერთო ნიადაგის" თეორიაც, რომლის მიზანი იყო მშრომელთა ცნობიერების მოწამვლა ნაციონალიზმის შხამით, და დამაჯერებლად არის განმარტებული, რომ ყველა ერის „კაპიტალისტის მიზანი ერთადერთია — რაც შეიძლება ბევრი სარგებელი მიიღოს, სხვას კი არას დაეძებს. მას ფეხზე ჰკიდია თავისი ტომის, თავისი ეროვნების მუშას წაართმევს, თუ სხვა ტომის, სხვა ეროვნებისას. ქართველი კაპიტალისტი არა ნაკლებ ართმევს ქართველ მუშას, ვინემ სომეხს; სომეხი კაპიტალისტი იმნაირადვე ძარცვავს სომეხ მუშას, როგორც ქართველს და სხვ. ამ მხრით არავითარი გარჩევა არ არსებობს...

ცხადია, ჩვენი მტერია არა მარტო სომეხი-კაპიტალისტი, არა მარტო რუსი-კაპიტალისტი, ჩვენი მტერია აგრეთვე ქართველი-კაპიტალისტი, თათარი-კაპიტალისტი, ფრანგი-კაპიტალისტი და სხვ. მოკლედ, **ჩვენი მტერია, ჩვენ გვძარცვავს ყველა კაპიტალისტი, რა ეროვნებისა და სარწმუნოებისაც იყოს ის, ან სხვანაირად ჩვენი მტერია მთელი ბურჟუაზია".**

ამრიგად, კაპიტალისტური წყობილება და მასთან დაკავშირებული კლასობრივი ჩაგვრა ეროვნულ-სპეციფიკური კი არა, საერთაშორისო მოვლენაა. „...ვიჩაგრებით არა მარტო ჩვენ, ქართველი მუშები, იჩაგრება აგრეთვე სომეხი მუშა, იჩაგრება რუსი მუშა, თათარი მუშა, ინგლისელი მუშა და სხვ. მოკლედ იჩაგრება ყველა მუშა მთელ დედამიწაზედ, იჩაგრება... მუშათა კლასი განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა..." აი რატომ არის, რომ მეცნიერული კომუნიზმის გენიალური ფუძემდებლები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი თავიანთ განთქმულ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მსოფლიო მუშათა კლასს მოუწოდებენ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" „ისინი იწვევდნენ ყველა ქვეყნის მუშებს შეერთებულიყვნენ და შეერთებული ძალღონით მოესპოთ

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 33, ს. 492

2 იქვე, საქ. 493.

თანამედროვე... კაპიტალისტთა კლასის ბატონობა... კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი — ეს ჩვენი მახარობელია, ეს ჰეშმარიტების ნამდვილი მოციქულებია და ყოველ მუშას მუდმივ უნდა ახსოვდეს მათი დიდებული მოქმედება, მათი თავგანწირული პიროვნება".1

კაპიტალისტური საზოგადოება ისეთი ბუნებისაა, რომ ბურჟუაზია უბრძოლველად არაფერს დაუთმობს პროლეტარიატს. „ამიტომ მხოლოდ ბრძოლა და ბრძოლა მედგარი — აი ერთადერთი საშუალება... ჩვენი მიზნის მისაღწევად".2

ფურცლები საუცხოოდ განმარტავს, რომ პროლეტარიატმა და მისმა ხელმძღვანელმა პარტიამ თავიანთი ბრძოლა კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ სამი მიმართულებით უნდა აწარმოონ: ეკონომიური ბრძოლა — ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის; პოლიტიკური ბრძოლა — კაპიტალიზმის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის და თეორიული ბრძოლა — მეცნიერული კომუნიზმის მარქსისტული მოძღვრების სიწმინდისათვის. კლასობრივი ბრძოლის ამ სამი ფორმის შეერთება და უნარიანი გამოყენება უზრუნველყოფს პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას და ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას, „სადაც ყოველნაირი საწარმოო იარაღი — მაშინები, ზავოდები, ფაბრიკები, ადგილმამული და სხვა — საზოგადოების ხელშია... ამნაირ მომავალ წესწყობილებას ეწოდება სოციალისტური წესწყობილება... სადაც ყველა მშრომელს უფლება ეძლევა ისარგებლოს ყოველნაირი იარაღით და მით თავისუფლად და პატიოსნად იცხოვროს."3

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 331 ს. 493.
2 იქვე, საქ. 495.
3 იქვე, საქ. 497.

ამრიგად, პროლეტარიატის საბოლოო მიზანია კომუნისტური საზოგადოების შენებლობის დიადი ამოცანის განხორციელების გზაზე პროლეტარიატს მრავალი დაბრკოლება ეღობება. ყველაზე გაფთრებულ წინააღმდეგობას პროლეტარიატს უწევენ გაბატონებული კლასები — კაპიტალისტები, მემამულეები და სხვ., რომელნიც მშრომელთა ოფლითა და სისხლით ფუფუნებაში ცხოვრობენ.

„...მთავრობა და ბურჟუაზია ხელიხელჩაკიდებული მოდიან ჩვენ წინააღმდეგ, საერთო ძალღონით სურთ შეინარჩუნონ ბატონობა". ამიტომ „სოციალიზმის განსახორციელებლად აუცილებლად საჭიროა ხელში ჩავიგდოთ მთელი მართვა-გამგეობა, და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება განვახორციელოთ ჩვენი მიზანი. სანამ ეს ასე არ მომხდარა, სანამ მართვა-გამგეობა ბურჟუაზიის ხელშია, ყოველნაირი ჩვენი წადილი, ყოველნაირი ჩვენი ბრძოლა სოციალიზმის დასამყარებლად ამაო იქნება, ბურჟუაზია თავისი კანონებით, ბურჟუაზია თავისი ჯარით ყოველთვის დათრგუნავს ჩვენს ძალებს, როგორც ეს მოხდა, მაგ. 1871 წ. საფრანგეთში კომუნისტების აჯანყების დროს".1

ასეთია მოკლედ შინაარსი ბათუმის სოციალ-დემოკრატიული მუშათა კომიტეტის ფურცლებისა, რომლის ავტორია სახელგანთქმული რევოლუციონერი ალექსანდრე წულუკიძე.

1. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 33. საქ. 497.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწლმოსილი მუშა-პოეტი

პარმენ რურუას დაბადების 70 წლისთავის გამო

ოცდასამი წლისა იყო პარმენ რურუა, როცა 1911 წელს „ბათუმის გაზეთში" პირველი ლექსი გამოაქვეყნა. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, და ამ ხნის მანძილზე პოეტი დაუცხრომლად ემსახურება შრომელიერ ხალხს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და არცთუ ისე იშვიათად აქვეყნებს ახალ-ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს. ბოლო დროს განსაკუთრებით ხშირად ახარებს იგი თავისი ლექსებით ნორჩ მკითხველებს, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ მშობლიურ დარიგებას, მამობრივ თბილ სიტყვას და მოხუცი პოეტიც არ აკლებს მათ ყურადღებასა და სიყვარულს.

მაშინაც, როდესაც პირველ ლექსებს წერდა, პარმენ რურუას თვალწინ ედგა მშრომელი ახალგაზრდობა, რომელსაც მგზნებარედ მოუწოდებდა კაპიტალიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ, სხივდანთებული განთიადისათვის საბრძოლველად და უნერგავდა მტერზე გარდუვალი გამარჯვების მტკიცე რწმენას. ამიტომ შემთხვევითი კი არა, სავსებით კანონზომიერი იყო, რომ მის პირველ ლექსს „იმედი" ერქვა. ცარისტულ წყვდიადშიც კი პოეტი ძლიერ კარგად ხედავდა, თუ როგორ დღითიდღე სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებოდა ხალხი, როგორ ივსებოდა მისი მოთმინების ფიალა და მტკიცედ სჯეროდა, რომ სინათლე გაიმარჯვებდა ბნელზე, სიხარული — მწუხარებაზე, და დადგებოდა ნანატრი დღე, როცა ძირფესვიანად შეიცვლებოდა მშრომელთა დუხჭირი ცხოვრება.

ცა ძაძას იყრის, იფერება
მტრედისფერ თაღად,
სულს დაობლებულს ასხივოსნებს
ტკბილი იმედი,

დედა — ბუნებას ზეიმი აქვს,
ზღვაც ღელავს ლაღად,
მოჩანს ცისკარი —
განახლების წინამორბედი

წერდა პოეტი ამ ლექსში და ამით გამოხატავდა ყველა უბრალო ადამიანის, მუშებისა და გლეხების საბრძოლო განწყობილებას, მტერზე გამარჯვების ურყევ რწმენას.

ეს დღეც დადგა და პოეტი მხურვალედ მიესალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ჩვენ აღვმართეთ დროშა,
დროშა ალისფერი
და მუშური ხელით
დავამარცხეთ მტერი!

ამბობდა პოეტი ლექსში „ჩვენ აღვმართეთ დროშა", რომელიც 1921 წელს დაწერა. და იქვე უმღერა კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლებულ შრომას, როგორც ახალი ცხოვრების აშენების ერთ-ერთ მთავარ პირობას:

შრომით ავაყვავებთ
ჩვენ სამშობლო კერას!
მას შევწირავთ ჩვენს ძალს
და ჩვენს გულის ძგერას!

ამიერიდან პარმენ რურუას შემოქმედების მთავარი პათოსი ხდება შრომა. იგი გულწრფელად უმღეროდა საბჭოთა სამშობლოს, უსაზღვროდ ახარებდა მისი თვითეული წარმატება და პირადად მონაწილეობდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში არა მარტო პოეტის კალმით, არამედ როგორც რიგითი მუშაკი. თავისი შეხედულება მწერლის, შემოქმედის ამოცანების შესახებ ახალ, სოციალისტურ ვითარებაში მან ძლიერ მკაფიოდ გამოთქვა ლექსში „ზოგიერთ პოეტებს". მიმართავდა რა უფროსი თაობის ზოგიერთ პოეტს, რომელთა შემოქმედებაში კვლავ ძველი მოტივები ჭარბობდა და ნაკლებად იგრძნობოდა ახალი ცხოვრების სუნთქვა, პარმენ რურუა წერდა:

ცისფერ ყვავილებზე
ისევ ნუღარ კვნესით,

ყოველდღიურობას
უპასუხეთ ლექსით.

და თვითონ პარმენ რურუა ერთი იმ შემოქმედთაგანი იყო, რომლებიც ლექსით უპასუხებდნენ ყოველდღიურობას, რომლებიც თავიანთ ამოცანას, თავიანთ წმიდა მოვალეობას ხალხის უანგარო სამსახურში ხედავდნენ. საგულისხმოა, რომ იგი თანაბარი გატაცებით უმღეროდა დიად გარდაქმნებს როგორც ქალაქად, ისე სოფლად. თუ ზოგიერთი იმდროინდელი პოეტის შემოქმედებაში უპირატესად სოფელი ჩანდა, ქალაქი კი მივიწყებული იყო, ან პირიქით, პარმენ რურუა თავიდანვე აცდა ასეთ ცალმხრივობას. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ პოეტი ხან სოფელში მუშაობდა, ხან კიდევ ქალაქში და, ამრიგად, კარგად იცნობდა ორივეს — როგორც ქალაქს, ისე სოფელს.

ამას მოწმობს პოეტის ოცდაათიან წლებში შექმნილი ბევრი ლექსი, რომლებშიც ასახვა პოვეს ახალი ლირიკული გმირის — საბჭოთა ადამიანის პატრიოტულმა მისწრაფებებმა, იმ დიადმა გარდაქმნებმა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში რომ ხდებოდა. პოეტი გულწრფელად უმღეროდა ჩვენს სახელოვან თანამედროვეს — კომუნიზმის მშენებელს და გადმოგვცემდა მილიონთა შემართების პათოსს, მილიონებისა, რომლებიც ერთსულოვნად დაირაზმნენ მშობლიური კომუნისტიური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის სსრ კავშირში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის უსაზღვრო სიხარული, რასაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განიცდიდა იგი, როცა ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი წარმატებით შეასრულა პირველი ხუთწლიანი გეგმა და შეუდგა მეორე ხუთწლედის დავალებათა განაღდებას. ეს განწყობილება განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა პარმენ რურუას ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „ორი ხუთწლედის უღელტეხილზე". პოეტური სიტყვით გადმოგვცემდა რა გამარჯვებული ხალხის სიხარულს, მგოსანი ამავე დროს გამოთქვამდა რწმენას, რომ იგივე ხალხი კვლავაც თავდადებით იშრომებდა და ისევე სახელოვნად შეასრულებდა მეორე ხუთწლიან გეგმას, როგორც პირველი შეასრულა:

დამკვრელობა იზრდება აღტაცებულ
მასებში,
მშენებლობა ეპოქის სულის ანდამატია!
ახლა, როცა მეორე ხუთწლედი გვაქვს
სახეში,—
როგორც პირველს, იმასაც გამოსჭედავს
პარტია!

ამავე პერიოდში პარმენ რურუას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. პოეტს სიამაყით აღავსებდა იმის შეგნება, რომ სოციალიზმის აშენებით ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხალხი — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია წყვეტდნენ არა მარტო თავიანთ უდიდეს ეროვნულ პრობლემას, არამედ ამავე დროს ასრულებდნენ გრანდიოზულ ინტერნაციონალურ მოვალეობასაც საერთაშორისო მუშაობაში, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის წინაშე. თავის მხრივ, საბჭოთა ხალხს ესაჭიროებოდა ყველა ქვეყნის მშრომელთა, მილიონობით უბრალო ადამიანის მხარდაჭერა, რათა შეუფერებლად აეშენებინა სოციალიზმი. აი რატომ იყო, რომ სხვა საბჭოთა პოეტებთან ერთად პარმენ რურუა მკითხველებში ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას. ლექსში „მსოფლიო ნადური" (1926 წ.) იგი წერდა:

ყველა ქვეყნის ჩაგრულებო ერთად,
ტირანებთან ულმობელი ბრძოლა!
მაშ, მახვილი მოიმარჯვეთ მკვეთრად,
არ გჩვევიათ თქვენ შიში და ძრწოლა!
ჩვენი დროშა უკვე გაიშალა,
კარგად ვიცით მტრის და მოყვრის ცნობა,
ერთობაში არის ჩვენი ძალა.
სიყვარულით იწვის ჩვენი გრძნობა.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებითაა შთაგონებული პარმენ რურუას მეორე ლექსიც „კანტონი", რომელიც პოეტმა მიუძღვნა ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას. იგი დაიწერა და გამოქვეყნდა 1927 წელს, როცა ჩინელი ხალხი თავდადებით იბრძოდა თავისი ქვეყნის გამოხსნისათვის იმპერიალისტური მონობის უღლისაგან. საგულისხმოა, რომ ჩინეთის რევოლუციას პოეტი როდი განიხილავდა იზოლირებულად, როგორც მხოლოდ ჩინურ მოვლენას. ჩინელი ხალხის ბრძოლაში იგი ხედავდა მთელი აზიის შემართებას, კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების ხალხთა მტაცეც გადაწყვეტილებას — თავიდან მოეშორებინათ უცხოელ მჩაგვრელთა უღელი. ეს აზრი გამოსჭვივის. კერძოდ, ამ ლექსის სტრიქონებში: „მიწა გუგუნებს, მიწა იროყევა, აზიას ცეცხლის ეღება ალი".

ორმოციანი წლების პირველ ნახევარში პარმენ რურუას შემოქმედება შემდგომ გამდიდრდა პატრიოტული მოტივებით. ამ პერიოდში პოეტმა შექმნა არაერთი პატრიოტული ლექსი, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებდნენ სიცოცხლეც კი არ დაეზოგათ საზიზღარ მტერზე — გერმანულ ფაშიზმზე ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის. ყველა ისინი გამსჭვალული იყო რწმენით, რომ საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები გარდუვალად შემუსრავდნენ მომხვდურ მტერს და ამით არა მარტო თავიანთ სამშობლოს აიცდენდნენ საშინელ საფრთხეს, არამედ მთელ კაცობრიობასაც იხსნიდნენ ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. ლექსში „მოსკოვის ბუესთან" (1941 წ.) პოეტი ხაზგასმით აღნიშნავდა:

ჩვენი სამშობლო თავისუფალ გმირთა
მხარეა,

მის ფოლადის მკერდს ვერ შეარყევს
ტყვიების თქეში,
ძველი ქვეყანა მას ვერ დაძლევს, ვერ
მოერევა,
მოსკოვის ბჭესთან მოემსხვრევათ
ველურებს ეშვი!
არა, ვერ დასძლევს ჩვენს არმიას
თქვენი მახვილი.
მხეცი ჰუნების ბილწო მოდგმავ,
სისხლით მთვრალებო,
ვერ შეადერხებთ ისტორიის თქვენ
ჩარხის ტრიალს.
განწირული ხართ დასაღუპად.
კანიბალებო!!!

ასე სჯეროდა რა ჩვენი საბოლოო გამარჯვება, პოეტი არ ივიწყებდა, რომ გამარჯვება თავისით არ მოვიდოდა, რომ მის ვამოსაკელად აუცილებელი იყო თავდადებული ბრძოლა ფრონტებზე და ასევე თავდადებული შრომა ზურგში. და თავისი ლექსებით იგი ხელს უწყობდა ხალხის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, გამარჯვების დღის მოახლოებას. ეს დღეც დადგა და პოეტმა მას მიუძღვნა ღრმად პატრიოტული ლექსი „ცხრა მაისი“, რომელშიც გადმოსცა ხალხის საყოველთაო სიხარული და ზეიმი, დიდი მადლობა მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი.

დიდი სამამულო ომის შემდეგაც პ. რურუა დაუღალავად ემსახურება მშობლიურ ხალხს და ცდილობს გამოხმაუროს ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ ამოცანებს. მისი ლექსები დღესაც მოგვიწოდებენ განუწყვეტლივ ვზარდოთ ჩვენი წვლილი კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობის საქმის განმტკიცებაში მთელ დედამიწაზე. სულ ახლახან მან გამოაქვეყნა გულთბილი ლექსი, მიძღვნილი საქართველოს სახელოვანი დედაქალაქის ათასხუთასი წლისთავისადმი. ეს ლექსი „ბიჭ-ღერა თბილისზე“ მოწმობს, თუ როგორ ... დომებით განაგრძობს მხცოვანი პოეტი შემოქმედებითს მუშაობას ჩვენი მშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ.

პარმენ რურუა ცნობილია აგრეთვე როგორც საბავშვო პოეტი. მისი საბავშვო ლექსები და პოემები პატარებში ზრდიან საუკეთესო მორალურ თვისებებს, უღვივებენ სამშობლოს, ხალხის, კომუნისტური პარტიის უსაზღვრო სიყვარულს. მათგან გამოირჩევა პოემა „ნაცარქექია“, რომელშიც პოეტმა დიდაქტიკური მიზნით გამოიყენა ქართული ზღაპრის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მხატვრული სახე.

ამას წინათ, პოეტის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ მკითხველებს მიაწოდა მისი ნაწარმოებების „ერთტომეული“. ეს წიგნი ყველაზე უკეთ ცხადყოფს, თუ რა გულწრფელად ემსახურებოდა და ემსახურება მუშა მგოსანი მშობლიურ ხალხს, რომელთანაც იგი მუდამ იყო და არის ლხინშიც და ჭირშიც. მართალია, პარმენ რურუას ლექსები პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით ვერ დგას თანამედროვე პოეზიის მწვერვალზე, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ლიტერატურის მთაგრეხილს მარტო მწვერვალები როდი ქმნიან. ამიტომ მხცოვანმა პოეტმა სავსებით დაიმსახურა ის სიყვარული და პატივისცემა, რასაც მისდამი იჩენს ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობა. ამ სიყვარულისა და პატივისცემის გამოვლინება იყო, კერძოდ, საიუბილეო საღამო, რომელიც პოეტს გაუმართეს გასული წლის რვა დეკემბერს ქალაქ ბათუმში, სადაც მუშა მგოსანი თითქმის ნახევარი საუკუნეა მოღვაწეობს მშობლიური ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ჟ. შავგულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ვერეშჩიცკი

მარცხიანი საღამო

ჟურნალ „ზვეზდის“ 1958 წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა ნიკოლოზ ვერეშჩიცკის მოგონება ს. ესენინზე. ქვემოთ ვბეჭდავთ ნაწყვეტს, რომელიც ეხება ს. ესენინის ყოფნას ბათუმში.

1924 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ბათუმს გავემგზავრეთ.

მანამდე ესენინი დაჟინებით მთხოვდა მეშოვა დოკუმენტები ნებართვისათვის კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად. მან ვიღაცისაგან გაიგო, რომ უცხოეთის პასპორტის შემცვლელ ნებართვას აძლევდნენ ზოგიერთ ჟურნალისტს. ხოლო თავის განზრახვას — გამგზავრებულიყო თურქეთში, ხსნიდა „ნამდვილი აღმოსავლეთის“ ხახვის დაუცხრომელი სურვილით.

ამიერკავკასიის მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა, ესენინის თავგამოდებულმა თაყვანისმცემელმა, მოგვცა ბათუმის პორტის უფროსისადმი მიწერილი ბარათი. სთხოვდა მივეღეთ რომელიმე საბჭოთა სავაჭრო გემზე მატროსებად, წავეყვანეთ და უკანვე დავებრუნებინეთ.

ბათუმში რომ ჩავედით, სასტუმრო „ნოეში“ დავბინავდით. ჩვენი პირველი სტუმარი იყო ჟურნალისტი ლევ ოსიპის-ძე პოვიცკი, ესენინის ძველი მეგობარი.

ორი დღის შემდეგ ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა პოვიცკისადმი მიძღვნილი ს. ესენინის ლექსი. აი ისიც:

ჩემო ძველო მეგობარო, ისევ გზედავ,
მომენატრე, გზა რა დიდხანს დაგვენამქრა.
კვლავ მეხვევი და ხელს მართმევ ისევ
მაგრად
და ვბაასობ სიყვარულზე შენთან ერთად.
შეხი ცქერით გულმა ისევ მოიღხინა,
მოიწყინე, მომეფერე, მომეც ხელი,
დამიჯერე, აღარა ვარ, როგორც წინათ
აღარც შლეგი, აღარც მიუკარებელი.
შეეიცვალეთ, რაღა არის დასამალი,
მე —მე არ ვარ, რამ შეგცვალა შენაც ასე?
ნაპირისკენ მოგრიალებს ტალღა მწყარალი,
როგორც ცხენი გაქაფული, დგება ყალხზე.
ახლაც ვეტრფი ვიღაც ასულს, როგორც
მაშინ
და ამაოდ უხმობს სატრფოს მგოსნის ბაგე.
ვით ხომალდი, წერტილივით რომ ჩანს
ზღვაში,
მეც მივცურავ მშობლიური მიწისაკენ.

ჩვენ სამივეს დაგვებადა აზრი მოგვეწყო ესენინის საღამო ქალაქის თეატრში. მზად იყო აფიშა და ბილეთებიც გაიყიდა, მაგრამ ეს მშვენიერი წამოწყება კინაღამ ჩაშალა ერთმა სრულიად წარმოუდგენელმა და საკმაოდ სასაცილო გარემოებამ.

დილაადრიან წავედით ბათუმის დასათვალიერებლად. გავისეირნეთ ქალაქის ბაღში, დავტკბით ბანანების ცქერით, რომლებიც ღია ცისქვეშ ხარობდნენ, გამოვედით დაცარიელებულ ქუჩაში და უცებ, გადაუჭარბებლად ვამბობ, ჩვენს თვალწინ გადაიშალა ფანტასტიკური სანახაობა.

შუა ქვაფენილზე მოაბიჯებდა უკანა თათებზე შემდგარი კუდგაშვერილი კატა. მან ცირკში მოთამაშე გაწვრთნილ ცხენზე ნაკლებად როდი გაგვაშხიარულა. აკლდა მხოლოდ ორკეს-

ტრი, რომელიც „ლიანგზამერ მარშს“ ასრულებს.

კატას უკან მოჰყვებოდა ორბორბლიანი ურიკა, რომელშიც წითელი ლეკვი იჯდა. ურიკა მიჰყავდა მოხუცს. მას უზარმაზარი თეთრი წვერი და წითელი გამჭოლი თვალები ჰქონდა, ფეხშიშველი იყო და... მელოტ თავზე შავი მამალი ისე იჯდა, თითქოს ეს მისთვის ყველაზე მოხერხებული, ყველაზე ჩვეულებრივი ადგილი იყო.

ესენინმა დაინახა, გაოცებისაგან ერთი შესძახა და მაშინვე შეუერთდა პროცესიას. უხმოდ, არაფერი არ უკითხავს, მოჯადოებულივით უყურებდა ბერიკაცს და გვერდით მიჰყვებოდა.

მაშინ ბერიკაცი შეჩერდა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაგვიკრა თვალი, აიყვანა ურიკიდან ლეკვი, უსიტყვოდ გადასცა ესენინს და გზა განაგრძო.

მთელი ეს პროცესია მალე მიეფარა მოსახვევს, ჩვენ კი გაოცებულნი იმავე ადგილას ვიდექით და ვუყურებდით, როგორ სუნავდა ჩვენს ფეხსაცმლებს ძირს ჩამოსმული ლეკვი.

— იცი, აქ რაღაც ამბავია, — იდუმალი ჩურჩულით წარმოთქვა ესენინმა (მას ძლიერ უყვარდა მისტიფიკაცია).

— ეს არაჩვეულებრივი მოხუცია! ლეკვიც! იგი თან უნდა წავიყვანოთ!

ლეკვი რომ მართლაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული იყო, ამაში ჩვენ ძალიან მალე თვალნათლივ დავრწმუნდით.

იგი განუწყვეტლივ და საოცრად ბევრს შარდავდა ყველგან, სადაც არ უნდა მიგვეყვანა — სასტუმროს ნომერში, მაღაზიებში, სასადილოში, საპარიკმახეროში და ასე შემდეგ, თანაც საამისოდ ირჩევდა ყველაზე თვალსაჩინო ადგილს.

საღამოს თეატრი ესენინის ნახვისა და მისი მოსმენის მსურველი ხალხით იყო გაჭედილი.

პოეტს ერთსულოვანი, მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. იგი სცენაზე მომხიბვლელი ღიმილით გამოვიდა, ხელი მკერდზე მიიდო და მოემზადა ლექსის წასაკითხავად. სწორედ ამ დროს კულისებიდან გამოვიდა წითელი ლეკვი.

იგი ნელა მიუახლოვდა ესენინს და რამდენიმე წამის შემდეგ ღია ნაცრისფერი კოსტიუმის შარვლის მარჯვენა ტოტი გამუქდა და, როგორც იტყვიან, გასაწურავად გადაიქცა.

დარბაზში საშინელი ხარხარი გაისმა. ხუთასამდე მხიარულ გუნებაზე დამდგარი სამხრეთელი შეშლილივით ხარხარებდა.

ესენინი კი... მან ერთხელ კიდევ გაიღიმა, დამნაშავესავით გაასავსავა ხელები, აიყვანა ლეკვი და მასთან ერთად გავიდა კულისებში.

საღამო საფრთხეში იყო.

პოეტმა სველი შარვლით გამოსვლაზე სასტიკი უარი განაცხადა. ვიღაცამ თავისი ლურჯი შარვალი შესთავაზა, მაგრამ იგი ესენინს თითქმის მუხლებამდე მიწვდა. დაიწყეს სარგო შარვლის ძებნა, იპოვეს, მაგრამ ის წელზე არ მოერგო.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ნახევარსაათის შემდეგ შეძლო ესენინმა დაიწყო ლექსების კითხვა. კითხულობდა ნაჩქარევად, თან წამდაუწუმ თვალს აპარებდა კულისებისაკენ და თავისი მეგობრის მეორედ გამოჩენას ელოდა.

მაგრამ ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა: ისინი დაესწრნენ მეტად მხიარულ და მოულოდნელ „თამაშას“ — ასე უწოდებენ კავკასიაში ყოველგვარ სასაცილო შემთხვევას, რომელზეც შემდეგ მთელი კვირა შეიძლება ისაუბრო.

— ხედავ! ხომ ვამბობდი, რომ ის ბერიკაცი უბრალო ვინმე არ იყო! — თავის ქნევით იმეორებდა ესენინი. — აი ნახავ, წითელი ლეკვი რაიმე სისაძაგლეს კიდევ ჩაიდენს!

ეს იყო წინასწარმეტყველური სიტყვები. ორი დღის შემდეგ სასტუმროში გვთხოვეს ან გაგვეგდო ძაღლი, რომელმაც ამასობაში ყველა დერეფანში მოასწრო კვალის დატოვება, ან გაგვეთავისუფლებინა ნომერი.

რა თქმა უნდა, ჩვენ მეორე ვარჩიეთ. ხომ არ შეიძლებოდა ძაღლთან განშორება, რომელიც იმ კაცის ნაჩუქარი იყო, თავზე რომ შავი მამალი ეჯდა!

ჩვენ სხვა სასტუმროში გადავედით.

აქვე დავძენ, რომ ესენინს საერთოდ ახასიათებდა მამლებით რაღაც გაუგებარი გატაცება.

„ინონიაში“ იგი წერდა:

მთვარეს მამალი გულს გამოუტეხს,
ყიყლიყოს იტყვის და აფრინდება...

„მოსვლაში“:

უფსკრული მისთვის უცხო რამ არი —
თანავარსკვლავედს უმღერს მამალი...
გამქრალა თოვლი, დნება ეს ღამეც —
მამალი უკვე ყივის მესამედ...

ლექსში „ქარბუქი“ ვკითხულობთ:

მამლის ყივილით
ისე გავმწარდი.
მსურს ერთ დღეს ყველა
მკვდარი ვიხილო.
მე ყველა მამალს
გამოვფატრავდი,
რომ ღამღამობით ვეღარ იყივლონ...

ს. ს. ვინოგრადოვსკაია თავის მოგონებაში „როგორ ცხოვრობდა ესენინი“ (1926), აღნიშნავს, ესენინს, ერთხელ სოფლიდან მოსკოვში დებთან რომ დაბრუნდა, თურმე თავზე ცოცხალი მამალი ეჯდა... ბათუმის მამალი დაუმთავრებელ ლექსში „ბათუმი“ ამგვარი სტრიქონებით აღიბეჭდა:

მაშ, ისეირე,
სასაცილოს ხილვას თუ ელი.
განა ამ ქვეყნად
საოცარი ბევრი რამ არი?
აგერ, ქუჩაში ბერიკაცი
დადის სულელი

და თავზე უზის შავი მამალი
კონსტანტინოპოლში ვეღარ გავემგზავრეთ.
შემდეგში ესენინი მწერდა:

„კონსტანტინოპოლში გამგზავრება სალაღობოდ მოვიგონე...“

სინამდვილეში კი მას მართლაც იტაცებდა „ნამდვილი აღმოსავლეთის“ ნახვის სურვილი, შაგრამ, რა გასაოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ეს, მან „ნამდვილი აღმოსავლეთი“ სტამბოლის ქუჩებში კი არა, აქვე, ბათუმში აღმოაჩინა, სადაც დარჩა რამდენიმე კვირით, რადგან დეკემბრის ბოლოს კავკასიას უძლიერესმა ციკლონმა გადაუარა.

ციკლონს იმ ადგილებისათვის არნახული სიცივე მოჰყვა. ყინვა თხუთმეტ გრადუსამდე ავიდა. რამდენიმე დღეში შავი ზღვის სანაპიროზე დაიღუპა ციტრუსოვანთა ყველა ნარგავი და გოლიათური ევკალიპტები. ურაგანულმა ქარმა ყალზზე შეაყენა ზღვა და საოკეანო გემებიც კი იღუპებოდნენ. აქაფებული სამმეტრიანი ტალღები გრიალით მოექანებოდნენ და წვდებოდნენ იმ სახლის კედლებს, რომელშიც ესენინი ცხოვრობდა. ღრმა თოვლით დაფარულ ქალაქის ქუჩებში მგლები დარბოდნენ. რკინიგზაზე შეწყდა მოძრაობა, დაწყდა ტელეგრაფის მავთულები. ამას დაერთო მიწისძვრა.

მე თბილისში ციკლონამდე დავბრუნდი და ესენინი მწერდა:

„ეშმაკმა დალახვროს, რამდენი თოვლი დაჰყარა, მეგონა დავიღუპებოდით ყალზზე შემდგარი ზღვის ზვირთებში. ერთი კვირაა გარეთ არ გამოვსულვარ და შენთან გამოსაგზავნი ერთი წერილი ჯიბეში დამექეცა...“

მეორე წერილში მეუბნებოდა:

„ არ გეწყინოს, ჩემო კარგო! ჯოჯოხეთური ამინდია, ოთახში ისე ცივა, რომ ხელში ფანქარს ვეღარ ვიმაგრებ. ლექსებს მხოლოდ თავში ვწერ... ახლა ვამთავრებ ძალიან დიდი პოემის წერას. რომ ჩამოვალ, წაგიკითხავ...“

ალმაფრენა

ციკლონის გამო პატარა აჭარის დედაქალაქ ბათუმში ჩარჩენილმა, თავისი მეგობრის ლ. ო. პოვიცკის მზრუნველობით გარემოსილმა ესენინმა დაწერა პოემები „ანა სნეგინა“, „წერილი ბაბუასადმი“, „ყვავილები“, „დედამიწის კაპიტანი“; ლექსები „ქარბუქი“, „გაზაფხული“ და რამდენიმე ლექსი ციკლისათვის „სპარსული მოტივები“.

აქედან აცნობა მან დებს მოსკოვში, რომ მოიფიქრა პიესა. და, როგორც ჩანს, ეს ჩანაფიქრი განხორციელდა ჩანახატებში პიესისათვის „ნაძირალების ქვეყანა“, რომელიც აგრეთვე ბათუმში დაიწერა.

„მალე აგავსებთ მასალებით, — წერდა იგი ვ. ა. ბენილოვსკაიას 1924 წლის 24 დეკემბერს. — ესოდენ ბევრი და ასე იოლად ცხოვრებაში მეტად იშვიათად იწერება. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო ვარ და გულისყურით ვმუშაობ... მოიგონეთ, გალიაში ზამთითქმის ორი წელია არაფერი დაბიწერია, როცა უცხოეთში ვიყავი... ამბობენ, ძალიან გამოვკეთდი. ალბათ, იმის გამო, რომ რაღაც ვიხილე და დავმშვიდდი... მოგწონთ „წერილი ქალისადმი“? მე უკეთესი რამეებიც მაქვს... მოდის ტროპიკული წვიმა. უკაკუნებს მინებზე. მარტო ვარ და აი ვწერ და ვწერ...“

„ყველას ჯიბრზე წინანდებურად აღარ დავლევ, — წერს იგი გ. ა.-ს ერთი წლის შემდეგ. — ვიქნები თვინიერი და თავაზიანი. სიერთოდ მინდა ყველანი განვაცვიფრო. ძალიან აღარ მომწონს, რასაც ჩემზე ყველანი ფიქრობენ. ფეხებიც არ მომჭამონ. გაზაფხულზე, როცა ჩამოვალ (მოსკოვში), არავის ახლოს არ მივიკარებ. ღმერთო ჩემო, რა სულელი ვიყავი. ყველაფერი ეს იყო ახალგაზრდობასთან გამოთხოვება. ახლა ასე აღარ მოვიქცევი“.

როცა ბათუმში ესენინთან ერთად ვიყავი, ვხედავდი რა ადვილად და ნაყოფიერად მუშაობდა იგი იმ დღეებში.

ეს იყო ქარბუქამდე რამდენიმე ხნით ადრე.

ესენინი გაცივდა, აუტყდა ძლიერი ხველა და ფრიად სერიოზულად მარწმუნებდა, რომ მას ყელის ჭლექი შეეყარა და მალე მოკვდება.

სასტუმროში ჩვენ ოროთახიანი ნომერი გვეკავა: ერთი ფანჯარა ეზოსკენ იყო მიქცეული, მეორე უფანჯრო იყო, ჩვენ აქ ვიძინებდით.

ამ ბნელ საძინებელ ოთახში ლოგინში ხიხინებდა და ბორგავდა ავადმყოფი ესენინი.

მე წინა ოთახში ფანჯარასთან ვიჯექი და რაღაცას ვწერდი.

უცებ ჩემამდე მოაღწია ოდნავ გასაგონმა ხმამ:

— კოლიუშა, მომეცი ერთი ფურცელი ქაღალდი და ფანქარი...

მე წავუღე ქაღალდი და ფანქარი, თან ვერ გამეგო, რაში გამოადგებოდა ესოდენ მძიმედ დაავადებულ კაცს ისინი?

სრულ სიჩუმეში გავიდა ნახევარი საათი... შემდეგ შემომესმა ჩემი მეგობრის წყნარი ხვრინვა. — მადლობა ღმერთს, — გავიფიქრე, ცოტას წაიძინებს და გაუვლის ეს მოჩვენებითი სისულელე. აკი ექიმმა უთხრა, მხოლოდ უბრალო ანგინა გაქვსო.

როგორც მოველოდი, საღამოს ესენინი, თითქოს აქ არაფერიაო, ლოგინიდან წამოდგა და განაცხადა, რომ სურვილი აქვს ჭამოს. მოვიდა პოვიცკი, მას ვიღაც მოჰყვა და ჩვენ შევუდექით ჩაის სმას, თან ბლითსა და თაფლს ვატანდით.

სერგეის უცებ რაღაც მოაგონდა, შევიდა საძინებელ ოთახში, მოიტანა ნაწერი ქაღალდი და მთხოვა, წაიკითხეო.

ეს იყო დასაწყისი დიდი ლექსისა „ყვავილები“, რომელსაც შემდეგ ესენინმა „ფილოსოფიური“ უწოდა.

იგი ასე იწყებოდა:

მეთხოვებიან ყვავილები — „ველარ
გვიმღერებ“,
თან სინანულით ულამაზეს თავს დაბლა
ხრიან,
„არყის ხეების ვერ მოისმენ საამო
შრიალს,
ველარ იხილავ მშობელ კერას,
მშობლიურ ველებს“.
ო, საყვარელნო! მერე რაა, არ მენანება!
მე თქვენ გიხილეთ, ვნახე მიწა და მისი
მადლი.
კუბოს წინაშე ამ საზარელ აკანკალებას
მე მხოლოდ ახალ ალერსად ჩავთვლი...

საკმაოდ დიდი ლექსი, დაწერილი უდიდესი ლირიკული სიწრფელით, აღსავსე იყო იმ ადამიანის ღრმა და ნათელი კაეშნით, რომელიც უკვე საიდანღაც შორიდან მადლიერი თვალით შეცქერის მიწას, რომელსაც უნდა გამოეთხოვოს...

ამ ლექსების კითხვისას არ შეიძლებოდა გული არ შეკუმშოდათ.

სრულიად შეუძლებლად მოგეჩვენებოდათ: ავადყოფმა, სულიერად დაცემულმა, ფიზიკური ტკივილებით გაწამებულმა კაცმა, რომელიც იწვა ბნელ ოთახში, სადაც ჰერზე ერთადერთი ელამი ნათურა ენთო, აიღო და სავსებით შეუსწორებლად დაწერა შესანიშნავად გამოძერწილი რამდენიმე ათეული სტრიქონი ლექსისა, ჭეშმარიტ შედევრებს რომ მიეკუთვნება!

ნამდვილად კი უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სტრიქონები მის ცნობიერებაში წარმოიშვნენ უდიდესი და რთული მუშაობის შედეგად, როცა პოეტი ზეპირად თხზვის დროს არა მარტო საჭირო სიტყვებს ეძებდა, არამედ ედაებოდა კიდევაც თავის თავს, იგონებდა ასობით ვარიანტს, ყურს უგდებდა თვითეული სტრიქონის ან რითმის ნაირნაირ ჟღერას.

როგორც ანტიკური დროის მათემატიკოსი, პოეტი იხსომებდა ყოველ ვარიანტს, ყოველი ახალი ნაწილის შესატყვისობას, მეხსიერებაში მტკიცედ ინახავდა მთლიან ქმნილებას, მის თვითეულ უმცირეს დეტალს და, ამგვარად, აგებდა თავის ფორმულას.

რა ჯოჯოხეთურად რთული და თავისებური მუშაობაა, რა არაადამიანური დაძაბულობაა, აზროვნების ყველა საშუალების რა მშვენიერი შეხმატკბილებაა!

როცა საერთო ჩანაფიქრმა პოეტური სახეების ხორცი შეისხა და სული ჩაიდგა, ჩნდება ქაღალდი და ზედ ლექსი ისე იღვრება, როგორც ბადაგი პირთამდე სავსე თასიდან.

ასე წარმოიდგენია მე პოეტური შემოქმედების ის იდუმალი პროცესი, რომელიც ესენინ ჩემს თვალწინ გაიარა.

* * *

ესენინი თითქმის ყოველთვის „წერდა“ ზეპირად.

იგი თვითონ აღიარებდა:

ბევრი რამე ჩუმად მიფიქრია,
ბევრი ლექსი მიმღერია გულში...

ან კიდევ:

...დავეხეტები ვით მაწანწალა,
და თავში მომდის სულელური და ფუჭი
ლექსი...

ჯერ კიდევ ყმაწვილობისას სოფელში ესენინს შეარქვეს „Поника“ („თავჩაქინდრული“), რადგან იგი თავჩაქინდრული ხეტიალობდა მინდვრებსა და ტყეში, გატაცებული იყო ცნობიერებაში აღმოცენებულ სახეებსა და ბგერებზე მუშაობით.

თბილისში, როცა ერთად ვცხოვრობდით, ხშირად, სეირნობიდან დაბრუნებული, მიუჯდებოდა მაგიდას, სტრიქონ-სტრიქონ გადაჭქონდა ქაღალდზე უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ლექსი, რომელსაც შემდეგ არასოდეს არ აკარებდა კალამს, თუნდაც იმისათვის, რომ გამორჩენილი ასო ჩაეწერა. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ რაკი ლექსი „ქაღალდზე აღბეჭდილია“, თავისად აღარ თვლის და, ასე გასინჯეთ, ავიწყდება კიდევაც იგი.

მაგრამ არა! ლექსები განუყოფელად რჩებოდნენ მის მეხსიერებაში, ისინი თითქოს მის ნაწილად იქცეოდნენ.

კოლოსალური მეხსიერება ესენინს საშუალებას აძლევდა ზეპირად ხსომებოდა რამდენიმე წლის მანძილზე შექმნილი თითქმის ყველა ნაწარმოები.

1925 წელს მოსკოვში, როცა სადღაც დაიკარგა ჯერ კიდევ ბათუმში დაწერილი პოემის „ანა სნეგინას“ ტექსტი, ხოლო რედაქცია სასწრაფოდ ითხოვდა ხელნაწერს, ასაწყობად, ესენინი დაჯდა და, ისე რომ სკამიდან არ ამდგარა, სიტყვასიტყვით ჩასწერა მთელი თავისი პოემა.

უნებლიედ დაფიქრდებით ესენინის ამ თვისებაზე, როცა ათვალიერებთ, ვთქვათ, პუშკინის ან ლერმონტოვის ხელნაწერებს, რომლებსაც აჩნევიათ გულმოდგინე მუშაობის კვალი: მრავალი შესწორება, გადაადგილება, ამოღებული სიტყვები... ჩვენ ვიცნობთ „ბრინჯაოს მხედრის“ შესავლის მეცამეტე ვარიანტს, რომელშიც პირველი ვარიანტის ხუთასი სიტყვიდან ორი მეათედიღა დარჩა.

და განა ცოტანი იყვნენ და არიან პოეტები, რომლებსაც არ შეუძლიათ მუშაობა, ვიდრე

ქალალდის ფურცელს არ დაინახავენ და ხელში კალამს არ აიღებენ!

ესენინს იშვიათი მეხსიერების წყალობით შეეძლო ეთხზა ქვეყანაზე სულ რომ არ ყოფილიყო არც ქალალდი და არც საწერი მოწყობილობა, — შეეძლო აგრეთვე გულდასმით ემუშავნა თვითეულ სიტყვაზე, თვითეულ სტრიქონზე. იგი იმღერებდა თავის ლექსებს, როგორც ჰომეროსი, და არასოდეს დაეშრიტებოდა სიმღერის წყარო.

კავკასიაში ყოფნისას ხუთ თვეში ესენინმა დაწერა ოცდაცამეტი ნაწარმოები: ცხრა დიდი და პატარა პოემა, ოცდასამი ლექსი და ერთი სტატია.

მეტად ნაყოფიერი პერიოდია!

ეს ნაყოფიერება განსაკუთრებით განსაცვიფრებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ნაწარმოებთა მცირე რაოდენობას, რაც წინა წლებში დაიწერა. ათი ლექსი 1923 წელს, სამი — 1922 და ორი — 1921 წელს.

კავკასიაში პოეტმა შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებმაც არა მარტო დიდი წარმატება მოუპოვეს, არამედ მყისვე ჩააყენეს საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო პოეტების რიგში.

ეს ნაწარმოებები იდეური და მხატვრული თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებიან ყველა ადრე დაწერილ ნაწარმოებთაგან.

როცა მათ კითხულობთ, გჯერათ, რომ ესენინი, რომელიც გაურბოდა თავის „...მტრებს და მეგობრებს“ კავკასიაში, არა მარტო ცდილობდა „ფუჭი სევდის დავიწყებას და ბოჰემის მიტოვებას“, არამედ ლამობდა დიდ პოეტურ ჩანაფიქრთა განხორციელებას. ამ ხანებში იგი წერდა „...ჩემში მომწიფდა პოეტი დიდი ეპიკური თემით“.

კავკასიაში გამგზავრებისას მან თითქოს დასწვა ყველაფერი, რაც წარსულთან აკავშირებდა.

მხოლოდ ამგვარი შეგრძნებით აიხსნება, რომ მან იმდროინდელი პოეტების ერთი ნაწილი მეტად უარყოფითად შეაფასა:

...ისინი ცივი მზით მწიფდებიან,
ცოდვილობენ და ხეირიანად
ქალალდზე თხუთმეტიც არ შეძლებიათ

და შემდეგ ეს ლექსი („კავკასიაში“), რომელიც ერთ-ერთია თბილისში პირველად დაბეჭდილ ლექსთა შორის, გრძელდება ასეთი სტრიქონებით:

ო, მაპატიე, კავკასიავ, ხსენება მათი,
სულ უნებლიედ წამომცდა, მენდე.
ჩემს რუსულ ლექსსაც შენებური აღირსე
მადლი,
რომ მარად შინდის წვენივით ჩქეფდეს.

შინდის წვენი მუქი წითელი და ცხარეა. ესენინმა იცოდა, რომ ძველად ამ წვენს კავკასიაში სვამდნენ ბრძოლის წინ, მიაჩნდათ, რომ იგი სისხლს აღვიძებს, მტრისადმი ზიზღს აღძრავს და ძრობას აღუღაბებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწორედ ამას ეძებდა პოეტი კავკასიაში და არა ისეთ სიმღერებს, რომლებზეც პუშკინიც უარს ამბობდა:

ო, ნუ მიმღერი ლამაზო ქალო,
მაგ კაეშნიან ქართულ სიმღერას..

ლექსში „ქართველ პოეტებს“ ესენინმა გადაჭრით განაცხადა, რომ თუმცა ზოგიერთს ჰგონია, თითქოს „კლასიკური ფორმა მოკვდა“,

მაგრამ დღეს,
დიად ჩვენს ეპოქაში,
მე მას მივუშვი
ისევ სადავე.

ამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმ პოეტს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ დაწერა პოემები: „დაბრუნება სამშობლოში“, „საბჭოთა რუსეთი“, „სიმღერა დიად ლაშქრობაზე“...

მაგონდება ამ თემაზე მასთან საუბარი თბილისში.

— ახლა,—ამბობდა იგი,— მე უბრალოებისა და ნათელი აზრის მომხრე ვარ! სახე თვითმიზანი როდია. მისი მოვალეობაა გზა გაუკაფოს იდეურ შინაარსს. აი ამას ვიცავ მე ახლა მტკიცედ!

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ესენინი ჯიუტად იქნევდა თავს, თითქოს უხარიაო, რომ დაბოლოს მოიპოვა აზრის აშკარად გამოთქმის უფლება და საშუალება.

ამაზევე წერდა იგი თავის მეგობრებსაც მოსკოვში.

— ო, არ მინდა ეს სულელური, მყვირალა დიდება,—წერდა იგი გ. ა. ბენისლავსკაიას 24 ოქტომბერს ბათუმიდან. — არ მინდა აწკარედი წარმატება. მე გავიგე, რა არის პოეზია... და მშვიდად ვამბობ: „რა საჭიროა, განა ისეც არ ვართ ტიტვლები? ამიერიდან მინდა ზმნებით შევქმნა რითმები“. ფორმას კიდევ უფრო მკაცრად ვეკიდები. ოღონდ უბრალოებას მივაღწიე“.

1924 წლის შემოდგომაზე გაზეთ „პრავდაში“ ჟურნალ „კრასნაია ნოვის“ მორიგ ნომერზე მოთავსებულ რეცენზიაში ეწერა:

„ყველა ლექსს შორის უნებლიედ ყურადღებას იპყრობს ს. ესენინის შესანიშნავი ლექსები. ხანგრძლივი და დაუცხრომელი ძიების შემდეგ ავტორი მიუახლოვდა პუშკინს. მისი „სამშობლოში“ და „საბჭოთა რუსეთი“ ნამდვილად დიდი პოეტის გავლენითაა დაწერილი. ძლიერებითა და ამასთან გასაოცარი უბრალოებით განსაკუთრებით წარმტაცია ლექსი „საბჭოთა რუსეთი“.

1925 წლის ოქტომბერში, თითქოს თავის მოსაზრებებს აჯამებსო, ავტობიოგრაფიაში მან განაცხადა:

„ფორმის განვითარების თვალსაზრისით ახლა ყველაზე მეტად პუშკინი მიზიდავს“.

* * *

კიდევ ერთი რამ, რაც ესენინმა კავკასიაში გამოავლინა, — ეს არის ერთა შორის მეგობრობის გრძნობა.

მისი მიმართვა ქართველი პოეტებისადმი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც მთელი ქართველი ხალხისათვის მაგრად ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი:

ძველი რუსეთის
თვითმპყრობელობა
სპობდა სიკეთის ნერგს
გაფთრებით.
იგი დაამხო ხალხთა
ერთობამ,
თავისუფლებამ
გაშალა ფრთები.
...საუკუნენი გაივლიან,
სხვადასხვა ენა
შეირწყმება და
ქვეყნად ერთი ენა იქნება,
ისტორიკოსებს, წიგნის წერას რომ
დაიწყებენ,
ჩვენს სხვაობაზე გაეცინებათ.

ამას ამბობდა კაცი, რომელიც წინათ არასოდეს არ ეხებოდა თავის ნაწარმოებებში ინტერნაციონალიზმის საკითხებს.

როცა ჩამოვთვლით იმ სიახლეებს, ესენინს კავკასიაში რომ ჩამოჰყვა, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს მის დამოკიდებულებას „რკინის სტუმრისადმი“, რომელზეც მან ასე ძლიერად მოგვითხრო „სოროკოუსტში“.

ახლა პოეტი აღსავსე არის „ინდუსტრიულ ძალაზე ფიქრით“. იგი წერს:

არ ვიცი, არა, თუ რა მომელის...
გამოვადგები ცხოვრებას ახალს?
მინდა ფოლადის იყოს მფლობელი,
მინდა რუსეთი ცხოვრობდეს ლუქსულად
და როცა ვისმენ მოტორის ყეფას,
მე აღარ მახსოვს გრიგალთ გრიალი,
აღარასოდეს არ მომინდება,
რომ შემომესმას ფორნის ჭრიალი.

1924 წლის პირველ ნახევარში, როცა დაუახლოვდა მთელ რიგ მარქსისტებს, ინახულა საბჭოთა სოფელი მკვეთრად შეცვლილი ყოფით, დაათვალიერა ბაქოს ნავთობის სარეწები, — ესენინი ბევრ რამეს ჩაუფიქრდა.

დიდი ბუნებრივი ჭკუის პოეტი, რომელსაც გლეხურად სწრაფად გამოჭქონდა პრაქტიკული დასკვნები, მწიფდებოდა არა მარტო დიდი ეპიკური თემისათვის, არამედ სინამდვილის უფრო ნათლად გაგებისთვისაც.

არა თავისთავად კავკასიამ, არამედ უფრო ადგილმა, სადაც ყველაფერი სხვანაირი იყო — ხალხიც და გარემოც, სადაც ამასთან ბევრი რამ იყო მშობლიური, რუსული, — მისცა საშუალება მშვიდად ეფიქრა, მოეკრიბა გონება, მწყობრად და პოეტურად გადმოეცა ფიქრებისა და განწყობილებათა ის ნაფლეთები, რომლებიც მანამდე გროვდებოდნენ და გამოსავალს ეძებდნენ.

„ჩემი გზა, რა თქმა უნდა, ახლა დახლართულია. მაგრამ ეს — გარღვევაა“, — სწერდა იგი საქართველოდან გ. ა. ბენილავსკაიას.

სიტყვაში „გარღვევა“ ესენინი გულისხმობდა სწრაფ ნახტომს ახალი თვისებრიობისაკენ.

საბჭოთა სინამდვილესთან პოეტი არავითარ უთანხმოებას არ გრძნობდა და შეგნებულად, მხურვალედ მიისწრაფოდა სიახლისაკენ, ნათელისაკენ, სიცხადისაკენ. იგი უკვე ხედავდა, ხელშესახებად გრძნობდა ახალ ცხოვრებას, თუმცაღა იმ წლებში სოციალისტური ხუთწლედები მხოლოდ ისახებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხიხანის ძახილი“

რუსეთის კონსული თურქეთში 1858 წელს თავის მთავრობას სწერდა: „ბათუმი ფლობს პატარა, მაგრამ უშიშარ და იმდენად მოხერხებულ ნავსადგურს, რომ ჩვენი გემები თვით ნავსადგურთან ჩერდებიან. ამასთანავე ის მდებარეობს სპარსეთის სატრანზიტო გზაზე, რომელიც მხოლოდ იმიტომ გადიოდა ტრაპეზუნტზე, რომ ბათუმის სანაპიროები არ იყო მშვიდობიანი. მომავალში კავკასიაზე ტრანზიტის გაყვანის შემდეგ ბათუმი ტრაპეზუნის ადგილს დაიჭერს, მით უფრო, რომ ნავსადგურის მოწყობა ფოთში (თუ ეს მოსახერხებელია) ბევრ დროსა და ხარჯებს მოითხოვს, მანამდე კი ბათუმი წარმატებით მიეკუთვნება კავკასიის ტრანზიტს, **უკეთუ თურქეთის მთავრობა შეძლებს აჭარის საბოლოო დამშვიდებას“.**

მაშასადამე, ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებშიც კი აჭარა არ იყო თურქეთის მიერ საბოლოოდ დამორჩილებული.

თურქი სატრაპების წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის მრავალრიცხოვანი აჯანყებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის აჯანყება, რომელსაც სელიმ ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს იმიტომ, რომ მას დასრულებული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. სელიმს სიკვდილის დასჯის წინაც ღრმად სწამდა, რომ აჭარა თურქეთის მფლობელობაში არ დარჩებოდა.

ამ რწმენამ სელიმ ხიმშიაშვილი სავსებით სამართლიანად აქცია აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შესანიშნავ ორგანიზატორად. ამდენად მისასალმებელია ფრიდონ ხალვაშის გაბედულება, როცა განიზრახა დრამატურგიულ ნაწარმოებში მოეცა სელიმ ხიმშიაშვილის ღრმად პატრიოტული ვაჟკაცური სახე, ეჩვენებინა მისი ხელმძღვანელობით წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები. ეს, რა თქმა უნდა, ძნელი და რთული ამოცანა იყო, მით უმეტეს, რომ ფრ. ხალვაში პოეტია და პირველად სცადა კალამი დრამატურგიაში. მიუხედავად ამისა, პიესა საერთოდ ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, თუმცა შესამჩნევია ცალკეული ნაკლოვანებები. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ისტორიული ფაქტი ფრაგმენტულადაა ნაჩვენები, ამასთან, თუმცა მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცულია, მაგრამ ბევრი მათგანი მოითხოვდა მეტ მხატვრულ დახვეწას. სადავოა ზოგიერთი საკითხიც. დრამატურგი ცდილობს გვაჩვენოს ტყვეებით ვაჭრობის ბარბაროსული ჩვეულება (ესმე შიშს გამოთქვამს — მირზა კვლავ შეეცდება ჩემს გატაცებას და სტამბულის ბაზარზე ამოვყოფო თავს), მაგრამ ავიწყდება, რომ მუსლიმანური რელიგია კატეგორიულად კრძალავდა მუსლიმანი ტყვეებით ვაჭრობას. ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია ისიც, რომ პიესის დასაწყისში თურქი იანიჩრები მოსახლეობას არბევენ... მჭადისათვის.

პიესა დადგეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა შ. ინასარიძემ და გ. მრავლაძემ. მართალია, მათ ბევრი უმუშავნიათ სპექტაკლის სრულყოფისათვის, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა უფრო მეტის გაკეთება. მთელი რიგი სცენები დასახვეწია, ზოგიერთი სახე რეჟისორულ დასრულებას მოითხოვს. ფერმკრთალად გვეჩვენება მასობრივი სცენები, ან კიდევ ხელოვნურად (მაგალითად, სცენა გურიაში, წყალთან) და ა.შ.

სელიმ ხიმშიაშვილის როლში მაყურებელმა ნახა მსახიობი მ. ხინიკაძე. იგი საკუთარი ხმის მქონე ნიჭიერი არტისტია. საყოველთაოდ ცნობილია მისი კარგი გარეგნობა, შესანიშნავი დიქცია, სახის გაგებისა და გახსნის მხატვრული ნიჭი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მ. ხინიკაძეს სელიმის როლი არათანაბრად მიჰყავს. მსახიობი შესანიშნავი და შეუდარებელია ფინალურ სცენებში, მაგრამ რამდენადმე

სქემატურია პირველ მოქმედებაში, სადაც მის თამაშს, ჩვენი აზრით, გმირის ცეცხლი აკლია. ვფიქრობთ, მსახიობს კიდევ მოუხდება მუშაობა, რათა სელიმის სახე ისეთივე მხატვრულ დონეზე აიყვანოს, როგორზეც დგას მისი მეფე ერეკლე.

დაუთის დამაჯერებელი მხატვრული სახე შექმნა ი. ზოიძემ. შეიძლება ითქვას, რომ ამ როლში მსახიობმა მოლოდინს გადააჭარბა. მისი დაუთი გულმართალი, პირდაპირი, ვაჟკაცური და სამშობლოს ღრმად მოსიყვარულე გლეხია. განსაკუთრებული უბრალოებითა და დამაჯერებლობით მიჰყავს მას ფინალური სცენა. ი. ზოიძის მოძრაობა, ხმლის მოქნევა, შვილის დაკარგვით დამწუხრებული გულის ყოველი ამონაკვნესი ეხმაურება დიდი ვაჟას უკვდავ სტრიქონებს:

სიცოცხლეს აუგიანსა,
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.

როგორც ცნობილია, სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟის მეუღლე გურიელის და იყო. ამ მოყვრობაში კონკრეტული გამოხატულება პოვა სელიმის მისწრაფებამ — ახლო ურთიერთობა ჰქონოდა „დიდ მიწასთან“ — საქართველოსთან. უპირველეს ყოვლისა მეზობელი გურიის მეშვეობით.

გურიელის ქალიშვილის ელენეს როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ნ. საკანდელიძე. მისი ელენე — ეს არის კარგად აღზრდილი, სამშობლოს ღრმად მოყვარული და გონიერი ქართველი ქალი. მან იცის, რომ მისი და ხიმშიაშვილის ვაჟის სპეტაკ სიყვარულს ორგანულად ერწყმის დაუცხრომელი ზრუნვა აჭარა-გურიის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის. არტისტული სითბო და სიღრმე, უბრალოება და სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილური გრძნობა ახალგაზრდა მსახიობს მომზიდველსა და ახლობელს ხდის მაყურებლისათვის.

კარგია ვ. დოლიძის ნაზიმი. დოლიძე მზარდი მსახიობია და მისგან ბევრს მოელის ბათუმელი მაყურებელი.

როგორც პიესაში, ისე სპექტაკლში რამდენადმე სადავოა სელიმის თანაშემწის მირზას სახე.

სელიმ ხიმშიაშვილის აჯანყების შესახებ არსებული მასალებით ცნობილია, რომ ხირხათის ციხის ალაყაფის კარები სერასკირ ბაბაფაშისათვის გაუღია სელიმის ყველაზე ახლობელ ადამიანს. სამწუხაროდ, ამის თაობაზე უფრო ზუსტი ცნობები არ შემონახულა და ჩვენ არ ვიცით, რა ადგილი ეკავა სელიმის ამ ახლობელ ადამიანს საფაშოს კარზე. და აი მირზას სახით დრამატურგს უცდია გამოეკვეთა მოღალატის მდგომარეობა და დამოკიდებულება სელიმთან.

მირზა ახალციხის საფაშოს „კაფუჯი-ბაში“ და სელიმის თანაშემწეა. მაგრამ საეჭვოდ ჩანს, რომ სელიმს დაეახლოებინოს და თავის საყვარელ თანაშემწედ გაეხადოს ისეთი პიროვნება, როგორიცაა მირზა. მან თურმე თოფის სროლაში აჯობა სელიმს და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სელიმს იგი ახალციხის საფაშოს მეორე კაცად ექცია. ეს საეჭვოა, კიდევ მეტი, დაუჯერებელია. რა თქმა უნდა, ისტორიული ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს ზოგჯერ არ დაიცვას ისტორიული სიზუსტე, მაგრამ, ჩვენი აზრით, დრამატურგს ამ შემთხვევაში უღალატა ზომიერების გრძნობამ.

მირზას როლის შემსრულებელი გ. ახვლედიანი ნიჭიერი და ტემპერამენტიანი მსახიობია, მაგრამ მას მისცეს მოღალატის მხატვრულად დაუხვეწავი როლი და მთელი იმედები მსახიობის ნიჭზე დაამყარეს. ამიტომ მისი მირზა ზედმეტად დრამატული აღმოჩნდა.

მსახიობი ხ. მიქელაძე არაერთხელ უნახავს ბათუმელ მაყურებელს დარბაისელი პატრიოტი ქართველის როლში (სახლთუხუცესი „მაია წყნეთელში“ და სხვ.). რეალური და სარწმუნოა მისი იოსებ მიჩკარბაშიც სარეცეზნიო სპექტაკლში.

ვერ დავეთანხმებით ახალგაზრდა მსახიობ ს. ახალაძეს სულიკოს სახის გაგებაში. საკუთარი ინიციატივით იგი რატომღაც ცდილობს აჭარული კილოთი ილაპარაკოს, მაგრამ სინამდვილეში მისი კილო უფრო მოხევური. გარდა ამისა, ახალაძის სულიკო რამდენადმე სენტიმენტალურია და ჩრდილავს სულიკოს — გაბედულ გმირსა და გულისხმიერ სატრფოს.

კარგია ესმეს როლში მსახიობი თ. სულხანიშვილი.

სპექტაკლში თავიდანვე იგრძნობა, რომ მასზე მიტმასნულია მურთაზ-ბეგისა და ყედრეფენდის როლები (გ. იმნაიშვილი, ი. კაიკაციშვილი). მათი უსიტყვო მიზანსცენები, აჩქარებული ფუსფუსი, უადგილო შეძახილები უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მაყურებელს.

სადავოდ მიგვაჩნია სელიმთან შეფარებული თურქი იანიჩრის მუსტაფას მხატვრული სახე, რომელიც მსახიობმა გ. დობორჯგინიძემ შექმნა. მუსტაფას სახით დრამატურგს ის სურდა ეთქვა, რომ სელიმი და მისი მომხრეები თურქ ხალხს კი არ ებრძოდნენ — ისინი ძალმომრეობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და მათთან შეფარებულ ყველა დაჩაგრულს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ადამიანურად ეპყრობოდნენო. თავისთავად, ეს ახალი რამ არ არის ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ, სამწუხაროდ, გ. დობორჯგინიძის იანიჩარი მუსტაფა იმდენად უსუსურია, რომ სიბრალულს იწვევს, სიბრალული კი არ იყო დრამატურგის მიზანი.

ზედმეტად გაბარჟებულია ახალგაზრდა მსახიობ მ. შერვაშიძის იანიჩარი. თურქი იანიჩრები ისეთი უსუსურები რომ ყოფილიყვნენ, როგორაც მსახიობმა გვაჩვენა, მათი დამარცხება როდი მოითხოვდა ამდენ აჯანყებასა და სისხლს.

კარგია სპექტაკლის მხატვრობა (მხატვარი დ. იმნაშვილი), თუმცა ზოგიერთი კოსტიუმი სადავოა, განსაკუთრებით თურქი იანიჩრებისა.

ეფიქრობთ, მუსიკა მოიგებდა, რომ კომპოზიტორ ალ. ფარცხალაძეს გამოეყენებინა მხოლოდ იმდროინდელი მელოდიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, ერთი შეხედვით თითქოს ფორმალური, არსებითი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი კითხი: დაუდევრადაა შედგენილი პროგრამა, მასში დაშვებულია უხეში შეცდომები.

საერთოდ სპექტაკლი „ხიხანის ძახილი“ ბათუმის თეატრის კარგი შენაძენია და მაყურებელმა იგი გულთბილად მიიღო.

ჯ. ჩხეიძე.

სპექტაკლი ახალგაზრდობის შესახებ

„გზაჯვარედინთან“ — ასე ჰქვია ახალგაზრდა დრამატურგის ალ. ჩხაიძის პიესას, რომელიც ამას წინათ დადგა ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა და ლენინური კომკავშირის სახელოვან ორმოცი წლისთავს მიუძღვნა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა დრამატურგმა და თეატრმა ძირითადად დაძლიეს მათ წინაშე მდგომი რთული ამოცანა და სწორად, ცხოვრების განვითარების მთავარი ტენდენციის შესაბამისად გადაწყვიტეს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, საკითხი ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ. სპექტაკლი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა საშუხარო შედეგი მოსდევს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ყოველგვარ უგულებელყოფას, უსაქმურობას, პარაზიტულ ცხოვრებას, და ამით ეხმარება ახალგაზრდობას სწორად განსაზღვროს თავისი მომავლის გზა. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი დაიდგა იმ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი გულისყურით განიხილავდა ცნობილ თეზისებს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების თაობაზე.

სპექტაკლის ძირითადი იდეა, მისი პათოსი მხატვრულ განსხეულებას პოულობს უმთავრესად ორი პერსონაჟის — თენგიზისა და გელას დაპირისპირებათ.

თენგიზი (მსახიობი ს. ახალაძე) საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტს სიმწიფის ატესტატით წავიდეს ქარხანაში სამუშაოდ, სწავლა კი განაგრძოს დაუსწრებელ განყოფილებაზე და ასეც იქცევა. მალე იგი ერთ-ერთი მოწინავე ადამიანი ხდება — მას აქებენ კადრის მუშები, მის შესახებ წერენ გაზეთები. თენგიზი კმაყოფილი და ბედნიერია, მან აირჩია ცხოვრების სწორი გზა.

სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვაგვარად ესახება თავისი მომავალი თენგიზის თანაკლასელ გელას (მსახიობი გ. გოგიბერიძე). ისევე, როგორც ყველა ახალგაზრდას, მასაც სურს გახდეს სამშობლოსათვის სასარგებლო, სახელოვანი ადამიანი, მაგრამ შეცდომით ფიქრობს, თითქოს ამ მიზანს ვერ მიაღწევს ქარხანაში მუშაობით — „აბა დღეს ვის გააკვირვებ ნორმების გადამეტებით შესრულებით?!“ გელას იტაცებს მწერლის პროფესია, მაგრამ ავიწყდება, რომ მწერალმა ძლიერ კარგად უნდა იცოდეს ცხოვრება, ცხოვრების ცოდნა კი მხოლოდ იმას გააჩნია, ვინც მის შუაგულში ტრიალებს, ვისაც აქვს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობის მდიდარი ბიოგრაფია. ეს არის გელას პირველი და ძირითადი შეცდომა, რასაც მოსდევს სხვა შეცდომებიც. ვერ ეწყობა რა უმაღლეს სასწავლებელში, იგი თავისდაუნებურად უკავშირდება უსაქმურ ადამიანებს, რომელთა შორისაც არიან საეჭვო ყოფაქცევის პირებიც, ეჩვევა სიცრუეს, ატყუებს საყვარელ დედასაც კი. სწორედ ასეთ პირებთან დაახლოების შედეგად იგი ციხეში აღმოჩნდება, თუმცა უდანაშაულოა და მალე ათავისუფლებენ. ეს შემთხვევა საბოლოოდ აუხელს თვალს გელას, იგი შეიგნებს თავის შეცდომას და გადაწყვეტს მიბაძოს თენგიზს, ჩაებას აქტიურ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, სწავლა კი განაგრძოს დაუსწრებელ განყოფილებაზე.

„გზაჯვარედინთან“ ალ. ჩხაიძის პირველი პიესაა და საკვირველი არ არის, რომ მასში მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე არ არის. სცენის არასაკმაო ცოდნასთან ერთად პიესაში საგრძნობია სქემატიზმი, ამასთან ავტორი არცთუ იშვიათად ყალბ სიტუაციებს ქმნის და ნაკლებად ზრუნავს მოქმედი პირების ამა თუ იმ საქციელის მოტივირებისათვის. გამოცდილ რეჟისორს შ. ინასარიძეს, რომელმაც სპექტაკლი დადგა, ჩანს, სერიოზულად უმუშავნია ახალბედა დრამატურგთან, მაგრამ სპექტაკლს მაინც გადმოჰყვა პიესის ძირითადი ნაკლოვანებანი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პიესის ხასიათი მოითხოვდა მსახიობთა შემადგენლობა უფრო ახალგაზრდული ყოფილიყო. ჩვენი აზრით, ამით სპექტაკლი მხოლოდ მოიგებდა.

როგორც პიესაში, ისე სპექტაკლში ყველაზე

სრულყოფილია გელას მხატვრული სახე. საინტერესოა, რომ მსახიობი გ. გოგიბერიძე ამ როლშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. იგი თამაშობს დინჯ, თავისთავში დარწმუნებულ მეცნეტე ახალგაზრდას, რომელიც, მართალია, ცდება, მაგრამ ცდება გულწრფელად, ჰგონია, რომ სიმართლე მის მხარეზეა და იმის მიხედვით, თუ როგორ მიდის ცხოვრება, თანდათან რწმუნდება თავის შეცდომაში და, ბოლოს, ირჩევს სწორ გზას. მსახიობის თამაშში იგრძნობა ის თავშეკავებული ძალა, რომელიც ბობოქრობს გელას მთელ არსებაში, ეძებს გამოსავალს და პოულობს კიდეეაც მას. მაყურებელს სჯერა, რომ გელა შეძლებს შეასრულოს დანაპირი — ფუჭი მეცნეტებიდან იქცეს მოქმედ, სასარგებლო ადამიანად და მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია და ნიჭი მოახმაროს შრომლიური ხალხის ბედნიერებას და ამით თვითონაც ბედნიერი გახდეს.

საინტერესო მხატვრული სახეა აგრეთვე ზოლდა (მსახიობი ნ. საკანდელიძე). სპექტაკლის დასაწყისში იგი უსაქმური და ფუქსავატი ქალიშვილი ჩანს, მაგრამ შემდეგ ცხადი ხდება, თუ რა კეთილშობილური სული იმალება მასში და რა გაბედული ნაბიჯის გადადგმა შეძლებია მას, როცა ამას ცხოვრება და ადამიანურობა მოითხოვს. ეს არის ოღონდ, მის ქცევას აკლია ფსიქოლოგიური მოტივაცია, რაშიც უპირველეს ყოვლისა ბრალი დრამატურგს მიუძღვის., პიესაში მკაფიოდ არ ჩანს, თუ რამ განაპირობა იზოლდას ფერისცვალება. მართალია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი მიზეზი სიყვარულია, მაგრამ იგი ხომ სპექტაკლში სერიოზულად არ გამოიყურება! მიუხედავად ამისა, იზოლდას მხატვრული სახე უთუოდ საინტერესოა და მსახიობი ნ. საკანდელიძე წარმატებითაც აქანდაკებს მას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალგაზრდა მსახიობის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია ჩვენი თეატრის სცენაზე.

სპექტაკლის სხვა პერსონაჟებიდან ხასიათის გამოკვეთილობით გამოირჩევა გელას დედა თამარი, მით უფრო, რომ მის როლს ასრულებს ჩვენი თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატი ნუნუ თეთრაძე. მსახიობს როლი თავიდან ბოლომდე თანაბრად, ზომიერების დაცვით მიჰყავს და კარგად გადმოგვცემს ერთადერთი ვაჟის უსაზღვროდ მოყვარული დედის განცდებს. ეს განცდები კი საკმაოდ მრავალფეროვანია და ნ. თეთრაძე ყოველთვის ახერხებს გამონახოს შესაფერისი გამომსახველობითი ხერხები.

სამწუხაროდ, დანარჩენი მოქმედი პირები მეტ-ნაკლებად სქემატურია, მათ შორის თენგიზიც, რომელიც მოწოდებულია გადმოგვცეს პიესის ძირითადი ტენდენცია. სცენაზე ნაკლებად ჩანს მისი საქმიანობა, რითაც იგი ცოცხლობს. ამის შესახებ მხოლოდ სხვები მოგვითხრობენ, მაყურებელი მას ვერ ხედავს. აშკარაა, ამ შემთხვევაში დრამატურგმა ძლიერ გაიადვილა ამოცანა — ის კი არ გვიჩვენა, რომ თენგიზის გამარჯვება ნიშნავს გელას დამარცხებას, არამედ, პირიქით, ის გვიჩვენა, რომ გელას დამარცხება ნიშნავს თენგიზის გამარჯვებას. ამის გამო თენგიზი მშრალი რეზონერია და არა ცოცხალი ხასიათი, რაც, ცხადია, ბოჭავს ამ როლის შემსრულებელ ახალგაზრდა მსახიობს ს. ახალაძეს.

კიდევ უფრო სქემატურია მაყვალა, რომელსაც მსახიობი ლ. აფხაზავა ასახიერებს. ეს მხატვრული სახე იმდენად ფერმკრთალია, რომ მსახიობს თითქმის არა აქვს სათამაშო.

შედარებით უკეთ გამოუკვეთავს დრამატურგს მეორე გოგონას — მარიკა ბარბაქაძის ხასიათი და მსახიობი ნ. წერეთელიც ამ როლში უთუოდ მოსაწონი იქნებოდა, რომ არ იმეორებდეს გამომსახველობით ხერხებს სხვა სპექტაკლებიდან.

დაკისრებულ როლებს კეთილსინდისიერად ასრულებენ მსახიობები ხ. მეგრელიძე (არჩილი), შ. გეჯაძე (აბესალომი), ი. ცანავა (გაიოზი), მ. შერვაშიძე (ედუარდი), მ. ნაპირელი (მილიციის რწმუნებული) და სხვ.

კარგია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (მხატვარი ა. ფილიპოვი), განსაკუთრებით პირველი მოქმედებისა. მელოდიურია კომპოზიტორ მ. სებუას მუსიკა.

საერთოდ სპექტაკლი ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, თუმცა შეიძლებოდა მისი უკეთ დახვწა. ალბათ, თეატრს ამაში ხელი შეუშალა დროის ნაკლებობამ, ერთგვარმა აჩქარებამ, რაც შედეგად მოჰყვა მისწრაფებას — უთუოდ კომკავშირის ორმოცი წლისთავის ზეიმის დღეებში ეჩვენებინათ იგი მაყურებლისათვის. რა თქმა უნდა, კარგია, როცა თეატრი ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებას, მაგრამ თუ დრო ძლიერ შემჭიდროებულია და მოცემულ ვადაში სპექტაკლის მომზადება ჭირს, ჩვენი აზრით, უმჯობესია რამდენიმე დღით დავაგვიანოთ მისი გამოშვება, ვიდრე რაიმე მივაკლოთ მას.

ი. ქაშიბაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალთა საჭადრაკო ტურნირი

ისეთი ძლიერი საჭადრაკო ტურნირი ქალთა შორის, რომელიც ორი თვეა, რაც დამთავრდა ხარკოვში, სსრ კავშირში ჯერ არ ჩატარებულა. იგი დიდხანს არ დაავიწყდებათ ჭადრაკის მრავალრიცხოვან მოყვარულსა და გულშემატკივრებს.

ოცდაერთი მონაწილე, ოცდაერთი ტური! — ეს დისტანცია მართლაც მარათონულია, მით უმეტეს ქალებისათვის. ამ ტურნირმა საბოლოოდ შეიმუშავა საერთო გარკვეული აზრი, რომ ტურნირი თვრამეტ მონაწილეს არ უნდა აღემატებოდეს.

მეოცე საკავშირო ჩემპიონატამდე სსრ კავშირში ითვლებოდა ათი ოსტატი მოჭადრაკე ქალი, მათ შორის ცხრა საერთაშორისო ოსტატი. მათგან სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ლიუდმილა რუდენკომ და ცნობილმა მოსკოველმა ოსტატმა ნინო ვოიცეკმა ვერ მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება.

ამრიგად, XX საკავშირო ფინალში მონაწილეობდა რვა საერთაშორისო ოსტატი და ცამეტი უძლიერესი პირველთანრიგოსანი. მათ შორის იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი ელისაბედ ბიკოვა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი ოლგა რუბცოვა, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი კირა ზვორიკინა და ვალენტინა ბორისენკო, საბჭოთა კავშირის 1956 წლის ჩემპიონი იუზეფა გურფინკელი, მოსკოვის ჩემპიონი ოლგა იგნატიევა, ესტონეთის არაერთგზისი ჩემპიონი სალმე როოტარე და სხვ.

ი ასეთი ძლიერი და გამოცდილი მოჭადრაკეების გვერდით იბრძოდა საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მანანა ტოგონიძე, ელისო კაკაბაძე, ნონა გაფრინდაშვილი და ალა ჩაიკოვსკაია.

საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა ამ უძლიერესთა ტურნირში პირველი დღიდანვე გაათქვეს სახელი. კენჭისყრის შედეგად ისინი პირველ ტურში შეხვდნენ რსფსრ ოთხ წარმომადგენელს და ეს ერთგვარი თავისებური მატჩი დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალების ბრწყინვალე გამარჯვებით — ანგარიშით 3 : 1.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რსფსრ ოთხი მოჭადრაკე ქალი თექვსმეტჯერ შეხვდა საქართველოს მოჭადრაკე ქალებს და ეს პასუხსაგები მატჩი დამთავრდა ანგარიშით 12:4 ქართველი მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

როგორც მკითხველებისათვის უკვე ცნობილია, ნონა გაფრინდაშვილი ტურნირს თავიდანვე სათავეში ჩაუდგა და მხოლოდ ფინიშზე ავადმყოფობამ არ მისცა საშუალება უფრო მაღალი ადგილი დაეკავებინა. იგი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულ ზვორიკინასა და ვოლპერტს და 13,5 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ნონამ ყველაზე მეტი —ათი გამარჯვება მოიპოვა. მისი პარტიები აგებული იყო ღრმა გაანგარიშებასა და პოზიციის კარგ ცოდნაზე. მთელი რიგი პარტიები მან მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა, მაგალითად, გურფინკელთან, ტიხომიროვასთან, სტრანდსტრემთან და სხვებთან.

ხარკოველებმა მალე შეიყვარეს ნონას გაბედული, საზრიანი თამაში და მთელი ყურადღება მის პარტიებზე გადაიტანეს.

ჩვენი მოჭადრაკე ქალები ხარკოვში დიდძალ მილოცვის დეპეშებსა და წერილებს იღებდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ერთ წერილზე ასეთი მისამართი იყო: „ხარკოვი, ნონა გაფრინდაშვილს“. იგი სატურნირო დარბაზში მოიტანა წერილის დამტარებელმა და პირადად ნონას ჩაუბარა. განსაკუთრებით ბევრი წერილი გამოგზავნეს ქართველმა სტუდენტებმა. ერთი მათგანი ასე იწყებოდა: „ძვირფასო დებო მანანა, ელისო, ნონა და ალა! ჩვენ ვამა-

ყობთ თქვენით. მუდამ გახსოვდეთ, რომ ჩვენ, ქართველი სტუდენტები, და ბევრი სხვა ერის სტუდენტებიც, მოუთმენლად ველით რადიოსა და გაზეთების ცნობას თქვენი გამარჯვების შესახებ. ძვირფასო დებო! მანანა, ელისო, ნონა და ალა! ჩვენთვის სულერთია რომელი თქვენგანი გაიმარჯვებს. ჩვენ ყველას თქვენი სახელები ერთნაირად გვახარებს.

ძვირფასო დებო! ყველა თქვენს გამარჯვებას ჩვენ ფრიადზე სწავლით ვუპასუხებთ".

ჩვენს სასტუმროში იყო გენერალ-მაიორი ვლადიმერ მიხეილის-ძე ტოლსტოი. იგი მოვიდა სპეციალურად ნონას გასაცნობად. მან თქვა: „ნონა — ეს მსოფლიო ჩემპიონობის პირველი კანდიდატია. გადაეცით ქართველ ხალხს ჩემი დიდი მადლობა იმისათვის, რომ ასეთი ტალანტი გვაჩუქაო".

მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნონას თამაშს მსოფლიოს ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კირა ზვორიკინა.

ზვორიკინა საერთოდ ძალზე ენამახვილია. ერთხელ მან იოხუნჯა: „მე ყველა ჩემს ჩემპიონობას, ყველა სპორტულ ოქროს მედლებს, მათ შორის ბელგიის დედოფლის ელისაბედის მიერ ნაჩუქარ ოქროს მედალს (რომელიც მან მიიღო 1957 წელს მსოფლიოს I გუნდურ შეჯიბრებაზე ყველაზე მეტი მოგებისათვის) ვცვლი ნონას 17 წელზეო". ტურნირში კიდევ იყო 17 წლის ორი მონაწილე, მაგრამ ზვორიკინამ ხაზი გაუსვა —„მხოლოდდამხოლოდ ნონას 17 წელზეო".

ასეთი დიდი წარმატებებისა და იმისათვის, რომ ექვს საერთაშორისო ოსტატს გაუსწრო, ნონა გაფრინდაშვილს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება. ამრიგად, იგი პირველი ოსტატი მუჰადრაკე ქალია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სსრ კავშირშიც, რომელმაც ჩვიდმეტი წლის ასაკში მოიპოვა ჭადრაკში ქალთა შორის უმაღლესი სპორტული წოდება.

ყველას მოლოდინს გადააჭარბა აჭარის მრავალგზის ჩემპიონის ალა ჩაიკოვსკაიას სპორტულმა მიღწევებმა. მისთვის ეს ტურნირი იყო პირველი სერიოზული გამოცდა და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან იგი ჩინებულად ჩააბარა და მიიღო „ხუთიანი". ალას ჯერ ერთად არც კი ენახა ამდენი საერთაშორისო ოსტატი და ბევრი მათგანი საერთოდ პირველად გაიცნო, როგორც პიროვნება და როგორც მუჰადრაკე. მიუხედავად ამისა, მან არ გამოიჩინა „თავაზიანობა" და დაამარცხა ისეთი ოსტატები, როგორიც არიან მსოფლიოს ჩემპიონი ბიკოვა, გურფინკელი, როოტარე და ყაიმს მიაღწია ბორისენკოსთან. ბევრისმთქმელია აგრეთვე მისი გამარჯვება ტურნირის ერთ-ერთ ლიდერთან ზატულოვსკაიასთან ტურნირის მე-20 ტურში. ჩაიკოვსკაიამ სულ დაავ
ოვა ათი ქულა, დაიკავა მეშვიდე ადგილი და გაუსწრო ოთხ საერთაშორისო ოსტატსა და ათ პირველთანრიგოსან მუჰადრაკეს. ჩაიკოვსკაიამ მიიღო უფლება მიმდინარე წელს უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საკავშირო ნახევარფინალში. იგი შეუყვანლია აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრებში, რაც უფლებას აძლევს წელს კვალიფიციურ მწვრთნელებთან გაიაროს ერთთვიანი სპეციალური წვრთნა. საგულისხმოა ისიც, რომ ალა ჩაიკოვსკაიამ დაისაკუთრა სპეციალური ჯილდო ბოლო ექვს ტურში უკეთესი შეფეგიანობისათვის — მან ექვსი შესაძლებლიდან მოაგროვა ხუთი ქულა.

მანანა ტოგონიძემ და ელისო კაკაბაძემაც მოიპოვეს ნახევარფინალში თამაშის უფლება. კაკაბაძემ მიიღო ყველაზე კარგი ჯილდო ტურნირში — ულამაზესი პარტიისათვის, რომელიც მას მიეკუთვნა რუბცოვასთან გამარჯვებისათვის. ამავე ტურნირში კაკაბაძემ დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი ბიკოვა და პირადი ანგარიში მასთან აიყვანა 5:1 თავის სასარგებლოდ.

აბა ვის დაავიწყდება მანანა ტოგონიძის მიერ მოგებული პარტია ზვორიკინასთან! ამ მოგებამ ფაქტიურად გადაწყვიტა ოქროს მედლის ბედი. დამატებით მატჩ-ტურნირში ზვორიკინასა და ვოლპერტს შორის ანგარიშით 1,5 — 2,5 გაიმარჯვა ვოლპერტმა.

დასასრულ მინდა აღვნიშნო ის უაღრესად გულთბილი მიღება, რომელიც ჩვენ გაგვიმართეს ხარკოვიდან დაბრუნებისას ზუგდიდში — ნონას სამშობლოში. კულტურის სახლში კომკავშირის თაოსნობით მოგვიწყეს გრანდიოზული შეხვედრა და ყველას გადმოგვცეს ძვირფასი სამახსოვრო სუვენირები. ასეთივე გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, ცენტრალურმა საჭადრაკო კლუბმა და სხვ.

ქსენია გოგიავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული წვლილი ტოპონიმიკაში

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის იური სიხარულიძის ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“ (აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით), რომელიც შარშან გამოსცა აჭარის სახელგამმა, ქართული საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. ახალგაზრდა ავტორს სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია, ბევრი ფრიად საყურადღებო მასალა დაუგროვებია და ჯეროვნადაც გაუანალიზებია. ნაშრომს ღირსებას მატებს ტოპონიმიკურ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი (გვ. 191-246), რაც მკვლევარს უადვილებს სარეცენზიო წიგნით სარგებლობას.

ტოპონიმიკას, როგორც ცნობილია, საისტორიო მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ისევე აუცილებელია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესასწავლად, როგორც არქეოლოგია, ნუმიზმატიკა და სხვ. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ტოპონიმიკის შესწავლას დიდი ყურადღება დაუთმო ისტორიკოსმა ვახუშტი ბატონიშვილმა (1696-1770 წ. წ.), რომელმაც დაგვიტოვა ფასდაუდებელი ნარკვევი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ვახუშტის ნაწარმოების მეცნიერული შესწავლა და მისი პოპულარიზაცია დაიწყო XIX საუკუნის მეორე მეოთხედში, როდესაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა მარი ბროსემ პირველად გამოსცა მისი „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“, რასაც თან დაურთო ტექსტის ფრანგული თარგმანი ექვსი რუკით.

ვახუშტის ტრადიციები აღადგინეს და განავითარეს გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსებმა დ. ბაქრაძემ, ე. თაყაიშვილმა, ი. ჯავახიშვილმა, მ. ჯანაშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და სხვ. ამავე დარგში ახლახან წარმატებით დაიწყო მუშაობა ახალგაზრდა ნიჭიერმა მკვლევარმა იური სიხარულიძემაც.

იური სიხარულიძის მუშაობის შედეგები ტოპონიმიკის დარგში, სრულიად უეჭველია, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის შესწავლის საქმეში. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, რომელიც ნაშრომის წინასიტყვაობაში წერს: „ი. სიხარულიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სანაქებო და ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთათვის მისაბაძი საქმის მოყვარეობა, ენერგია და უნარი გამოიჩინა და მოკლე დროში აჭარის დიდი ტოპონიმიკური მასალა შეაგროვა... ეს მასალა მეცნიერული ღირებულებისაა“.

მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, მკვლევარი მოკლედ აშუქებს აჭარის ისტორიას. როგორც ცნობილია, თურქებმა აჭარა XVII საუკუნის დამდეგს მიიტაცეს, სანჯაყად აქციეს და ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთში გააერთიანეს, სადაც დარჩა რუსეთთან ახალციხის შეერთებამდე (1829 წ.). შემდეგ იგი ტრაპეზუნის ვილაიეთს შეუერთეს. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ (1877-1878 წ.წ.) განთავისუფლებული აჭარა ბათუმის ოლქში შევიდა, ხოლო 1883 წელს — ბათუმისა და ართვინის ოკრუგისაგან ბათუმის ოლქი ჩამოყალიბდა. შემდეგ, როგორც ავტორი სწორად მიუთითებს, იგი ხან ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა, ხან კიდევ ამავე ტიპის ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

განსაკუთრებით საინტერესოა თვითონ ტოპონიმიკური მასალა. მისი ერთი ნაწილი მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ხალხის მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ. ასე, მაგალითად, სახელწოდებანი „ნაჭვავარი“, „ნაქერვალი“, „ნაღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი“, „ნაპურვალი“, „ნაკანფვარი“, „ნასელ-ვარი“, თავისთავად მიგვითითებენ, თუ რა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანას მისდევდა ძველად აჭარის მოსახლეობა.

დიდი ადგილი ეკავა აჭარის სოფლის მეურნეობაში მევენახეობასაც. აქ აშენებდნენ ქართული ვაზის სულ სხვადასხვა ჯიშებს, მათ შორის ბუდეშურს, ბურძგლას, ბუტკურას, ბროლას, მათენაურს, მეკრენჩხს, ჩხავერს, ცხენისძუძუს, ჭოდს, ხარისთვალას, ხოფათურს, ჯანშს და სხვ. მაგრამ თურქი სატრაპების ბატონობის დროს ეს ძვირფასი კულტურა სულერთიანად განადგურდა: ვენახი ნავენახარად იქცა, მარანი—ნამარნევად. ასე შევიდა ეს სახელწოდებანი ტოპონიმიკაშიც. ტოპონიმიკას შემორჩა აგრეთვე ისეთი სახელწოდებანი („საღორეთი“, „ღორიყბათი“, „ღორექეთი“, „საღორია“, „ღორტყუ“, „ღორიყბა“, „ღორვაკე“, „ღორინთხარი“ და სხვ.), რომლებიც მოწმობენ, რომ ისლამის გავრცელებამდე აჭარაში მეღორეობა მეცხოველეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი ყოფილა.

ტოპონიმიკაში კარგადაა ასახული აგრეთვე ომების, სარწმუნოების, ლხენა-გართობისა და ხალხის ყოფაცხოვრების სხვადასხვა მომენტი.

ავტორს დაწვრილებით შეუსწავლია აჭარის მატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლიც: ხირხათის (ხიხანის) ციხე-ქალაქი, სხალთის ტაძარი, ბეგოშვილების, ჩხუტუნეთისა და სხვ. ციხეები. საინტერესოა ცნობები დანდალოსა და მისი მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლის (XII საუკუნისა) ქართული თაღიანი ხიდის შესახებაც.

ღირსებებთან ერთად ი. სიხარულიძის ნაშრომში შეინიშნება ზოგიერთი ნაკლიც.

1. პირველ ხანებში ავტორს, როგორც თვითონ აღიარებს, წმინდა აღწერილობითი ხასიათის მუშაობა განუზრახავს, მაგრამ შემდეგ სრულიად სამართლიანად, საჭიროდ მიუჩნევია შეგროვილ ტოპონიმთა ახსნა-განმარტებაც. მაგრამ შეგროვილი ტოპონიმიკური სახელებიდან რატომღაც მხოლოდ ერთი ნაწილი გაუანალიზებია, საჭირო კი იყო ამ მიმართულებით უფრო ფართოდ გაეშალა მუშაობა. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ტოპონიმი დროთა განმავლობაში ძალიან დაშორებია პირვანდელ სახეს და მისი შინაარსის ამოცნობა უკვე გაძნელებულია.

2. ავტორი იცავს მოსაზრებას საქართველოს ტოპონიმიკაში ჩერქეზულ-დიღური ელემენტების არსებობის შესახებ (ნ. მარი, ს. ჯანაშია და სხვები). ვფიქრობ, ეს მოსაზრება (გვ. 17) არ უნდა იყოს მართებული. მკვლევარი პ. ინგოროყვა თავის დიდმნიშვნელოვან ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ მეცნიერულად ასაბუთებს (გვ. 146-189), რომ ტოპონიმები — დიოსკურია, ბიჭვინთა წარმოდგება ქართული ფუძე-სიტყვიდან „ბიჭვი“, ბზიბი კი დაკავშირებულია მცენარე „ბზის“ სახელთან. გაგრა, წიბელთა, კოდორი, სოჭი, ხოსტა და მრავალი სხვა პ. ინგოროყვას ახსნილი აქვს მეცნიერულად, როგორც ქართული წარმოშობის ტოპონიმები. ამიტომ ახალგაზრდა მკვლევარს ამ საკითხში მეტი სიფრთხილე მართებდა.

3. აჭარის სახელწოდების შესახებ ავტორი ეკამათება მკლევარებს მ. ჯანაშვილს, ნ. ადონცს, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას და სხვებს. იგი ამ სახელწოდების ძირეულ მასალას (ჭ-ს) მიიჩნევს წყლის ცნების გამომხატველად (მაგალითად, ჭალა, ჭერეხი და სხვ.), მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

4. ცნობა აჭარის მატერიალური კულტურის ნაშთის — საღორეთის ციხის შესახებ ძლიერ მცირეა, თუმცა ი. სიხარულიძე, როგორც თვითონვე წერს, ბევრს ცდილა რაიმე დამატებითი ცნობები მოეპოვებინა ამ ციხის თაობაზე, მაგრამ ამაოდ. სიძველეთა დაცვის საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭო უნდა შეეცადოს ამ საინტერესო ციხისა და სხვა ძეგლების ისტორიის დადგენას.

5. ჭვანის სასოფლო საბჭოში „ციხისყელად“ წოდებულ ადგილას არსებობს ციხის ნანგრევები (გვ. 155), რომლის შესახებ ცნობების შეგროვება ავტორს არც კი უცდია. შეეძლო კი გაეკეთებინა ეს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდიდა მის ნაშრომს.

ნიკო ჯეიშვილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ახლის ძიებაში

მიმდინარე წელს ქუთაისში გამოიცა პოეტ დომენტი ახობაძის ლექსების კრებული „ჩემი მისამართი“. მასში ბევრი რამ არის პიროვნული, ღრმად ადამიანური, ისეთი გრძნობები, რაც უშუალოდ პოეტის ბიოგრაფიიდან მოდის. ლექსის „პეპელას“ ლირიკული გმირი მოკლებულია ეგოცენტრულ გრძნობას. სხვათა სიკეთისათვის თავგანწირვამ შეიძლება ხანმოკლე გახადოს სიცოცხლე, მაგრამ მაინც ამაყი და ქედუხრელია, რადგან მას ურჩევნია „სამი დღის ყოფნა მზიანი“. და ამით იგი არ კარგავს იმის უფლებას, რომ სამასწლიანებზე მაღლა იდგეს.

ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარი პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნების ამაღლებისათვის იბრძვის, ეგოისტია. წესიერი ადამიანის ერთ-ერთ საზრუნავს სიკეთისათვის ბრძოლა შეადგენს. ამ დროს იგი საფრთხესაც არ უშინდება, „რომ გგონია წაიქცაო, სწორედ მაშინ ამაღლდება“ („დიდი გული“). მას ამოძრავებს სიყვარულის დიადი ძალა. ლექსში „ნიავი ყვავილთან“ პოეტი უმღერის სიყვარულს, როგორც მაღალ გრძნობას, უანგაროსა და სხივმოსილს. ლექსის მიხედვით, სიყვარული მრავალფეროვანი გრძნობაა. იგი მცენარესა ჰგავს, რომლის საუცხოო ყვავილ ჰაერს სურნელებას ჰფენს, ხოლო ფესვები მშობლიური მიწის წიაღში ღრმად იმალება. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ადამიანს ყველაზე ძლიერად უყვარდეს ორი რამ: მშობელი მიწა და მშობელი დედა, რომელთა პოეტური დაწყვილება იშვიათი როდია ჩვენს პოეზიაში. მაგრამ დ. ახობაძის ლექსში „ორი დედა“ ეს საკითხი თავისებურადაა გადაწყვეტილი.

პირველზე მარტო მე ვამბობ — დედა,
მარტო მიმღერდა ღამენათევი,
მეორემ ძუძუ აწოვა მხნედა,
მეორემ ზარდა ყველა ქართველი.

ადამიანის მთელი სიცოცხლე თანაბრად უნდა მიეძღვნას ორივე დედას. ამიტომ ამბობს პოეტი: „მშვიდობა თქვენდა, ჩემი სიცოცხლე თქვენ გენაცვალოთ“.

ლექსებში „სინდისი“, „ღიმილი“, „მადლობელი ვარ“ და „წლები მიდიან“ არის ახალი განცდა, ახალი ცოცხალი დაკვირვება ცხოვრებისეულ მოვლენებზე. პოეტი აქ არ ექცევა საყოველთაო თემატიკური ინერციის რკალში. იგი გაბედულად არღვევს ამ რკალს და ხელს ჰკიდებს ახალ დეტალებს, თემის ახალ ნუანსებს და ისინი მხატვრული განზოგადების სიმაღლემდე აჰყავს. ეს ლექსები სათავეს იღებენ უშუალო ემოციებიდან, საგნობრივი აღქმიდან. ამიტომ მკითხველიც ხელშესახებად გრძნობს იმ მოვლენას, რაც ავტორის შემეცნების საგნად ქცეულა.

დ. ახობაძე ნაკლებად ეტანება ზოგად თემებს. იგი შორსაა თემატიკური შაბლონისაგან, აგრეთვე გარითმული პროზისაგან, თუმცა ზოგჯერ მასაც იპყრობს ამ უკანასკნელით გატაცების ცდუნება. ამიტომაც ზოგი ლექსის რიტმი მოდუნებულია და მუსიკალურ ჟღერადობას მოკლებული. მთავარი მაინც ის არის, რომ პოეტი თემების აქტუალობის საფარქვეშ არ გვთავაზობს მხატვრულად მდარე სტრიქონებს.

დ. ახობაძის ლირიკაში იგრძნობა მოქმედი ადამიანის სულის გრძნობა, უკეთესის ძიება. ჩვენი ეპოქის ადამიანი შრომაში სასწაულებს ახდენს. იგი ისწრაფვის დაიპყროს ახალი მწვერვალები, უდაბნო აყვავებულ ბაღნარად აქციოს.

ამავე დროს მის ზოგიერთ ლექსს მეტნაკლებად ზედმეტი ფიქრიანობის ბეჭედი აზის. აქცენტი ლექსის აზრობრივ მხარეზეა გადატანილი. აქა-იქ იგრძნობა ზერელე მოპყრობა ისეთი კომპონენტებისადმი, როგორიცაა რიტმი და რითმა. ზოგან რითმები დუნე და არაკეთილხმოვანია, რიტმიც შენელებულია და მდორედ მიედინება. შეინიშნება ცეზურის დარღვევის შემთხვევებიც. ნაწილობრივ ეს ითქმის ლექსებზე „დილა“, „სალამი ჭალავ“, „წვეს მოხუცი“, სადაც ვხედებით სუსტ რითმებს — გასხლტებოდა — წამოდგებოდა, ცხადი — წარბი, აუტოკდება — მოცვებთან და ა. შ. ლექსში „თქმულება წისქვილზე“ არის ასეთი შედარება: „ჩემი გულიც ხომ წისქვილია, მხოლოდ სხვაგვარი, სავსეა გრძნობით...“ ეს სტრიქონები უხეშად ისმის. ესთეტიკურად არასრულფასოვანი თქმები და შედარებები სხვა ლექსებშიც არის გაბნეული.

დ. ახობაძის ლექსების წიგნს „ჩემი მისამართი“ ჰქვია. და ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. სად ვეძებოთ პოეტი, როგორ მივაკვლიოთ მას? პოეტი ყოველთვის იქ არის, სადაც ცოცხალი ცხოვრება ჩქეფს და ხმიანობს, სადაც ადამიანი მაღალი მორალითა და შეგნებით აშენებს ახალ ცხოვრებას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ის იქ არის,

...სად ვერ იგრძნობს
კაცი ცრემლით დამცირებას,
სადაც გრძნობის ღვივა სითბო,
არასოდეს აცივდება.

სარეცენზიო ლექსების წიგნი იმის დადასტურებაა, რომ დ. ახობაძე მხატვრული სიტყვის სრულყოფის ფაზაში იმყოფება და კვლავაც უნდა იბრძოლოს შემოქმედებითი შრომის მაღალი კულტურისათვის.

ს. არველაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/II 1959 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6. ემ 01552.
შეკვეთა № 527. ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 3.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

ФЗСО 4 ВЗС.

Рубинову
Кеуховеци
гов реп к
гр сер
чи

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ